

უველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების
ატრის უმაღლესი განათლების სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

ილია მინსუკაძე

ქართული გვარსახელები

სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1979

წიგნში განხილულია ქართული გვარების (პატრონიმების) ისტორიისა და სტრუქტურის საკითხები, მოცემულია პატრონიმული ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია და გვარსახელთა ცალკეული წგუფების ენათმეცნიერული დახასიათება. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გარკვეულია გვარსახელების ფუძეთა აგებულება, დადგენილია აფიქსთა სახეობანი. ნაჩვენებია ფონეტიკური ვარიაციები, ეტიმოლოგიური საწყისები. სპეციალურად არის გაშუქებული ბერძინით შედგენილი ქართული გვარსახელების პრობლემა.

შრომა სამეცნიერო-მეთოდური ხასიათისაა და განკუთვნილია ფილოლოგ სტუდენტთათვის. იგი გამოადგებათ საშუალო სკოლების მასწავლებლებსაც.

რედაქტორი პროფ. ალ. ლ ლ ო ნ ტ ი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979

70101

M _____
m 608 (06)—79

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ენის ლექსიკურ სისტემაში არსებით სახელთა შორის გამოიყოფა განსაკუთრებული ფენა, რომელსაც ქმნის ადამიანთა და აღვილთა სახელების ფართო ნომენკლატურა. მათი ერთობლიობის აღსანიშნავად მიღებულია ტერმინი ონომასტიკა, რომელიც ამავე მასალის შემსწავლელი დარგის აღმნიშვნელიც არის. იგი ლექსიკოლოგიის ნაწილია, რომლის კვლევის ობიექტი უხვი ლექსიკური ფონდია, შედგენილი ანთროპონიმებისა და ტოპონიმებისაგან. ფაქტების ამოურწყველი სიმრავლით, ფორმათა ნაირგვარობით, სპეციფიკური სემანტიკითა და გრამატიკული სტრუქტურით ლექსიკის ეს უბანი თავისი ორი ნაწილით (ანთროპონიმითა და ტოპონიმით) ლინგვისტიკური კვლევა-ძიების მეტად საინტერესო (თუმცა ნაკლებად შესწავლოლი) ობიექტია.

ანთროპონიმია თავის მხრივ ორი სახის მონაცემებს აერთიანებს — ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს (პატრონიმებს). მათი შესწავლაც, თუმცა ურთიერთმჭიდრო კავშირში, მაგრამ მაინც ცალცალკე ხდება, და ამის გამო, პატრონიმიკა (გვართამცოდნეობა) ანთროპონიმის (სახელთამცოდნეობის) ცალკე დარგად გვევლინება.

ონომასტიკური ფონდი სიტყვებისა ენის ლექსიკური შემადგენლობის უძველესი ფენაა: ადგილთა, ადამიანთა, ცხოველთა სახელდება ენის წარმოშობის პირველსავე საფეხურზე უნდა მომხდარიყო. ამას მოითხოვდა ველურობის საფეხურზე მდგარ პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებისეული საჭიროებანი.

გვარები (საგვაროვნო სახელები, გვარსახელები) იგივე საკუთარი სახელებია, ოღონდ დამატებითი, მეორადი სახელები, რომელთა შექმნა ისევ გარკვეულმა პრაქტიკულმა საჭიროებამ განაპირობა, სოციალური პროგრესის შედეგად ადამიანთა განვითარებულ კოლექ-

ტივებში საკმარისი აღარ აღმოჩნდა პიროვნების მხოლოდ სახელით მოხსენიება; აუცილებელი გახდა იმის მითითებაც, თუ რომელ გენეალოგიურ შტოს მიეკუთვნებოდა კერძო სახელის მქონე ინდივიდი, ვისი შთამომავალი იყო, ან რომელი ოჯახის (გვარეულობის, ტომის) წარმომადგენელი. გვაროვნული წარმომავლობის სახელდებას საგვაროვნო კრებულის ან სხვა წევრების ამა თუ იმ ნიშან-თვისების აღნიშვნა ედებოდა საფუძვლად, აგრეთვე ჩვეულება, რწმენა, სადაურობა, გამოჩენილი ადამიანის (ბელადის, სარდლის) სახელი, წინაპრის საქმიანობა, თანამდებობა, ზოგჯერ ტოტემზე, მითიურ ამბებსა და პერსონაჟებზე, თეონიმებზე (ღვთაებათა სახელებზე) მითითება და, ყველაზე მეტად კი, წინაპრის საკუთარი სახელი (ეპონიმი).

აქედან ჩანს, რომ პირის სახელს კაცობრიობის კულტურის პირველ საფეხურებზევე დაემატა თემურ-გვაროვნული ყოფითი შინაარსით განპირობებული ვინაობის დამაზუსტებელი მეორე სახელიც. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ იყო გვარი დღევანდელი გაგებით, ე. ი. ის, რაც კანონმდებლობით განმტკიცებულ და ოფიციალურად აღიარებულ, იურიდიული უფლებით აღჭურვილი ადამიანის მეორად (საპასპორტო) სახელდებას წარმოადგენს და რომლის შექმნა აუცილებელ პირობად სახელმწიფოებრივ ცხოვრების სისტემას გულისხმობს.

ზემოდასახელებული ფაქტორებით წარმოქმნილი პირველი დამატებითი ანთროპონიმები არ იყვნენ აღჭურვილნი პატრონიმიკული ფუნქციით, ისინი (მაგალითად: ვეფხია, მგელა, ხოკერა, კურდღელა...) უფრო მეტსახელები იყო, რომლებიც, იქცნენ რა დროთა განმავლობაში ტრადიციულ საკუთარ სახლებად, გვარების ქმნადობაშიც ჩაებნენ. ეს პროცესი კი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უფრო გვიანდელი საფეხურისათვის არის დამახასიათებელი (როცა შეიქმნა შესაბამისი გვარები: ვეფხვიაშვილი, მგელაძე, ხოკერაშვილი, კურდღელაური...). გვარები და სახელები აქტიური მოხმარების სიტყვათა რიგს განეკუთვნება. ჩვენი ცხოვრების ვერც ერთ უბანზე, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ვერც ერთ მომენტში, ჩვენ ვერ ვახერხებთ გარემო ვითარებაში გარკვევას ანთროპონიმებისა და ტოპონიმების დაუხმარებლად.

დიდძალი პატრონიმიკული მასალაა ფიქსირებული ძველ ქართულ წერილობითს წყაროებში, ძველი აღმოსავლეთის ეპიგრაფიკულ და

მწიგნობრულ ძეგლებში, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სპარსულ, სომხურ და სხვა ენებზე მოღწეულ ანალებში. ჩვენი დიდი საისტორიო თხზულება „ქართლის ცხოვრება“ უამრავ სახელგეარულ ერთეულს გვაწვდის.

ფართო წრე პატრონიმებისა აქვთ აღნუსხული. ან კვლევა-ძიების დროს დამოწმებული ჩვენს მეცნიერებს, მათვე გამოთქმული აქვთ აზრები და შეხედულებანი, ან სპეციალურად დაწერილი ნარკვევები ანთროპონიმიისა და. საერთოდ, ონომასტიკის ცალკეულ თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებზე, მათ რიგს ეკუთვნიან ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები, ს.-ს. ორბელიანი, ა. ცაგარელი, მ. ბროსე, ნ. მარი, ი. ჭავჭავიძე, ე. თაყაიშვილი, თ. უორდანი, ი. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ლ. მელიქსეატბევი, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, ს. ჭანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. დონდუა, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ე. მეტრეველი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ვ. ფუთურიძე, გ. წერეთელი, ვ. ბერიძე, შ. ძიძიგური, გ. როგავა, ი. იმნაიშვილი, ი. ქავთარაძე, ალ. ლლონტი, თ. ენუქიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ო. მეგრელიძე, მ. ჩიქოვანი, ო. სოსელია, ზ. კუმბურიძე, მ. ალავეძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვანი. ისტორიკოსები, ენათმეცნიერნი, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები და ქართული კულტურის სხვა მკვლევარნი ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

მაგრამ ზოგადი და ეპოზოდური დაკვირვებანი, თუნდაც კამერალური ძიებანი ამ მხრივ მაინც შორს ვერ წაგვიყვანს. საჭიროა სპეციალური ონომასტიკური კვლევის ფართოდ გაშლა, რასაც წინ უნდა უძღოდეს ფაქტობრივი მასალის გამოვლენა და შეკრება-პუბლიკაცია. ანთროპონიმიისათვის ამ მიმართულებით ნაბიჯი გადადგმულია: მოგვეპოვება ალ. ლლონტის „ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმითა ლექსიკონი“, რომელიც 1967 წ. გამოქვეყნდა.

კარგა ხანია მომწიფდა საკითხი ქართულ გეარსახელთა ფონდის თავმოყრა-სისტემატიზაციის, სალექსიკონო წესით დამუშავებისა და სინქრონიულად შესწავლისა. გეარსახელთა ფუნქციური და სტრუქტურული თვალსაზრისით შესწავლა მოითხოვს პატრონიმების, როგორც ლექსემათა ერთობლივ ანალიზს, მათი ფონეტიკური, გრამატიკული და სემანტიკური მხარეების თანამიმდევრულ გაშუქებას, რასაც უნდა მოჰყვეს ცალკეული ფაქტების სპეციალური ანალიზი

და მათი ეტიმოლოგიური საწყისების დადგენისაკენ მიმართული რეკონსტრუქციის ცდები.

ამ პრობლემის შექლებისამებრ გადაწყვეტა კარგა ხანია ჩვენ მიზნად დავისახეთ. გვარსახელთა სალექსიკონო მასალამ, რომელიც წლების განმავლობაში დავაგროვეთ, საშუალება მოგვცა დაგვემუშაებინა-ქართული პატრონიმიკული ლექსიკის ზოგიერთი თეორიული საკითხი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გვარი, გვარსახელი

ფართო და მრავალმხრივია სიტყვა გვარის მნიშვნელობა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი შეიღნაირი გაგებით არის წარმოდგენილი. უფრო მეტია მისგან წარმოქმნილი ფორმები, მისი მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტები და ფრაზეოლოგიური შენაერთები. იგი, პირველყოელისა, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო შრომაში ჩაბმულ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელია, აღრინდელი თემურ-გვაროვხული ცხოვრების გამომხატველი. უთუოდ ამით უნდა აიხსნას, რომ მას მოდგმის, შთამომავლობის, შტოსა და ჯიმის ცნებებიც უკავშირდება, ისე, როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც — საგვარეულოს, გვაროვნობას, გვარეობას. გვარით აღინიშნება აგრეთვე საგნისა თუ მოვლენის სახეობა, ნაირობა, რაგვარობა! გენეტიკურად გვარი უდევს საფუძვლად რ ო გ ო რ სიტყვასაც, რომელიც ორი ფუძისაგან არის მიღებული ცვლილებათა შემდეგი თანამიმდევრობით: რაგვარი—რაგორი—როგორი?, მეცნიერებაში გვარი აბსტრაქციული ცნების გამომხატველ ტერმინადაც (არის გამოყენებული ფილოსოფიაში, ლოგიკაში, ბიოლოგიაში, გრამატიკაში...), ძველ ქართულში იგი კატეგორიის ქართულ შესატყვისადაც გვევლინება (შეადარეთ, მაგალითად, შ. რუსთაველის გამოთქმა „ეთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“).

ამ სემანტიკურ მიმოქცევაში ნათლად არის გამოკეთილი გვარის კიდევ ერთი ძირითადი მნიშვნელობა: იგი აღმნიშვნელია ადამიანს

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. 11, 1951 (შემდგომში აღინიშნება ინიციალებით: ქველ).

2 შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969, გვ. 386.

3 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957, სტროფი მე-20.

მეორეული დამატებითი საკუთარ სახელისა, რომლის დანიშნულ-
ბაა გამოარჩიოს მრავალთაგან ერთი კონკრეტული პიროვნება. დაასა-
ხელოს იგი შთამომავლობითი ნიშნის მიხედვით, როგორც ამა თუ
იმ ოჯახის, სახლელის, თუ გვარ-ტომის წარმომადგენელი. ამ გავ-
ბით გვარი არის „საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამი-
ანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან),
ან ცოლს ქმრისაგან“ (ქეგლ).

დღეს გვარი საკუთარ სახელთან ერთად ყველა მოქალაქეს აქვს, როგორც ვინაობა-წარმომავლობის მაჩვენებელი, იურიდიულად მისი დამადასტურებელი სიტყვიერი ფაქტი.

უდავოა, რომ გვარი როგორც ანთროპონიმი (ადამიანის საკუთარი სახელი) შინაგან კავშირშია გვართან, როგორც სოციალური უჯრედის აღმნიშვნელ ტერმინთან. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ საკუთარი სახელის გარეშე წარმოთქმული ეს სიტყვა, რომელსაც ლათინურიდან მომდინარე patronim-ს შეესატყვისება, ზოგადად სავვარეულო კრებულის, ოჯახის გამომხატველად არის, სახელთან ერთად შეწყვილებისას კი მისი ფუნქცია ვიწროვდება და ცალკეული პიროვნების აღნიშვნით ისაზღვრება. ასე, მაგალითად, არ თ მ ე ლ ა ძ ე და ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი საზოგადოდ მიუთითებენ ორ საგვარეულო კოლექტივზე. პირველი აღნიშნავს გურიის რამდენიმე სოფელში მცხოვრებ საერთო გენეალოგიის მქონე ადამიანთა ნათესაურ წრეს¹. მეორე კი ასეთივე წრეს, ძირითადად კახეთის (ქიზიყის) სოფელ ჭუგაანში მცხოვრებს, იმ დროს, როდესაც გ ი ვ ი ა რ თ მ ე ლ ა ძ ე და ღ ვ თ ი ს ო ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი ო რ ცალ-ცალკე პიროვნებას ასახელებენ, გამოსულთ ხსენებული საგვაროვნო კოლექტივებისაგან.

გვარ სიტყვის ჩვენს მიერ მითითებული ომონომიური ხასიათი, შემთხვევითი არ არის. იგი ლექსიკური ერთეულის კანონზომიერი ისტორიული ცვალებადობის საგულისხმო ნიმუშია. იგივე ხასიათი ამ სიტყვისა გვაიძულებს ვინმაროთ მის სინონიმად სპეციალური ტერ-

¹ ამა თუ იმ გვარის საცხოვრებელ პუნქტზე მითითებისას მხედველობაში გვაქვს აღრიხილი ვითარება, როდესაც გარკვეული საგვაროვნო კოლექტივები მკვიდრად ცხოვრობდნენ განსაზღვრულ ადგილებში, თორემ დღევანდელ პირობებში გვართა მტკიცე ლოკალიზაცია ძნელდება, რამდენადაც ეს კოლექტივები თავისუფლად არიან გაფენილნი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. თუმცა დღევანდელი ინტენსიური მიგრაციული პროცესების მიუხედავად, მაინც ზერხდება გვართა „ბუდე ადგილების“ მონახვა.

მინი გვარსახელი. იმ შემთხვევის ცალკე გამოსაყოფად და აღსანიშნავად, როდესაც გვარი გვევლინება როგორც ანთროპონიმი.

თანამედროვე ქართული გვარსახელების მდიდარი ფონდი, რომელიც უძველეს ხანაში შექმნილა, ჩვენი დედაენის ლექსიკური შენადგენლობის ორგანული ნაწილია. იგი ხათლად ასახავს ქართველი ერის ცხოვრებას, რამდენადაც ყოველი ცალკეული საგვარეულო კოლექტივის თავგადასავალი მთელი ერის ისტორიის შენაკადია. „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ. — წერს გამოჩენილი მკვლევარი ქართული ენისა აკად. აკაკი შანიძე, — შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და შინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიგარძე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართულ ენისა. სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“.¹

გვარსახელთა მეცნიერულ შესწავლას მრავალმხრივი ინტერესი ახლავს, ამასთანავე ეს ინტერესი შეიძლება სხვადასხვა თეორიული სფეროდან მომდინარეობდეს და თითოეული დისციპლინა (ვთქვათ, ისტორია, ეთნოგრაფია, სოციოლოგია, გეოგრაფია, სტატისტიკა...) ლექსიკის ამ ნაწილს შესაბამისი ასპექტით განიხილავდეს, ძიების შედეგებს იყენებდეს სპეციალურ პრობლემათა გადასაჭრელად, მაგრამ გვარსახელი, პირველყოვლისა, ენობრივი ფენომენია, სახელდებითი ფუნქციით აღჭურვილი სიტყვა, ამიტომ მისი ყოველმხრივი გამოკვლევა ლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება². კერძოდ, ლექსიკოლოგიის იმ დარგს, რომელიც ონომასტიკის სახელით არის ცნობილი.

გვარი როგორც ანთროპონიმი, უძველესი ხანის ფოლკლორულ და ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება. ამირანის ცნობილი მითის მიხედვით თვით ამირანი გვარად დარეჯანისძეა, ბადრის გვარი ეწერა იმ ქალღმრთელს, რომელიც ხელთ ეპყრა ციხე-კოშკში გარდაცვლილ გმირს და „ამირანმა წაიკითხა, შიგ ეწერა გვარი მისი“³. ლიტერატურულ ამირანდარეჯანიანში ყველა პერსონაჟი სახელთან ერთად მამის სახელითაც იხსენიება (ბადრი იამანისძე, სავარსამიძე, სეფედავ-

¹ აკ. შანიძე, თეოფორული სახელები ქართველურ ენებში. „მაცნე“, №2, 1967, გვ. 195.

² В. А. Никонов, Имя и общество, М., 1974, стр. 3—5; ალ. დლოტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 134; ენათმეცნიერების შესავლის საკითხები გ. ახვლედიანის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 120—126.

³ შიხ. ჩიქოვანი, შ. რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1976, გვ. 54.

ლე დარისპან-ს ძე...), რომელიც გვარის წინამორბედი. ხალხური ვეფხისტყაოსნის მიხედვით ტარიელს გვარიც ჰქონია. ამ ნაწარმოების ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

„გვარი ვკითხე, არ მასწავლა, ნულანეც მიეცემა ლხინსა, სახელი თქვა, ტარიელი — გაბრუნდიო, მკადრა პირსა“.

გვარი და გორი

ქართულ ფრაზეოლოგიაში გვარი ადამიანის ღირსების, მისი მალაზნეობრიობის მიჩვენებლადაც არის ნახმარი. ამის საფუძველზეა შექმნილი სიტყვები გ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ი და გ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ო ბ ა. პიროვნების თვისებებს, ჩვეულებრივ, მის გვარს უკავშირებენ და ამბობენ: ესა და ეს კაცი კარგი, ან ცუდი გვარიშვილიაო, გვარიშვილობას უქებენო და მისთ. არის ბრძნული გამონათქვამი ლექსად:

„ათასად გ ვ ა რ ი დაფასდა, ათათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ო ბ ა.“¹

თუმცა აქ ზრდილობა გვარზე მალაა დაყენებული, მაგრამ საყურადღებო აზრიც არის გატარებული: ადამიანი უნდა ამართლებდეს გვარს, მის ღირსებას და თუ იგი კაცად არ ვარგა. მისი გვარიშვილობაც ცუდი ყოფილა. მაშ, პიროვნება თავისი საქციელით არა მარტო თავისი თავის, არამედ გვარის წინაშეც უნდა აგებდეს პასუხს, ამიტომ რე არ უნდა მოქმედებდეს, რომ ვაჟასი არ იყოს — „გვარსა და ნათესავეებსა სირცხვილით სჭრიდეს თავებსა“.

გვარის თავის მომპრერისა და შემბლაღავის აღსანიშნავად მესხურ დიალექტში საგანგებო გამოთქმაც კი არსებობს — „გვარის შაქიქი“, ე. ი. გვარის განმაქიქებელი. შემრცხვენელი. სწორედ ამ გაგებით აქვს ნახმარი სიტყვა „გაქიქება“ შ. რუსთაველს თავის პოემის შესავალში: „ესა მიჩნს დიდად საქებად, არ თავი გამიქიქია“².

¹ შ. ო ნ ი ა ნ ი, ეკუთვნის თუ არა რუსთაველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, თბ., 1976. საგულისხმოა ამ შრომის ავტორის ცდა, ეს სტრიქონებო მიაკუთვნოს შ. რუსთაველის კალამს.

² განქიქების შესახებ იხ. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს სტატია „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონიდან“, თბ. უნივერსიტეტის შრომები, XXX, 1947., წ. 295-301; აგრეთვე ბ. შ ა ი ს უ რ ა ძ ი ს „განქიქება და გვარის შაქიქი“, გაზ. „თბილისი“, 22. VI, 1966 წ.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ერთი ადგილი ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩადან“. როდესაც გოჩა თავის ერთადერთ ეაქს. ონისეს. უდიდესი განსაცდელის ქამს სამშობლოს დასაცავად ისტუმრებს და ღრმა შთაგონებით არიგებს, მთელ თავის პატრიოტულ მგზნებარებას იგი გვარის ღირსებაზე მითითებით გამოხატავს. და ეუბნება შეილს: განსოედეს ვისი გორისაც ხარო!

ხევისბერის მეტყველებაში გვარი „გორად“ გამოითქმის, რაც დამახასიათებელია მთის კილოებისათვის. ბგერათკომპლექსი ვა აქ, საერთოდ ო ხმოვანს იძლევა (შედ. აგრეთვე თოლი, ცხორი, ყოილი და სხვ.)¹. ამის საფუძველზე გ ო რ ი ხსენებულ კილოებში ორი მნიშვნელობისაა: ერთი მხრივ, ფიზიკურ-გეოგრაფიულ ცნებას გამოხატავს (გ ო რ ი იგივე გ ო რ ა მთა. დიდი ბორცვი, მრგვალად ამალღებული ადგილი, ქეგლ) და, მეორე მხრივ, საგვაროვნო სახელს ანუ გვარ-სახელს აღნიშნავს. ეს გაორება სიტყვის მნიშვნელობისა შემთხვევითად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ გ ვ ა რ და გ ო რ ფუძეთა სემანტიკურ კავშირს სოციალური ისტორიის თვალსაზრისით.

საქმე ის არის, რომ გათხრებით მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით არქეოლოგები ასკვნიან, რომ საქართველოში უძველესი დროიდან ვორებად დასახლების ტრადიცია არსებულა, რაც პირვანდელ გვაროვნულ სოციალურ წყობას შეესაბამებოდა. ირკვევა, რომ თვითეულ გორაზე ცალკეული გვარი ან გვართა გაერთიანება ცხოვრობდა: გვაროვნული დასახლება „გორულ“ დასახლებას ემთხვეოდა. ამიტომ ტერმინები გ ვ ა რ ი და გ ო რ ი ერთი ცნების აღმნიშვნელად გამოიყურებიან.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ საქართველოს ტოპონიმიაშიც გ ო რ ძირი ასე მასობრივად ისმის და ზოგჯერ მას გვარ ძირიც ენაცვლება. პირველის ნიმუშებად მრავალთავან ზოგს დავასახელებთ: ქალაქი გორი, სოფლები გორი (ამბროლაურის რ.), გორა (დმანისის რ.), გორანა (საგარეჯოს, თიანეთის, სოხუმის რაიონები). გორაკა (ქასპის რ.), გორისა (საჩხერის რ.), გოროვანი (მცხეთის რ.), ახალგორი (ძველი სახელწოდება ლენინ-გორისა), გორაბერეყოული (ჩოხატაურის რ.), ადგილები: ამირანის გორა (ჯავახეთი, ახალქალა-

¹ აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი, I, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957, გვ. 12.

ქის რ.), გორიკები (წულუკიძის რ.), გორათი (ქ. ხაშური): გვარ ძირი არის ჩაქსოვილი სოფლის სახელებში: გვარა (ქობულეთის რ.), გვარდა (სოხუმის რ.), გვარდია (ამბროლაურის რ.). გვარა საკუთარ სახელადაც არის სავარაუდებელი, რამდენადაც არის გვარსახელი გვარაძე. ხსენებულ ძირთა იდენტირობას აღიარებს პროფ. ილია ჭყონია მეგრული სიტყვის „ნიგორის“ განხილვისას: „განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს „ნიგორი“ მეგრულში არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში ჯიშიც იგულისხმება, არამედ იმითაც, რომ ამ ტერმინში ფუძე „გორ-ი“ ჩანს და იგი ქართულ გვარს უნდა შეესატყვისებოდეს“.¹

მეტად საინტერესოა ამ თვალსაზრისით აკად. ნ. ბერძენიშვილის სარწმუნო მსჯელობა ე. წ. გორულ დასახლებებზე: „როგორც ირკვევა, სვანები, ისევე როგორც სხვა დანარჩენ ქართველ ტომთა წინაპრები, გარკვეულ დროს გორებად ცხოვრობდნენ, რომ მაჩუბ-მურყვამულ მოსახლეობას სვანეთში წინ უსწრებდა გორული მოსახლეობა. „გორა“ სოციალური ძმობა (კომუნა), ტექნიკურად კი ეს არის გაღავანშემოვლებული ან მისადგომთა საგანგებო დახმარებით გამაგრებული ბორცვი, საცხოვრებელი, თავშესაფარი მთელი ძმობისა, — გვარისა.

ექსპედიციამ დამაჯერებელი მასალა მოიპოვა ამ მნიშვნელოვანი დებულების დასამტკიცებლად. ამრიგად, „სვანურ საცხოვრებელ სახლში“ ამიერიდან კანონზომიერად შემოდის „გორა“ (სვიფ) — პირველყოფილი კომუნის სოციალური და მატერიალური გამოსახულება.

ირკვევა, რომ გვიანი ხანის სვანური სოფლების (ხეუების) დიდი უმრავლესობა — ეს არის „გორის“ სოციალური და ტექნიკური განვითარება“².

ამგვარად, გვაროსა და გორის მიმართების საკითხი სერიოზული პრობლემაა და მის გასარკვევად საგანგებო ძიებაა საჭირო. აქ ჩვენ მხოლოდ საკითხის დასმით ვისაზღვრებით.

საყურადღებოა, რომ ძველ ტექსტებში გვარი უმეტესწილად უმარცვლო უნით იწერება. მაგალითად. 1259 წლის რკონის სოგელში ვკითხულობთ: „რა გინდა ვალი ანუ დაქირება დაემართოს ჩემს

¹ ილია ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955, 83, 44.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971. გვ. 69.

გუარისა კაცსა, ვითა გოშელსა და ფანასკერტელთა მამულსა თანა არაი საქმე უც, ეგრევე ხოვლესთან არაი საქმე ადევს¹. ამასაც აქვს მნიშვნელობა გორისა და გვარის ფონეტიკური სტრუქტურისა და მასი ცვალებადობის გასათვალისწინებლად.

მამისახელოზიდან გვარსახელამდე

გვარსახელი, რომელიც ჩვეულებრივ საკუთარი სახელის მსაზღვრელად გვევლინება, ა.ე. შანიძის დებულებით იგივე დანართია, და წარმოადგენს ოჯახის წევრთა ოფიციალურად დაკანონებულ მეორეულ სახელს, აზუსტებს და აკონკრეტებს პიროვნების ვინაობას. ამასთანავე თანამოსახელეთა განმასხვავებელი საშუალებაც არის. იგი ისტორიული ცხოვრების წარმონაქმნია და სახელმწიფოებრივ მმართველობას ექვემდებარება.

დადასტურებულია, რომ ამგვარად გაგებული მყარი გვარსახელები ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, უპირველესად ყოველისა, პრივილეგიური კლასების წიაღში შეიქმნა. მშრომელი მოსახლეობა კი საუკუნეთა განმავლობაში მოკლებულა იყო სტაბილურ სამემკვიდრეო გვარსახელებს. ყმა გლეხები, ხელოსნები და მოქალაქეთა დაბალი წრეები ძველად საშინაო დამატებითი მეტსახელებითა და, უმთავრესად, მამის სახელებით კმაყოფილდებოდნენ, რომლებიც თანამედროვე გვარსახელების როლს ასრულებდნენ.

ურიდიულად განმტკიცებული გვარსახელების დამკვიდრების პროცესი მთელ მოსახლეობაში, როგორც შვედეთში აღნიშნავენ, მეტად ხანგრძლივი იყო. რუსეთში იგი მთელ 6 საუკუნეს გრძელდებოდა, თუმცა თავადური გვარსახელების არსებობა იქ XIV საუკუნიდან დასტურდება. იტალიაში წარჩინებულთა გვარები XI საუკუნიდან არის ცნობილი, ინგლისსა და გერმანიაში XII საუკუნიდან².

ახალი საუკუნეების მიჯნაზე ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ თვით მოითხოვა გვარების შექმნა, მათი არსებობა უფრო და უფრო აუცილებელი გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების წარმართვი-

¹ ო. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, თბ., 1897.

² В. А. Николов, Имя и общество, М., 1974, გვ. 179, 180.

სათვის. საფრანგეთში ნაპოლეონმა გვარების ტარება სავალდებულოდ გამოაცხადა თურქეთში, ირანში, ეგვიპტესა და ტუნისში. სადაც ვინაობის აღსანიშნავად მამისახელობაზე დამყარებული. დროებითი, ერთი თაობის ფარგლებში ცვალებადი ზედწოდებანი იზმარებოდა (მაგალითად, მამა — მირზა-ალიზადე, შვილი — დურსუნ-მირზა ზადე, შვილიშვილი — ჰუსეინ-დურსუნ-ზადე; შესაბამისად. შუქრი ჯაფაროლი, მურად შუქრი-ოლი, აბდულ-მურადოლი...), ჩვენი საუკუნის 40—50-იან წლებში სპეციალური დეკრეტებით შემოღებულ იქნა სტაბილური გვარები.

მეფის რუსეთში არავინ ზრუნავდა გვარსახელთა რეგლამენტაციასზე, ჩამოუყალიბებელი იყო არა მარტო ბევრი რუსი გლეხის გვარსახელი, არამედ იმპერიაში შემავალი ეროვნებანიც ამ მხრივ მოკლებულნი იყვნენ წესრიგს.

საბჭოთა წყობილებამ შექმნა ნიადაგი ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. 30-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში გატარებული პასპორტიზაციის შედეგად, დღეს უკლებლივ ყველა მოქალაქეს აქვს ჩამოყალიბებული მყარი გვარსახელი, რომელიც სახელთან და მამის სახელთან ერთად ფიქსირებულია სათანადო დოკუმენტებში.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ საქართველოში ოფიციალური გვარსახელები ძველი საუკუნეებიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი წარჩინებულ პირთათვის, მაგრამ როდის იქცნენ ისინი ფართო მოსახლეობის კუთვნილებად, ამის თქმა ძნელია.

ფეოდალურ საქართველოში გვარების საყოველთაო ხმარებაში შემოსვლის დადგენის საკითხი მეტად რთულია, მისი გადაჭრა სპეციალურ ძიებასა და მკაცრად დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ის კი ცხადია, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენშიც ძველად გვარსახელები მხოლოდ პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებს ჰქონდათ და ისიც არა ყველას.

საერთოდ, თუ თვალს გადავავლებთ ადამიანთა სახელდებისა და გვარსახელთა ქმნადობის პროცესს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მასში რელიეფურად არის აღბეჭდილი კლასობრივი დიფერენციაციის სურათი. საზოგადოების უუფლებო მშრომელი ნაწილი საუკუნეთა მანძილზე მოკლებულ იყო გვარსახელებს, რაც თავისთავად საუკეთესო მაჩვენებელია ამ ფაქტისა. მოსახლეობის დაბალი ფენები საკუთარ სახელებზე დართული პიროვნული ნიშან-თვისებების

აღმნიშვნელი ან სადაურობის მაჩვენებელი მსაზღვრელებით, უმეტეს შემთხვევაში კი მამის სახელებით გამოხატავდნენ ვინაობას. ძველ წყაროებში ისინი უგვაროდ იწოდებოდნენ („უგვარონი“). ეს ტერმინი მღაბიო წარმოშობის ალაჰიანის სინონიმი იყო. მას უპირისპირდებოდა ტერმინი „გვარიანი“, იმ თავადთა და აზნაურთა აღმნიშვნელი სიტყვა, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

თამარ მეფის კარზე 1184 წელს მომხდარი შეთქმულება ყუთლუ არსლანის მეთაურობით სწორედ ამ გვარიანთა და უგვაროთა შორის არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა ნიადაგზე იყო აღმოცენებული. გაფიცულმა დიდებულებმა, რომლებიც აღშფოთებული იყვნენ მეფის კარზე უგვარო მოხელეთა აღზევებით, განაცხადეს: „აღარ ვეგებით ძუელთა ჯელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრკვილნი და უნატოდ გაძუელნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ განხრულ ვართ უგუაროთა და უქმართაგან“¹.

როგორც ჩანს, გვარიანთა შორისაც სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით იერარქიული დაყოფა შეინიშნებოდა. ვახუშტი ბატონი თავის საისტორიო თხზულებაში ცალკე-ცალკე ჩამოთვლის გვარის მქონე დიდებულთა დასებს, რომლებსაც შესაბამისად ასათურებს: — „მეფეთა გუართათჳს“, „მთავართა გუართათჳს“, მასვე აქვს ნახმარი გამოთქმები: „მთავართა და წარჩინებულთა გუარნი“, „უწარჩინებულესნი და შეძლობელნი“, „გუარი უმდაბლესი“, „გუარიანნი აზნაურნი“².

ე. წ. „დაბალი“ მოსახლეობის „უგვარობის“ სურათი გადაგვეშლება თვალწინ, თუ გადავხედავთ ძველ სააღწერო დავთრებს და ნარატიულ ძეგლებს.

ავიღოთ, მაგალითად, XVIII საუკუნის დემოგრაფიული დოკუმენტების კრებული, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა აკად. ივ. ჯა-

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ტექსტის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. II, თბ., 1969, გვ. 27, 33, 353; დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური მოთხოვნებისა და ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლებზე იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ქართული ერის ისტორია, წ. II, 1965; გვ. 376—378.

² ქართლის ცხოვრება, IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 27—28, 33—34.

ვახიშვილმა. აქ წარმოდგენილ აღმოსავლეთ საქართველოს მეკომურ-თა სააღწერო სიებში კომლთა მეთაურების დასახელება მეტად ჭრელ სურათს იძლევა. ვინაობის აღსანიშნავად ვხვდებით სხვადასხვა ფორმულირებას (გამოხატულებას). 1. სახელებსა და მამის სახელებს (პირდაპირი და შებრუნებული რიგით): გამიხარდი ავთანდილის შვილი, გიორგი კარიკას შვილი, მახარა საღრისშვილი: ლეთისავრიშვილი მახარებელი, მანგუას შვილი ქიტესა. ყელიგრენას შვილი გოგია, ტურიკოს შვილი დათუკა, გიორგის შვილი ბაწაწუნა... 2. სახელებსა და სადაურობის მაჩვენებელ სიტყვებს ან ეთნონიმებს: ხოხონა იმერელი, მამუკა გურული, გოგია მელვრეკელი, ქართლელი პაპუა, მახარებელი ჩაღმაველი, ლაზარე ალელი, აელაბრელი ხუცია, თუში გიორგი, ჭავახი პაპუნა... 3. სახელებსა და ხელობა-საქმიანობის ან თანამდებობის ტერმინებს: ბერუა მქედელი, მაზიტა მეზერე, დათუნა მექვევრე, უსტია მზარეული, გოგია ხაბაზი, ფეიქარი ბელელა, მესაბლე ბერი, მეშავარდნე როსტევეან, მეოთხძლე ბერი, ყანგირა ხუცესი, ფეტვია გზირი, დავითუნა ქემხა... 4. სახელებსა და სოციალური ან ოჯახური მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს: შიო ტაბარუკი, მოყალნე პატარა ათუა, ბოგანო შერმადინი, შერმაზან მზითვისა, ბოგანო, ხიზანი გიორგი, ბატონიშვილის ყმა საქუა, ხიზანი საკათალიკოზო გოგია, ჩიტა აზატი... 5. სხვადასხვა ნიშან-თვისებით განსაზღვრულ სახელებს: დათუნა კუტი, დათო ქურდი, ზურაბ კოჭლი, გიორგი ნაბიჭვარი, მოლაშქრე შერმაზანის ობოლი, წითური პაპია...¹

ამეკარაა, რომ განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა გამოხატველი ეს სიტყვები სოციალურ გარემოში შექმნილი, უკეთ, სხვათაგან დარჩმეული დამატებითი სახელი-ეპითეტებია, რომელთაგან ბევრი მომდევნო თაობებსაც გადაეცემოდა და გვარსახელთა წარმოშობასაც ედებოდა საფუძვლად. ასეთები იყო აგრეთვე სხვა ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ეპითეტები, მაგალითად, კეკელა (აშოთ კეკელა), საჭურისი (იოანე საჭურისი), მშვიდაი (გრიგოლ მშვიდაი), მორდრეკილი (მიქელ მორდრეკილი), მინჩხი (იოანე მინჩხი), მგდევური (გოდერძი მგდევური), კაჭაი (ბასილი კაჭაი), წვერდიდი (გიორგი წვერდიდი), გრძელი (გიორგი გრძელი) და მისთ.

¹ ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, დემოგრაფიული ძეგლები. აღმ. საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დაეთრები, თბ., 1961.

შესამჩნევია ისიც, რომ პოლიტიკისა და ლიტერატურის ასპარეზზე მოღვაწე ადამიანთაგან ბევრნი წყაროებში მოხსენიებული არიან არა თავიანთი გვარსახელებით (თუკი ჰქონდათ), არამედ ზედწოდებით, რომლებიც, შესაძლოა, საკუთარი სურვილით შერჩეული ფსევდონიმებიც იყო, ან ტრადიციულად განმტკიცებული წესის განხორციელება. ისინი, ეს ზედწოდებანი, ჩვეულებრივ მიუთითებენ პიროვნებათა მოღვაწეობის, საპატრონო გამგებლობის ადგილს ან სხვანაირად ნიშანდობლიობას. საამისო მაგალითები საქმაოდ ცნობილია: იაკობ ცურტაველი, ევსტატე მცხეთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი ჩორჩანელი, გრიგოლ ხანძთელი, იოანე ათონელი, სტეფანე მტბევაარი, შოთა რუსთაველი, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი... მათ მატარებლებს, მოსალოდნელია, გვარსახელებიც ჰქონდათ, რომელთა დადგენა, რასაკვირველია, სპეციალურ ძიებას მოითხოვს... 6. არაიშვიათად ვხვდებით მხოლოდ სახელებს, მაგალითად, გამსახურდი, ძაგანა, მამუჩა, ღონანა, კისერა, შოშიტა, თამაზა, ჭაბანი, ნადირა, მგელა, ირემა, ღონდრე... 7. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს თანხმონის დაკარგვის შედეგად სახელებისა და მამის სახელებისაგან შედგენილ კომპოზიტურ სიტყვებს, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება უკვე გვარსახელებად ან მათ წინამორბედებად მივიჩნიოთ, ასეთებია: ჩუბინიძე (ჩუბინის ძე), კოჭლაძე (კოჭლას ძე, კოჭლაძს ძე), ცენტერაძე (ცენტერას ძე ცენტერაძსძე), ჩოლოყაშვილი, მანისაშვილი, მირიანაშვილი, ცეცხლაშვილი, კუპრაშვილი...

დაახლოებით ასეთივე სურათია ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ საისტორიო დოკუმენტებში (სამ წიგნად). საქმარისია გადავხედოთ მამისა ბერძენიშვილის მიერ შედგენილ ამ წიგნთა საძიებლებს,¹ რომ თვალში მოგვხვდეს ზემოთ ნაჩვენები სიჭრელე ონომასტიკური ერთეულებისა. აქ გვაქვს ისეთი დასახელებანი, როგორიც არის: ჩიხორელი, გოგია ფიტარელი, პეტრე მღებარი, ფარსადან მეკირე, დავითა მჩითავი, კაკალა მეწვრილმანე, ლაზარე მეწამლე, ალავერდა მეჩინიბე, დავითა სარაჯი, დავით მეჩითე, თავსუბუქი ბერუა, აღდგომელა, ასრათა, აფრიამა, ბალინა, გალეგა, ჯომარდი, ჭანუაშვილი, ლომგულაშვილი, ჭალათაშვილი და მრავალი სხვ.

ამ მხრივ არც აღრიხნულ წყაროებში შეიმჩნევა განსაკუთრებუ-

¹ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებელი შეადგინა მამისა ბერძენიშვილმა, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958 წ.

ლი სხვაობა. მხედველობაში გვაქვს, პირველყოვლისა, „ქართლის ცხოვრება“, შემდეგ თ. ჟორდანიას „ქრონიკები“, ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“, ი. ჭავჭავაძის, ა. შანიძის, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ინგოროყვას, ელ. მეტრეველის და სხვა მკვლევართა პუბლიკაციები ძველი ტექსტებისა.

ბუნებრივია, რომ ამის გამო მამისახელებით ფიქსირებულ ანთროპონიმების ამოხსნა-გაგებაში მკვლევარნი დაბრკოლებას აწყდებიან. ზოგ შემთხვევაში საგანგებო ძიების გარეშე მათთვის გაუგებარი ხდება, როდის გადმოგვცემენ ანთროპონიმური აღნიშვნანი ნამდვილ მამიშვილობას და როდის გვევლინებიან ისინი საგვარეულო შტოს ზოგად სახელწოდებად, ანუ გვარსახელებად. ასე მაგალითად, იერუსალიმის ჭვარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული არსენი ვაჩესძე, ტიმოთე გაბაშვილს სახელ-გვარად მიუჩნევია, რის გამო პ. ინგოროყვა შენიშნავს: „არსენი იყალთოელის მამას ერქვა ვაჩე: არსენის ეწოდება ვაჩესძე. ზედწოდება ვაჩესძე, რაც აღნიშნავს მამის-შვილობას და არა გვარს, ტიმოთეს გაუგია როგორც გვარი და ამოუხსნია როგორც ვაჩნაძე“¹.

იგივე მკვლევარი გვაცნობებს, რომ XII საუკუნეში მყარი გვარსახელის ხმარება (ვისაც კი ჰქონდა) ჯერ კიდევ არ იყო ტრადიციად ქცეული და ამის გამო ესა თუ ის პიროვნება დოკუმენტებში ხან მამისახელობით არის ფიქსირებული, ხან კი ნამდვილი გვარით: „ერთი ამ მახატელის ძეთა შორის—სალირ, თანამედროვე თამარისა, ხან მოიხსენება მამისშვილობით — სალირ მახატელის ძე, ხან კი გვარით — სალირ კოლონკელის ძე“².

ლიტერატურული ამირანდარეჯანიანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა დასახელებაში ბევრგან ძე-ზე დაბოლოებული სიტყვათშენაერთებია გამოყენებული (სავარსამის ძე, ასან ბაღრის ძე, აბან ჭამანის ძე, ომალ მადის ძე)...პირველი შეხედვით მათი სახით თითქოს მყარ გვარსახელებთან უნდა გვეკონდეს საქმე, მაგრამ ტექსტის რამდენიმე გამოთქმიდანვე ირკვევა, რომ ისინი მამიშვილობას გამოხატავენ. ბაღრი, რომელიც იამანის ძედ არის მოხსენიებული, შვილია იამანისა. იამანი ჰაბუკი კი ნაწარმოების. თვალსაჩინო პერსონაჟია რომელიც ამბობს: „ძე ჩემი, ბაღრი, შეუპყრია დევთა“. ასევე აბულა-

¹ პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, თბ., 1964, გვ. 168.

² იქვე.

სან აბულყასუმის ძეც რეალურად მამისშვილობას გადმოგვეცემს, რადგან აბულასანი თვით ამბობს: „მე ცოტა ყმა ვიყავ და მამამან ჩემმან, აბულყასუმ, ვაჭარნი გაგზავნა ბაღდადს“.¹

რა შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ ხსენებულ წყაროთა მიხედვით ძე-თი ან შვილ-ით დაბოლოებული ზედწოდებანი გვარსახელებად (გვარებად) და რა შემთხვევაში უნდა გავიგოთ ისინი როგორც მამის-შვილობის სახელდებად, როდესაც კონტექსტში საჭირო ინფორმაცია არ გვხვდება? აქ კრიტერიუმად ვერ გამოგვადგება ვერც გრაფიკული (ისინი იწერებიან ერთად და ცალ-ცალკეც: იორამის შვილი, ბაბლიას შვილი, დავითასშვილი, სამუკაშვილი) და ვერც გრამატიკული პრინციპი, როცა მსაზღვრელ წევრთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ერთ შემთხვევაში შენახულია (შოშიტასშვილი, გოგიბასშვილი) და მეორე შემთხვევაში — დაკარგული (პაპუნაშვილი, ტალაურაშვილი). თუმცა შეინიშნება ტენდენცია უსანო ვარიანტების გაბატონებისაკენ. როგორც ვიცით, ამ ტენდენციამ საბოლოოდ გაიმარჯვა და მტკიცედ დამკვიდრდა თანამედროვე პატრონიმიკულ ლექსიკაში.

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ნამდვილ გვარსახელებსა და მამისშვილობის აღნიშვნელ ზედწოდებათა შორის არის მამის სახელის, როგორც წინაპრის დასახელების (ეპონიმის) დამაგრება სულ ცოტა ორი თაობის ფარგლებში: რომელიმე ბეჟანის შვილი, ვთქვათ, სახელად შოთა, ძველი წესით დასახელდება როგორც შოთა ბეჟანიშვილი (ან ბეჟანისძე), მაგრამ ბეჟანის შვილიშვილი, სახელად გიორგი, თუ შოთას შვილად (ან ძედ) მოიხსენიება, აქ მართივი სახელდება, ე. ი. მამისშვილობის აღნიშვნა გვექნებოდა, რაც ვერ შექმნიდა გვარსახელის (გვარის) კატეგორიას. მამის სახელობის გამოხატულება მამის იქცეოდა გვარსახელად, როდესაც შვილიშვილი გიორგი, პაპის სახელს (ბეჟანს) განიმტკიცებდა ვინაობის აღსანიშნავად და მომავალ თაობებს გადასცემდა გენეალოგიური შტოს მკვიდრ სახელად (ბეჟანიშვილი, ან ბეჟანისძე).

ასე ექსოვებოდა წინაპართა სახელები და მათთან ერთად მეტსახელებიც მამისშვილობიდან მიღებულ ზედწოდებებს და იქმნებოდა

¹ მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967, გვ. 27.

დიდი ჯგუფი ქართული გვარსახელებისა, რომელსაც ჩვენ ეპონი-
მურს ვუწოდებთ. მან ბევრი საგულისხმო, დღეს ხმარებიდან გა-
მოსული ანთროპონიმები შემოგვინახა, როგორც მაგალითად: აბუ-
ლა, აბუსერი, ადუა, ალადა, ამბროლა. აპრილა, არდი, აღდგომელა,
ბალია, ბარათა; ბეშქენა, ვარდია. ვარძიგულა, ვარძუკა, ზედგინი,
ზერეკი, თანია, თვალთა, ირემა, კაპანა, კრავა, კუპრა, ლომა, ლომდა-
რი, ლომთათი, ლომსა (ლომისა), მაისურა (მასურა), მარტა, მახარა,
მონავარდისა, ოდიკა, ორჯონიკი, პაიჭა, პაპუკი, საბია, საგინა, სულა,
უსტია, ფურცელა, ჩიტა, ძაგანი, ძამანა, ცხადა, წერო, ხახა, ხონია,
ჯინჯინა, ჯუგა, ჯულა... შესაბამისი გვარსახელებია: აბულაძე, აბუსე-
რიძე, ადუაშვილი, ალადაშვილი, ამბროლაძე (შდრ.: ამბროლაური),
აპრილაშვილი, არდიშვილი, აღდგომელაშვილი, ბალიაშვილი, ბარა-
თაშვილი, ბეშქენაძე, ვარდიაშვილი, ვარძიგულაშვილი, ვარძუკაშვი-
ლი, ზედგინიძე, ზერეკიძე, თანიაშვილი, თვალთაშვილი, ირემაძე, კა-
პანაძე, კრავეიშვილი, კუპრაძე, ლომაძე, ლომდარიძე, ლომთათიძე;
ლომსაძე, მაისურაძე (მასურაშვილი), მარტაშვილი, მახარაშვილი,
მონავარდისაშვილი. ოდიკაძე, ორჯონიკიძე, პაიჭაძე, პაპუკაშვილი,
საბიაშვილი, საგინაშვილი, სულაძე. უსტიაშვილი, ფურცელაძე, ჩი-
ტაძე, ძაგანია, ძაგინიძე, ძამანაშვილი, ცხადაძე, წეროძე, ხახაშვილი,
ხონიაშვილი, ჯინჯინაძე, ჯუგაშვილი, ჯულაშვილი¹.

მეტსახელებისაგან წარმომდგარ გვარსახელებად შეიძლება მივი-
ჩინოთ შემდეგი ნიმუშები: აიწურაძე, თავდიდიშვილი, ექვსსაურაშ-
ვილი, თითილოკაშვილი, კატაპარიაშვილი, კინწურაშვილი, კოჭლა-
შვილი, კოჭლამაზაშვილი, კიჭიბროლაშვილი, კრეჭიაშვილი, კუზიბა-
ზაშვილი, მაღალაძე, მიღრიჯანაშვილი, მოდრეკილაძე, ორთავაძე,
როხროხაძე, სამუკუაშვილი, ტუჩაშვილი, ქვასროლიაშვილი, ყელი-
გრეხაშვილი, ყვირილაშვილი, ჩიტირეკიაშვილი, ცხვირავაშვილი,
ცხვირაძე, ხოყმაყარაშვილი, ჯანჯალაშვილი².

ასევე მრავალფეროვან სახელებსა და მეტსახელებს წარმოგვიდგე-

¹ ჯუგაშვილისა და ჯულაშვილის ანალიზი მოცემული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ნარკვევში.

² ენობრივი დაკვირვების მიზნით გვარსახელთა მრავალი საილუსტრაციო ნი-
მუში აქვთ დასახელებულ მკვლევარებს ალ. დლოტს („ქართული ლექსიკო-
ლოგიის საფუძვლები“) და ზ. ჭუმბურიძეს („რა გქვია შენ?“). ამავე მიზ-
ნით არის მოყვანილი მაგალითები ჩვენს მეთოდურ წერილში „შეგვიჩინოთ ქარ-
თულ სახელ-გვართა ეროვნული საუნჯე“, 1971 წ.

ნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სამეგრელოში, სვანეთსა და ჰანეთში გავრცელებული ის გვარსახელები, რომელთაც დაბოლოებად აქვთ -ურ (// -ულ), -იან, -ია, -ავა, -შხ, (// -შ) და სხვა ფორმანტები, როგორც: მაგალითად. აფციური, გაფრინდაშვილი, იოსელიანი, აკობია. ჩიტაია, ბეჭირიში. ტულუში, ჯაში და მისთანები.

სპეციალური კვლევა-ძიებაა საჭირო აგრეთვე იმის გამოსარკვევად, ძველ წყაროებში დადასტურებული პერსონალების უხვი ნომენკლატურიდან რომელია უდავოდ სტაბილური გვარსახელები (გვარები) და რომელი მამისშვილობის ნაჩვენებელი სინტაგმები.

მანამდე შეიძლება აღინიშნოს დღეს ხმარებული ზოგიერთი გვარის ძირძველობა, მათ რიცხვს ეკუთვნის: აბაზაძე, აბაშიძე, აბუსერიძე, ავალიშვილი, ამილახვარი, ართმელაძე, ასპანიძე, აფაქიძე, ბაგრატიონი, გარაყანიძე, გოგებაშვილი, დადიანი, დიასამიძე, ვაჩნაძე, ზედგინიძე. თავდგირიძე, ორბელიანი, თაქთაქიშვილი, კავკასიძე, კობაძე, მარუშიძე, მაჩაბელი. ფალავანდიშვილი, შალიკაშვილი, შერვაშიძე, ჩოლოყაშვილი, ჩხეიძე, წერეთელი, წულუკიძე. ჰავჭავაძე, ხერხეულიძე, ჯაბადარი, ჯავახიშვილი, ჯაყელი...

ისინი შემოგვინახეს ძველმა წერილობითმა ძეგლებმა, მრავალრიცხოვან არამყარ ონომასტიკურ ერთეულთაგან მათი გამორჩევა და გვარსახელებად კონსტანტირება ხერხდება ტექსტის შინაარსობრივი შესწავლით. ასე, მაგალითად, იერუსალემის ჯვარის მონასტრის სვინაქსარულ ალაპებში მოხსენიებული გ ა რ ე ყ ა ნ ი ძ ე ე ლ. მეტრეველის დაკვირვებით, მყარი გვარსახელია, რადგან ალაპების ერთ წყებაში „გარეყანიძეთა სამი თაობა მოჩანს, რომ ყველა გარეყანისძე გარეყანის შთამომავალი არიან“. მკვლევარი ხსენებულ ალაპებს XIV საუკუნის დამდეგით ათარიღებს და კონკრეტულად დაასკვნის: „გარეყანი, ვფიქრობთ. გვარის ფუძემდებელია. ამ გარეყანის შვილი უნდა იყოს მაკარი, ძმა—ფურთუხი, ხოლო შვილიშვილი — ფორთოხი“. ეს უკანასკნელი მესამე თაობაა და „გარეყანიძე აქ უკვე გვარად არის ქცეული“¹.

სვინაქსარის ფურცლებზე ერთად თავმოყრილ ნათესაების ე. წ. საოჯახო ალაპთა ტექსტებზე დაკვირვებით, აგრეთვე ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით ელ. მეტრეველი აღგენს სხვა ძველ

¹ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალემის ქართველთა კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს), თბ., 1962, გვ. 135—136.

გვარსახელებსაც და მათი არსებობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებსაც დაახლოებით საზღვრავს, მაგ., გორაისძე, გობოისძე (XII ს.), ლასურაძე, თურმანიძე, ინასარიძე, აბუსერიძე¹, ქველივაძე, ჭილაძე, აფაქიძე (XV ს.), თაველისძე, გაბელისძე, დიასამიძე, ზედგინიძე. ეს გვარსახელები ყველა წარჩინებული წოდების კუთვნილებათაა. მათი სიმრავლე განსაკუთრებით საგრძნობია იმ საისტორიო წყაროებში, რომლებიც განვითარებული ფეოდალიზმის ცხოვრებაზე გვაწვდიან ცნობებს და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის პერიოდს ასახავენ (X—XIII სს.)² მაგრამ, როგორც ჩანს, ოფიციალურ გვარსახელთა ხმარების ტრადიცია არც წინა საუკუნეებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. ამ მხრივ საკმარისია თვით ქართველთა დინასტიური საგვარეულოს ბაგრატიონის დასახელება³. „ქართლის ცხოვრების“ უძველეს პლასტებში აღბეჭდილია არა ერთი სახელგვარული ერთეული. საყურადღებო ონომასტიკური მასალაა ფიქსირებული, როგორც ქართულ წერილობით წყაროებში, ისე ძველი აღმოსავლეთის ეპიგრაფიკულ და მწიგნობრულ ძეგლებში, ბერძნულ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, სომხურ და სხვა ენებზე მოღწეულ ანალებში.

ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს დასახელებული ჰყავს კოლხი დიდებული ფართაზი, რომელმაც ბერძენთა სარდლობის მიერ ვერაგულად მოკლული გუბაზ მეფის საქმის გამო აეტის წინააღმდეგ ლაშთა სახალხო კრებაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა (VI ს.)⁴.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა ბერძნული გამოთქმის თავისებურებათა საფუძველზე გადაკეთებული ფართაზი სრულიად სამართლიანად მიიჩნია ფართაძე⁵.

¹ დ. მუსხელიშვილი აბუსერიძეთა საგვარეულოს საწყისად XI საუკუნახევარს თვლის (იხ. მისი რედაქციით გამოცემული აბუსერიძე ტბელის თხზულება ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო ისტორია, თბ., 1941).

² გ. მამულაია, ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა, „მნათობი“, № 2, 1971, გვ. 179—191.

³ ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, 125; ნ. კანდელაკი, ქართული მკვერმეტყველება, 1968, 231.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960. გვ. 257.

ამგვარად, ფარტაძე ერთ-ერთი უძველესთაგანია უცხოურ წყაროებში მოხსენიებულ ქართველ გვარსახელთა შორის¹.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის საისტორიო და გეოგრაფიულ თხზულების შესავალში ჩამოთვლილი აქვს მეფეთა, მსხვილ ფეოდალთა და აზნაურთა როგორც ძველი, ისე მისი დროის საგვარეულო სახელწოდებანი, ხოლო იოანე ბაგრატიონს უცდია არა მარტო დაესახელებინა იმ თავადთა და აზნაურთა გვარსახელები, რომლებიც მოხსენიებული არიან 1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ტრაქტატში, არამედ მოეცა კიდევ ვრცელი განმარტებანი და მიეთითებინა თვითეული მათგანის წარმომავლობა-სადაურობაზე. იოანეს ეს შრომა „ქართველ თავად-აზნაურთა გვარების აღწერა“ დატულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფ. S, № 3729) და არასრულად გამოქვეყნებულია „ივერიაში“². ო. სოსელიამ, კრიტიკულად შეაფასა ეს ნაშრომი და სამართლიანად აღნიშნა, რომ ავტორი „ქართველ თავად-აზნაურთა გვარების წარმოშობას მეტწილად შორეულ წარსულს უკავშირებს. იგი ძირითადად ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა და გადმოცემები კი, უნდა ეიფიქროთ, შეთხზულია თვით თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა მიერ, თავიანთი განდიდების მიზნით. ამდენად აღნიშნული წყაროს მონაცემები, ხშირად ისტორიულ საფუძველს მოკლებულია და შეუწყნარებელი. მიუხედავად ამისა, მათი ხელაღებით უარყოფა მაინც არ შეიძლება, ზოგჯერ მათში კვშმარიტების მარცვლებიც არის დატული“³.

ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების ხსენებულ მასალებს, საისტორიო წყაროებსა და მეცნიერულ ლიტერატურაში დაუნჯებულ მთელ ანთროპონიმურ მასალებთან ერთად, მზრუნველი ხელი სჭირდება. აუცილებელია მათი თავმოყრა, სისტემატიზაცია და შესწავ-

¹ ფარტაძე, რამდენადაც ვიცით, დღეს არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს მისი ძირისეული ფარტენაძე (აქარა, ხელვაჩაური) და ფონეტიკური თვალსაზრისით მისი ეარიანტული სახე ბარდაძე. რაც შეეხება მ თანხმოვნის შენაცვლებას ზ ბგერით (ფარტაზი), მსგავსი შემთხვევა ერთადერთი არ არის: იერუსალემის მონასტრის აღაპებში გვხვდება ქავთარაზი და გოხაზი ქავთარასძისა და გოხაისძის პარალელურად (ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები... გვ. 163, 153).

² მასალა ისტორიისათვის. შემოკლებით აღწერა, ანუ ისტორია თავადთა და აზნაურთა გვარებისა, „ივერია“, № V, VI, VII, VIII, IX, X 1884 წ.

³ ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 53.

ლა, რაც პირველ რიგში გვარსახელთა უმდიდრესი ლექსიკური ფონდის გამოვლენა-პუბლიკაციას მოითხოვს. მხოლოდ ამის საფუძველზე განდება შესაძლებელი ფართო ონომასტიკური კვლევა-ძიების გაშლა-განვითარება, რაც ბუნებრივად შეერწყმის ქართველოლოგიის კარდინალურ პრობლემათა რკვევას.

ს ე მ ა ნ ტ ი კ ა

გვარსახელთა სემანტიკის პრობლემაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ანთროპონიმები, საერთოდ, და მათ შორის პატრონიმებიც საზოგადო სახელებისაგან მომდინარეობენ და მიუხედავად იმისა, რომ მათ „პიპერტროფიულად“ ნომინაციური ხასიათი აქვთ, ყოველდღიურ სამეტყველო პრაქტიკაში უმრავლესობას მაინც შერჩენია ის პირვანდელი სემანტიკური ნიშანი, რაც საფუძვლად დაედო მათ წარმოშობას: გვარები მ ა მ ა მ თ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი და მ ე კ ო კ ი შ ვ ი ლ ი წარმატებით ასრულებენ თავის სახელდებობითს დანიშნულებას, მიუთითებენ შესაბამის საგვარეულო კრებულთა არსებობაზე. მაგრამ მათი წარმოთქმისას მეტნაკლებად მაინც გაიზარება ფუძეთა შინაარსეული მომენტები (მ ა მ ა მ თ ა ვ ა რ ი — დიდი ოჯახის უფროსი მამაკაცი, პატრიარქი და მ ე კ ო კ ე — კოეზის მკეთებელი). ეს მათ უფრო ითქმის საკუთარი სახელების შემცველ გვარსახელებზე, რომლებიც გარკვეულ მითითებებს შეიცავენ საგვარეულო შტოს დამწყები პიროვნების ვინაობაზე (გიორგაძე, დავითაშვილი. შრთაძე, თამარაშვილი...).

არის სემანტიკური თვალსაზრისით ნეიტრალური გვარსახელებიც. მათ ფუძეებში ფონეტიკური ცვლილებების, ანდა ადამიანთა ნებისმიერი გადაკეთების გამო სემანტიკური მომენტი მიჩქმალული ან სრულიად ჩამქრალია: სახლთხუციშვილი, რომლის არქტიპი სახლთხუცესიშვილი იყო, დღეს სალთხუციშვილად არის ქცეული, ამირახორი (ამილახორი, იგივე მეჩინიბეთუხუცესი, „სამეფო საჯინიბოებისა და აბჯარ-საჭურვლის გამგე“, ქეგლ) — ამილახვარად, შიობერიშვილი (შიობერი) — შიობრიშვილად, მენხუთძლე (ხუთსიმინ საკრავზე დამკვრელი)¹ — მენხულად, ოყრეშიძე (ოყროშიძე) —

¹ ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ვსაუბრობთ გვარებზე, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. № 2, 1967, გვ. 68, 69.

ოქროშიძედ, ასისტაეიშვილი (ასისტეიშვილი) — ასისტეიშვილად, თავდიდიშვილი — თავდიშვილად, ჩიტირეკიაშვილი ჩეტრაქაშვილად და ა. შ.

ამგვარ პატრონიმიულ ერთეულებს გვარსახელთა ფონეტიკური სტრუქტურისა და ეფემიზმის საკითხებისადმი მიძღვნილ თავებში განვიხილავთ. აქ კი შევჩერდებით იმ გვარსახელებზე, რომლებიც ჭერ კიდევ ავლენენ (ნაწილობრივ ან სრულად) ფუძეთა საგნობრივ მნიშვნელობას:

ამგვარი გვარსახელთა ფონდი სემანტიკური თვალსაზრისით შეიძლება ხუთ ჯგუფად დაიყოს:

პირველია ეპონიმიური გვარსახელები, რომელთაც საფუძვლად უდევთ საგვარეულო შტოს დამწყებ უფროს მამაკაცთა ან დედა-კაცთა (ეთნარქთა) საკუთარი სახელები (ეპონიმები). მათ დართული აქვთ ტრადიციული მაწარმოებელი ელემენტები (-ძე, -შვილი, -იან, -ია, -ურ, -იონ და სხვ.): ივანიძე, მელიქიშვილი, რატიანი, შაკალათია, გიგაური, ბაგრატიონი...).

მეორე ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ეთნონიმიკური ტერმინების შემცველი გვარსახელები. ისინი ასახელებენ იმ სახეებს, ეროვნებებს, თუ ტომებს. რომელთაგან წარმომავლობენ შესაბამისი გვარსახელთა მატარებელი საგვარეულო შტოები, ანდა მიუთითებენ ამა თუ იმ ეთნიკურ ერთეულებთან გარკვეული კონტაქტის არსებობაზე. გვარსახელთა ამ ჯგუფს პირობითად შეიძლება „ეთნონიმიკური“ ეწოდოს. ასეთი გვარსახელებია: აფხაზი, ბერძენი (ბერძენიშვილი,) გურული, დვალი (დვალიშვილი), თუშიშვილი, კახელი. ლაზიშვილი, ლეკიშვილი, მეგრელიშვილი, მესხიძე, სვანი (სვანიძე). სპარსიანშვილი, ღლიღვიშვილი, ჩერქეზიშვილი, ქანიშვილი, ჯავახიშვილი...

მესამე ჯგუფში ერთიანდებიან სადაურობის აღმნიშვნელი გვარსახელები, მათ ფუძეებში გეოგრაფიული სახელებია ჩაქსოვილი, რომელთა დანიშნულებაა სათანადო სუფიქსაციის საშუალებით — (-ელ, -არ, მ -ელ) მიუთითონ საგვარეულო შტოს წარმომავლობის პირვანდელი გეოგრაფიული პუნქტი. მაგალითად: ანელი, ასპინძელაშვილი, ბარდაველიძე, ბეთანელი, გოკიელი, გომარელი, გორელაშვილი, აზრუმელაშვილი, დგვარელი, დიდმელაშვილი, ეგრისელაშვილი, თუხარელი, ინწკირველი, იშხნელი, კორინთელი, მათურელი, მაჩაბელი, ოდიშარია, ოდიშელიძე, ოცხელი, სავანელი, ქემერტელიძე, ძეგველაშვილი, ხინველი (ხინოელი), ხოდელი, ხულელიძე, ხო-

ტივარი, ხუნწარია, ჰიაურელი და სხვ. ამ შესამე ჯგუფის აღსანიშნავად ასევე პირობითად ვიყენებთ ტერმინს „გეოგრაფიულს“.

პატრონიმთა მეოთხე ჯგუფს ეკუთვნის ხელობა-პროფესიის, მოსაქმეობისა და წოდება-თანამდებობის ტერმინთა შემცველი გვარსახელები, რომელთაც მოკლედ „პროფესიულნი“ ვუწოდეთ.

ამ რიგის გვარსახელები რეალურ ისტორიულ ვითარებას ასახავენ. მათ წარმომადგენლთ, ასე ვთქვათ, „გაუგვარდათ“ (გვარად ექცათ) წინაპართა საქმიანობისა თუ თანამდებობა-წოდების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებმაც ან უშუალოდ მოიპოვეს ონომასტიკური ფუნქცია (ამირეჯიბი, მდივანი, ხარაზი, ხარატი, მებუქე...), ანდა — შესაბამისი სუფიქსაციის გზით (მდიენიშვილი, მკერვალიშვილი, ღურგლიშვილი, მკედლიშვილი...).

მეხუთე ჯგუფში გავაერთიანეთ ე. წ. შერქმეული გვარსახელები, რომლებიც ფუნქციურად მეტსახელის დანიშნულებით იხმარებიან და გენეალოგიური ხასიათის შინაარსს არ უკავშირდებიან.

პირობითად გამოყოფილ გვარსახელთა ამ ხუთ ჯგუფს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ეპონიმური გვარსახელები

უდიდესი ნაწილი თანამედროვე ქართული გვარებისა ეპონიმურია, გარდა დღეს გავრცელებული საკუთარი სახელებისა. მათ ფუძეებად ვხვდებით ბევრ აწ გარდასულ, უძველეს ანთროპონიმებს, რომელთაგან ზოგი შემონახულია წერილობით ძეგლებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ზოგიერთი კი უკვალოდ გამქარალია. აქვე ვასახელებთ ნიმუშებს: აბუსერი (ქართ. ცხ. II, გვ. 280), ალადა (ა. ლლ., სახელ.), აღუა (ს. მაკ., ხევს. 101), ამბრია (შდრ. ამირანის მითიური პერსონაჟი ამბრი არაბი), არდი (მზის ღვთაება, ი. ჭავჭავაძის მიერ, ქ. ერ. ისტ., II, 30). ბეჟა (ქართლ. ცხ., I, 158) ბეშქენ (იქვე), გათენა (ს. ჭიქია, დავთ., II, 159), გორდა (ა. ლლ., სახელ.), გრატია (ი. ჭავჭავაძის, საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 51); ვარაზა (ქართლ. ცხ., I, 718), ვარძელა (ს. ჭიქია, დავთ., II, 64), კრავა (ქართლ. ცხ., II, 32), ლომიტა (ი. ჭავჭავაძის, საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 14), ლომთათა (ლ. გოთუა, კრწანისის სევდა), მისურა (ს. ჭიქია, დავთ., II, 22; ა. ლლ., სახელ.), საგინა (ი. ჭავჭავაძის, ქ. ერ. ისტ., I), ქობულა (თ. უორდ. ქრონიკ., II, 161), სულა (ქართლ. ცხ., I, 147), ფურცელა (ა. ლლ., სახელ.), ყამარი, ყამარა

(ს. მაკ., ხევს., 169), სურამა (ს. ჭიქია, დავთ., II, 121) ძაგან (ქართლ. ცხ., II, 34), ხმალა (ი. ჭავჭავ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 404), ჭალაბა (ს. ჭიქია, დავთ., II, 176), ჭანელი (იქვე)¹ შესაბამისი გვარსახელებია: აბუსერიძე, ალადაშვილი, ადუაშვილი, ამბრიაშვილი, არდიშვილი, ბექაური, ბეშქენაძე, გათენაძე, გორდაძე, გრატიაშვილი, ვარაზაშვილი, ვარძელაშვილი, კრავეიშვილი, ფურცელაძე. ყამარაული, სურმა-ვა, ძაგნიძე, ხმალაძე, ჭალაბაძე, ჭანელიძე.

ეპონიმურ გვარსახელებს უნდა მიეკუთვნოთ ისეთებიც, რომელთაც მეტსახელები უდევთ საფუძვლად. მეტსახელთა დარქმევის ტრადიცია უძველესი ეპოქებიდან მომდინარეობს: „ქართულ ტომებში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა ადამიანისათვის მეტსახელის შერქმევა, რაც დღესაც არ მისცემია დავიწყებას“². თანამედროვე ქართულმა გვარებმა შემოგვინახეს მეტსახელთა საინტერესო ფონდი, რომელიც ხალხის ალლოიანი დაკვირვების, ცხოველი ფანტაზიის, მისი დალხინება-გაქვირებისა, თუ მახვილი იუმორისა და პოეტური ნიჭის გამოწვევაა. საყურადღებო მეტსახელებს წარმოადგენენ ქვემოთ ჩამოთვლილი გვარები: ბურძგლა, გავარდაშვილი, გაიპარაშვილი, გარბოდაშვილი, ერბოწონიაშვილი, თავდიდაშვილი, იჩქითი (იჩქითიძე), კატაპარიაშვილი, კბილცეცხლაშვილი, კონწლიაშვილი, კორტი, კოქლამაზაშვილი, კრიქინაშვილი, ლიკლი-კაძე, ოქროკვერცხიშვილი, პურიქამიაშვილი, როხროხაძე, სამყურაშვილი, სამქუაშვილი, ტილყაეაშვილი, ფაფაკერაშვილი, ქვასროლიაშვილი, ქვანარშიაშვილი, ყუფარაშვილი, ჩიტირეკაშვილი, ცალ-უღელაშვილი, ცალქალამანიძე, ცხრაკბილაშვილი, ცასურქინაშვილი და სხვ.

¹ შემოკლებანი: ა. ლ., სახელ.: ალექსანდრე ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967 წ., ს. ჭიქია, დავთ., II: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა. თარგმანი. გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჭიქიამ, წ. II, თბ., 1941; ს. მაკ., ხევს.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1934; ი. ჭავჭავ., ქ. ერ. ისტ.: ი. ჭავჭავიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960; ი. ჭავჭავ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ.: ი. ჭავჭავიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბ., 1967; თ. ყორღ., ქრონიკ.: თ. ყორღანი, ქრონიკები, II, თბ., 1897.

² ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967. გვ. 24.

პატრონიმთა იმ ჯგუფში, რომელსაც ჩვენ პირობითად ეთნონიმური ვუწოდებთ, შედის ეროვნებათა, ხალხთა და ტომთა აღმნიშვნელი ტერმინებისაგან (ეთნონიმებისაგან) შედგენილი გვარსახელები.

იგულისხმება, რომ მათს წარმოშობას რეალურ-ისტორიული სარჩული ედო. ამის გამო მათი უმრავლესობა მაინც უნდა განვიხილოთ, როგორც წარსული ვითარების უშუალო მაცნე და უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი გვარების მეთაურნი, როგორც წესი, იმ ეროვნების, ხალხის და ტომის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც მითითებულია მათ გვარსახელთა ფუძეებში. მაგალითად: აფხაზავა, აფხაზიშვილი, ბერძენიშვილი, დვალიშვილი, თათრიშვილი, თუშიშვილი, იმერლიშვილი, ლაზიშვილი, მეგრელიშვილი, მესხიშვილი, მესხიძე, ოსიშვილი, სვანიშვილი, სომხიშვილი, ფშავლიშვილი, ქისტისვილი, ღლიღვიშვილი, ჩერქეზიშვილი, ჭანიშვილი, ჭავახიშვილი...

სურათი უფრო ნათელია მაშინ, როდესაც ეთნონიმი უშუალოდ არის გადაქცეული გვარსახელად ტრადიციული-საგვაროვნო სუფიქსაციის გარეშე: აფხაზი, გურული, დვალი, ლაზი, ლაშხი, მეგრელი, მესხი, სვანი, ძურძუკი, ჭავახი.

იშვიათად ეთნონიმი გვარსახელის ფუძეში სხვა სიტყვასთან შერწყმულადაც არის წარმოდგენილი, როგორც მარტოლეკი და ოსიყმაშვილი (მარტო + ლეკი, ოსი + ყმა).

ჩამოთვლილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, თუ ეთნონიმური გვარების სახით რა მლაღადებელ ფაქტებთან გვაქვს საქმე ისტორიული მეცნიერებისათვის. მაგრამ არა მარტო ამ დარგისათვის, გვგონია, ვერ დავასახელებთ ქართველთმეტყველების ვერც ერთ სფეროს, საქართველოს ბუნებისა და საწარმოო ძალთა შემსწავლელი დისციპლინების ვერც ერთ უბანს, რომელთა მკვლევარნი არ საჭიროებდნენ, საერთოდ, ონომასტიკური მასალის ინტენსიურად გამოყენებას.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ეთნონიმურ გვარსახელთა დაბასათება. მათ რიგში კიდევ ერთი ქვესახეობაა შესამჩნევი, მასში ის პატრონიმები შედის, რომელთა ეთნონიმური ფუძეები ა და ია სუფიქსებით არიან წარმოებულნი თურქადის, კახადის, მესხადის, სპარსიანებისა და ლეკიაშვილის ტიპისა. ისინი ვერ იძლევიან აპელატივთა

ეთნიკური წარმომავლობის სურათს, ვერ გვაწვდიან რეალურ ისტორიულ ინფორმაციას, რადგან, სადაურობის სიტყვებისა არ იყოს, ისინიც დაქვემდებარებული არიან ანთროპონომიზაციის პროცესს. ასე რომ თურქა, კახა, მესხა, სპარსია და ლეკია, აქ საკუთარი სახელები ან მეტსახელებია, შესაძლოა თავდაპირველად რეალურ საფუძველზე აღმოცენებულნი, მაგრამ თაობათა გრძელ მანძილზე ეთნონიმური შინაარსისაგან მეტ-ნაკლებად დაკლილნი.

ამ კატეგორიის სხვა ნიმუშებია: თათარაშვილი, კახაია, ლაზარაშვილი, ოსაძე, ლაზიაშვილი, სევანაძე, ურუმაშვილი, ხაზარაძე, ჯავახაძე...

ხალხური გადმოცემები გვიდასტურებენ, რომ ეთნონიმურ გვარსახელთა ქმნალობას სხვა ფაქტორებიც განაპირობებდნენ. მაგალითად, კახეთში მცხოვრებ ლეკიშვილთა წინაპრისათვის ლეკი შეურქმევიათ, იმის გამო, რომ იგი ბავშვობისას ლეკებს გაუტაციათ, მაგრამ გამოპარულა. ლეკიშვილთა მეორე შტოს წინაპარი კი ქართლში გადმოსახლებული ნამდვილი ლეკი ყოფილა. გამოდის, რომ პირველ შემთხვევაში ლეკიშვილი ეპონიმური გვარია, წარმომდგარი მეტსახელისაგან, მეორე შემთხვევაში კი — ეთნონიმური.

ასევე გადმოცემებით არის ახსნილი თათარაშვილის, სევანიძის, ჩერქეზიშვილის და სხვა გვარსახელთა წარმოშობაც.

საერთოდ, ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს ხალხური გადმოცემები ცალკეული გვარების წარმომავლობასა და თავგადასაყვალზე. მათი შეკრება-შესწავლა და გამოყენება ონომასტიკის გადაუღებელ ამოცანას შეადგენს.

გეოგრაფიულნი

ქართულ გვარსახელთა ტიპოლოგიურად იმ განსხვავებულ სემანტიკურ ჯგუფს, რომელსაც ჩვენ გეოგრაფიულს ვუწოდებთ, საფუძველად ადგილთა სახელწოდებანი უდევს. ისინი საგვარეულო კოლექტივის აღრიხდელ საცხოვრებელ პუნქტებზე მიუთითებენ და სადაურობას აღნიშნავენ. ამგვარ ერთეულთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ეს იმას ნიშნავს, რომ გეოგრაფიულ ფაქტორს პატრონიმთა ქმნალობის პროცესში თვალსაჩინო როლი შეუსრულებია.

ამ ტიპის გვართა წარმოებას, როგორც ფაქტიურ მასალებზე დაკვირება გვიჩვენებს, სხვადასხვა გარემოება აპირობებდა, პირველ

რიგში კი მოსახლეთა ადგილგადანაცვლება. ამ საფუძველზე მიღებული გეარსახელები მეორეულია: იგულისხმება, რომ მათ მატარებელ ადამიანებს ადრე სხვა გვარი ჰქონდათ და საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან ერთად ახალი მიიღეს, ამასთან ამ ახალში ძველი სამოსახლო პუნქტის სახელიც ჩააქსოვეს, პირვანდელი საგვაროვნო სახელი კი უმეტესწილად დავიწყებას მისცეს. შემკრებლობითი მუშაობის პროცესში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტის კონსტანტირება მოგვიხდა გეოგრაფიულ გვართა წარმომადგენლების ხსოვნაში ადრინდელი (პირველადი) გვარების შემორჩენისა. გადმოცემათა თანახმად, მაგალითად, ალელიშვილი, რომელიც ფუძეში სოფელ ალს ასახელებს, ძველად ნოზაძე ყოფილა, ასევე ქიზიყელაშვილთა გვარი ყოფილა ლაზარაშვილი, მურჯიკელთა — ბაბლიძე, მუსხელიძეებისა — ოქრომელიძე, კიორელთა—რეხვიაშვილი, ოცხელთა — მანანაშვილი, ოკრიბელაშვილთა — ხმალაძე. მაგრამ ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ წინათ რა გვარისანი იყვნენ, ვთქვათ, ბაშელნი (სოფ. ბაშიდან წამოსულნი), ბოგველნი (ბოგვიდან), გრაკელნი (გრაკალიდან), გორელაშვილნი (გორიდან), გრემელაშვილნი (გრემიდან), კორსაველნი (კორსევიდან), მოზდოკელნი (მოზდოკიდან) და სხვ.¹

ძველ საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები იძულებითი განსახლებისა, როდესაც გარეშე მტრების შემოსევის, მუდმივი თარეშისა, ან ამა თუ იმ კუთხის დაპყრობის შედეგად მკვიდრი მოსახლეობა ტოვებდა მშობლიურ ადგილებს და ქვეყნის სხვა ნაწილებში აფარებდა თავს. ლტოლვილნი ახალ სამყოფელში დამკვიდრებისას გვარებს იცვლიდნენ და დატოვებული სამოსახლო პუნქტების, მხარეებისა თუ სხვა მშობლიური ადგილების სახელებს არ კარგავდნენ, იყენებდნენ შეცვლილ გვარებში, რათა შთამომავლობისათვის არ დაეკარგათ მოგონება ადრინდელ საცხოვრისზე. მწვავე საშიშროების გავლის, ან დამონებული მხარის განთავისუფლების შემდეგ, ისინი ზოგჯერ უბრუნდებოდნენ კიდევ მშობლიურ ადგილებს და იქნებ სწორედ ასეთ ფაქტზე მიგვიითითებდეს გვარი დაბრუნდაშვილი², ხოლო მითითებას ლტოლვილ მოსახლეზე უნდა იძლეოდეს მეოტი-

¹ საგანგებო გამოძიების შედეგად სავსებით შესაძლებელია ამ გვარების წარმომადგენელთა პირველადი გვარებიც დადგინდეს.

² ზ. კუ მ ბ რ ი ძ ე, რა გვია შენ? თბ., 1971, გვ. 46.

შვილი, რადგან მეოტი ძველ ქართულში განტოლვილს, გაქცეულს ნიშნავს¹.

მასობრივი მეოტობა, როგორც ცნობილია, საქართველოს მნიშვნელოვანი ისტორიული საშთავროს, დიდი მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) ტერიტორიიდან ხდებოდა. მიგრაციის პროცესი დაიწყო XVI საუკუნეში, როდესაც ეს მხარე თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს. ამის შედეგად უნდა იყოს შექმნილი გეოგრაფიულ გვართა ის წყება, რომლის ფუძეები ხსენებული მხარის ტოპონიმებზე მიგვითითებენ: ავაზნელი, ბლორძელი, გოკიელი, დგვარელი, ვარძიელი, თუხარელი, იშხნელი, მურჯიკნელი, ოცხელი, ჭაყელი, ასპინძელაშვილი, მუსხელიშვილი, როკეთლიშვილი, ფარეხელაშვილი და მისთ².

მოსახლეთა ადგილგადანაცვლებას ქვეყნის შიგნით სხვა მიზეზებიც ედებოდა საფუძვლად, რომლებიც უშთავრესად დაკავშირებული იყო სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ გეოგრაფიულ ფაქტორებთან. მათ შორის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ბატონყმობის ინსტიტუტი უნდა ჩაითვალოს. მკაცრი ფეოდალური ექსპლოატაციით შევიწროვებულ ყმა გლეხთაგან ბევრი ოჯახიანად იყრებოდა და სხვაგან იხიზნებოდა. ამ ფაქტს ზოგჯერ წინ უძღოდა ბატონის მოკვლა, მისი ოჯახის აოხრება და სხვა სახის შურისძიება. ახალ ადგილზე დამკვიდრებული გლეხები (ხიზნები) კვალის დასაფარავად გვარებსა და სახელებს იცვლიდნენ. ბატონყმობის ფაქტიურ მასალებში ამ საკითხზე ვკითხულობთ: „უნდა ითქვას, ისიც, რომ ამ კუთხიდან (სამხრეთ საქართველოდან, ი. მ.) ქართველნი გლეხნი საქართველოს სხვა კუთხეებშიც ხშირად მიზობდნენ და აქ იცვლიდნენ გვარს³.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვითარებაში, როდესაც ყმა გლეხები იძულებით კარგავდნენ მამაპაპურ გვარებსა და სახელებს, მალავდნენ ძველ ადგილსამყოფელს, ცხადია, მათ ახალ გვარსახელებში გეოგრაფიული სახელები ასახვას ვერ პოვებდა. პირუტყუ, ამგვარი განსახლება სტიმულს იძლეოდა ბუნდოვანი, გაურკვეველი სემან-

¹ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

² სათანადო ტოპონიმები, იხ. ს. ჯ ი ჭ ი ა ს გამოკვლევაში: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ., 1946.

³ ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, თბ., 1924, გვ. 22.

ტიკის გვართა შექმნისათვის. ამ მოკლენის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ისეთი გვარსახელების წარმოშობა, როგორცაა: ახალაძე, ახალკაცი. ახალშენიშვილი, ახალბედაშვილი, ახალმოსულიშვილი, მოსულიშვილი და სხვ.

შესაძლებელია, სოფლად თუ ქალაქად შეხიზნული ყველა გვარ-შეცვლილი მეკომური მტერთა თარეშის, ან ბატონყმური ცხოვრების შედეგად არ ყოფილა დაძრული ძველი სამყოფელიდან და მათი მიგრაციის პროცესს სხვა საფუძველი ჰქონოდა, რომელთა გაგებაც თვით გვართა წარმომადგენლების მესხიერებაში შემონახული ზეპირი ინფორმაციების გზით შეიძლება. მაგრამ საერთო ხასიათის საფუძველი მათი წარმოშობისა მაინც ხელშესახებად ჩანს, ხოლო ცალკეულ საგვაროვნო კოლექტივში დაცული კონკრეტული ფაქტების ამსახველი ზეპირსიტყვიერი ცნობების, თქმულება-გადმოცემებისა თუ ლეგენდების შეკრება-შესწავლა გადაუდებელ ამოცანად დგას ონომასტიკის წინაშე. ისინი ბევრ საგულისხმო რეალურ მომენტს გაგვიცოცხლებენ ამ მხრივ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მოსახლეობის მთიდან ბარში ნებაყოფლობითი ჩამოსახლების პროცესი, რის შედეგადაც ივსებოდა მტრის თარეშისაგან შეთხელებული ბარის სოფლები. ეს განსაკუთრებული ინტენსიობით ქართლ-კახეთსა და იმერეთ-სამეგრელოში ხდებოდა საქართველოს ისტორიის კრიტიკულ პერიოდებში, ახალ საუკუნეთა მანძილზე. ამაზე ღალადებენ გეოგრაფიული გვარსახელები: არაგველი, ზანდუკელი, კობელი, კორიშელი, მათურელი, შხარელი, ჩოხელი, ხანდაველი, ხორშელი, ხორხელი, ხოშარელი, მთიულიშვილი, ფხოველიშვილი, ფშავლიშვილი, ყვარელაშვილი...

რაჭიდან გადმოსულ მოსახლეებზე პირდაპირ მითითებას იძლევიან ბოყოველი, გლოველი, კრიხელი, მეტრეველი, რიმნისთაველი, ხიდაშელი, ჭიორელი, ხოტივარი.

არის რიცხვით მცირე გეოგრაფიული გვარსახელები, რომელთა ფუძე იდენტურია ამჟამინდელი მათი საცხოვრებელი სოფლის სახელისა, ასე, მაგალითად, სოფელ ამაშუკეთში (ორჯონიკიძის რ.) ამაშუკელები ცხოვრობენ...

რომელია აქ პირველადი, გვარისა თუ სოფლის სახელი?

ამის საპასუხოდ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში მეტად გავრცელებულია გვარებისაგან მიღებული

ტოპონიმები (უფრო მეტად სოფლის სახელები)¹, რომლებიც სუფიქსაციის მრავალნაირ საშუალებათაგან -თ მორფემატ გვხვდება, მაგალითად, ნერგეეთი, სერგეითი, წიქრეთი, შესაბამისი გვარებია— ნერგაძე, სერგია, წიქორიძე². ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს საკითხი პირველადობის შესახებ გვარსახელის სასარგებლოდ გადაწყვიტოთ და ვიფიქროთ, რომ ამაშუკელებმა მისცეს სოფელს სახელი ამაშუკეთი და ა. შ.

გვაქვს გეოგრაფიულ გვარსახელთა კიდევ ერთი განსაკუთრებული ფენა, რომლის წარმოშობა მიგრაციის ფაქტორით არ არის განპირობებული. ისინი ძველად ზედწოდებათა სახით იყვნენ წარმოდგენილნი და ფეოდალურ ხანაში სამოსახლო პუნქტების, მხარეების, სამეფო, სათავედო, ან სააზნაურო ადგილ-მამულების, ციხეების მფლობელობა-კუთვნილებასა ან მათ გამგებლობას აღნიშნავდნენ. ბევრი ამათგანი ამავე დროს სამხედრო ან პოლიტიკური თანამდებობის ტერმინებადაც იქცეოდა, როგორც მაგალითად, გაგელი, თმოგველი, გურიელი, თორელი, თუხარელი, მუხრანელი, ტაოსკარელი, ციხისჯვარელი, წირქვალელი, ჯაყელი... მათვე მიეკუთვნებოდა უმაღლეს სასულიერო წოდებათა გამომხატველი ტერმინები: ალავერდელი, გარეჯელი. ზედაზნელი, იყალთოელი, კუმურდოელი. მარტყოფელი, მაწყვერელი, მროველი. მღვიმელი, პარხელი, რუსთველი, სამთავნელი, საფარელი, ტბელი. ქუთათელი, წილქნელი. ხარჭაშნელი... ფორმის მხრივ მათ რიცხვშივე უნდა მოვაქციოთ აგრეთვე ჩვენი ძველი მწერალ-მოღვაწეებისა და კულტურის გამოჩენილ პირთა სადაურობის მაჩვენებელი მსაზღვრელ-ზედწოდებანიც, რომლებიც საკუთარ სახელებს ერთიან და უბრალოდ წარმომავლობაზე ან მოღვაწეობის ადგილზე მიუთითებენ: ანჩელი (იოანე ანჩელი), კარსნელი (ლონგინოზ კარსნელი), მთაწმინდელი (გიორგი, იოანე, ეფთვიმე მთაწმინდელები), რუსთაველი (შოთა რუსთაველი),

¹ გ. კ ა ქ ა რ ა ვ ა, ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების ავტბულებისათვის ქართველურ ენებში. ა. პუშკინის სახ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. 15, 1960.

² ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართველურ გვართა წარმოების ზოგიერთი საკითხი, ამავე ინსტ. შრომები, ტ. 23, 1970.

კურტაველი (იაკობ კურტაველი), ხანძთელი (გრიგოლ ხანძთელი),
ოპიზარი (ბექა, ბეშქენ ოპიზარები)...¹

ამ მრავალფეროვან ზედწოდებათა ფონდიდან ზოგი განმტკიცდა,
მომღევნო თაობებში გადავიდა და გენეალოგიური შტოს მკვიდრო
სახელად იქცა, სხვანაირად რომ ვთქვათ, სადაურობა-მფლობელო-
ბის ან თანამდებობრივი იერარქიის ტერმინები მათ მატარებლეს
„გაუგვარდათ“.

თანამედროვე გვარსახელთაგან ამგვარი ერთეულებია: ანელი,
გაგელი, თორელი, თუხარელი, თხინვალელი, მაჩაბელი, მუხრანელი,
ცაგარელი, ხარჭაშნელი და სხვ.

სად და როდის იქცნენ საკუთარ სახელებზე დართული სადაუ-
რობის მსაზღვრელი სიტყვები და ფეოდალურ-იერარქიული შინაარ-
სის ტერმინები მყარ მეშვიდრობით გვარსახელებად, ამის გარკვევა
საისტორიო საბუთების შესწავლითა და ისტორიოგრაფიული კვლე-
ვა-ძიებით გახდება შესაძლებელი.

გეოგრაფიულ გვარსახელთა ფუძეები წარმოქმნილია ქართველუ-
რი ენებისათვის ცნობილი წარმომავლობის შემდეგი ფორმანტებით:
-ელ, -ურ, მ—ელ, -არ.

ამასთანავე ამ ლექსიკურ მიკროსისტემაში ორი ძირითადი ტიპი
გამოიყოფა.

I. საგვაროვნო სუფიქსებით გაფორმებულნი და

II. უსუფიქსაციო ერთეულები, რომელთაც არა აქვს დართული
სპეციალური ონო-მორფემები.

სიხშირის მხრივ გამოირჩევა -ელ სუფიქსიანი ერთეულები.
მათში ტიპოლოგიურად ორგვარი მოღველი გაირჩევა:

1. ტოპონიმიდან წარმოქმნილი სადაურობის სიტყვა უცვლელა-
დაა წარმოდგენილი (ხონელიძე ხონელისძე, ფუძე ხონელ-);

2. სადაურობის სიტყვა ა სუფიქსითაა ნაწარმოები (ბანძელაძე
ბანძელას ძე, ფუძე ბანძელა).

ამ ორი მოღველის ნიმუშები დღეს სემანტიკურად ნეიტრალურ-

¹ ფეოდალურ ხანაში გეოგრაფიულ სახელთაგან მიღებულ ქართულ ზედწო-
დებათა მიმოხილვას პროფ. პ. რატიანი სპეციალურ თავს უძღვნის თავის გამო-
კვლევაში. იგი ერთმანეთისაგან ანსხვავებს საერო დიდებულთა და სასულიერო
თანამდებობის პირთა ზედწოდებების (მისი ტერმინით „გვარ-წოდების“) წარმო-
ქმნის პროცესს (პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, გამოშვ. „მე-
რანი“, თბ., 1975, გვ. 16—24).

ნი, დიაქრონიულ ასპექტში განსხვავებულნი არიან. საქმე ის არის, რომ ძველ ქართულზე დაკვირვება სადაურობის გამომხატველ ლექსემათა საკუთარი სახელების სეგმენტურ სისტემაში გადასვლის საყურადღებო ტენდენციას გვიმჟღავნებს. ძველი ტექსტების მიხედვით საკუთარი სახელებია: ბირთველი (ბირთვ-ელ-ი, ბირთვისიდან), ლარგველი (ლარგვისიდან), თორელი (თორიდან), ფავნელი (ფავნისიდან), ვაშლობელი (ვაშლობიდან), ქვენიფნეველი (ქვენა იფნევიდან). ხალხური გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველის მამას ჩახრახელი ერქვა, ჩახრახი კი სამცხეში ცნობილი ტოპონიმი (საძოვრებით მდიდარ მთას ეწოდება).

ამგვარად, ლოკატივებში ანთროპონიმიზაციის პროცესს ფართოდ გაუკაფავს გზა და შემდგომ გრამატიკულადაც ფიქსირებულა: ნალოკატივარ ანთროპონიმს ა სუფიქსი დაურთავს. ამ სუფიქსს ჩვენ მაკერძოებელს ვუწოდებთ, რადგან მისი ფუნქცია ამ შემთხვევაში, გარდა კინობითობის გამოხატვისა, ისიც არის, რომ საზოგადო არსებით სახელს კერძო საკუთარ სახელად აქცევს (შდრ.: ხარი და ხარა, რომელიც წარმოდგენილია გვარში ხარაძე, მგელი და მგელა — მგელაძე. ფოცხვერი და ფოცხვერა — ფოცხვერაშვილი, ქათამი და ქათამა — ქათამაძე).

ამის შედეგია, რომ ანთროპონიმიზებული სადაურობის სიტყვა გორელი გორელად მოგვევლინა. გრემელი გრემელად, ოკრიბელი ოკრიბელად, ქუთათელი ქუთათელად, ხერკელი ხერკელად, ხრამელი ხრამელად და მათ წარმოქმნეს სათანადო გვარსახელები (გორელაშვილი, გრემელაშვილი, ოკრიბელაშვილი, ქუთათელაძე, ხერკელაშვილი, ხრამელაშვილი...).

პირველი ტიპის გეოგრაფიულ გვარსახელთა ნიმუშებია: ალელიშვილი (ფუძე: ალელი შდრ. ალი, სოფელი ხაშურის რაიონში), აცანელიძე (სოფ. აცანა, ლანჩხუთის რ.), ბარდაველიძე (ბარდავი, ისტორიული ქალაქი), ბოგველიშვილი (სოფ. ბოგვი, თეთრიწყაროს რ.) ბოდაველიძე (ბოდავი, სოფ. დუშეთის რ.), გარბანელიძე (გარბანი, სოფ. ყაზბეგის რ.), გუბელიძე (სოფ. გუბი, წყალტუბოს რ.), გუჯარელიძე (სოფ. გუჯარეთი, ბორჯომის რ.), დაღელიშვილი (სოფ. დაღეთი, თეთრიწყაროს რ.), ვაყელიშვილი (სოფ. ვაყა, ხაშურის რ.), კლელიშვილი (ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში—კოლა), ლესელიძე (სოფ. ლესა, ლანჩხუთის რ.), მანგლელიშვილი (დაბა მანგლისი, თეთრიწყაროს რ.), შალაველიძე (სოფ. შალა-

კი, წყალტუბოს რ.), მუსხელიშვილი (სოფ. მუსხი, ახალციხის რ.), ოდიშელიძე (ოდიში, ისტორიული მხარე, სამთავრო), ოკმელაშვილი (სოფ. ოკამი, კასპის რ., ახალქალაქის რ.), ორაგველიძე (სოფ. ორაგვე, ლანჩხუთის რ.), რაჭველიშვილი (რაქა), ფშაველიშვილი (ფშავი), ქედელიძე (ქედა, რაიონული ცენტრი აჭარაში), ქემერტელიძე, (სოფ. ქემერტი, ცხინვალის რ.), ქიზიყელაშვილი (ქიზიყი), ცხომელიძე (ქალაქი ცხომი, ცხუმი დღევანდელი სოხუმი), ჭავჭავაძე (სოფ. ჭავჭავანი, სამტრედიის რ.), ზონელიძე (ქალაქი ზონი).

ამათ შორის გვხვდება რედუცირებულ-ფუძიანი ერთეულებიც: იმერლიშვილი, კარდენახიშვილი, მარტყოფლიშვილი, როკეთლიშვილი, სურამლიშვილი, კობორტლიშვილი...

ა სუფიქსით ნაწარმოები ფუძეები აქვთ შემდეგ გეოგრაფიულ გვარსახელებს: არახველაშვილი (სოფ. არახეთი, დუშეთის რაიონში), ასპინძელაშვილი (დაბა ასპინძა, რაიონული ცენტრი), ბანძელაძე (სოფ. ბანძა, გეგეკეორის რ.), გორელაშვილი (ქ. გორი), ვრემელაშვილი (სოფ. ვრემი, ყვარლის რ.), დიდმელაშვილი (სოფ. დიდომი, გარდაბნის რ.), ეგრისელაშვილი (ეგრისი), თეზელაშვილი (სოფ. თეზი, კასპის რ.), იმერელაშვილი (იმერეთი), კარბელაშვილი (სოფ. კარბი, გორის რ.), კვესელაძე (სოფ. კვესეთი, გარდაბნის რ.), მამათელაშვილი (სოფ. მამათი, ლანჩხუთის რ.), მუსხელაძე (სოფ. მუსხი, ახალციხის რ.), მცხეთელაშვილი (მცხეთა), ოძელაშვილი (სოფ. ოძისი, დუშეთის რ.), სამებელაშვილი (სოფ. სამება, ჩოხატაურის რ.), ულუმბელაშვილი (სოფ. ულუმბა, ხაშურის რ.), ფარხელაშვილი (ნასოფლარი ფარეხა, ახალციხის რ. შღრ. პარეხი, სოფ. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში), ქსნელაშვილი (სოფ. ქსანი, მცხეთის რ.), ყვარელაშვილი (ნასოფლარი ყვარა, დუშეთის რ.), ყირიმელაშვილი (ყირიმი), ძეგველაშვილი (სოფ. ძეგვი, მცხეთის რ.), ხაშმელაშვილი (სოფ. ხაშმი, საგარეჯოს რ.), ხერკელაშვილი (ხერკი, ისტორიული მხარე ქართლში), ხრამელაშვილი (ხრამის ხეობა, დმანისის რ...).

საგულისხმო შენიშვნებსა და ვარაუდებს იწვევენ გეოგრაფიულ სახელთა ფუძეებზე დამყარებული ის გვარებიც, რომლებიც ზემომოყვანილ სიაში არ მოხვედრილან.

1. ზოგ მათგანში -ელ ფორმანტის ნაცვლად -ურ გვხვდება, ესენია: თელაურიძე, კახურაშვილი, ქიზიყურაშვილი, აქ თელაური ფუნქციურად ზელაველს უდრის, კახურა და ქიზიყურა კი — კახელასა და

ქიზიყელას. ფორმანტთა ეს მონაცვლეობა, ე. ი. ადამიანის სადაურობის გამოხატვა ნივთის სადაურობის მაწარმოებლით, რაც აღრინდელი ვითარების შედეგია, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტურ მეტყველებაში ცნობილია.¹ იგი დადასტურებულია ტექსტებშიც.²

2. ფონეტიკური ცვლილება განუცდია ფავლენიშვილს. მისი ფუძე დღეს ფ ა ვ ლ ე ნ-ს გვიჩვენებს, ძველ დოკუმენტებში კი ფ ა ე ნ ე ლ-ი გვხვდება³. იგი საკუთარ სახელადაც გვევლინება (მაგალითად, ფავნელ უჯარმელი), თუმცა - ელ სუფიქსით ნაწარმოები სადაურობის სიტყვაა, მიღებული სოფლის სახელისაგან ფავნისი. ფავნისი დღეს ნასოფლარია კასპის რაიონში, ახალქალაქის ჩრდილოეთით). წყაროებში ზოგან ფ ა ვ ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ა ნახსენები, ზოგან კი ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი . ამგვარად, აქ დასტურდება ნ და ლ თანხმოვნების მეტათეზისი: ფავნელიშვილი — ფავლენიშვილი.

3. კ ლ ა რ ჯ ე ი შ ვ ი ლ-ის პირველსახედ კლარჯელიშვილია საეპარაუდებელი, აქ ორ ხმოვანს შორის მოქცეული ლ დაკარგულია. ანალოგიურია ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი და ა თ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი (პარალელურად იხმარება ათანელიშვილიც). ამ უკანასკნელში ლ-ს გარდა ძირისეული რ-ც უნდა იყოს გაუჩინარებული. მისი ფუძის არქეტიპი ა რ თ ა ნ ე ლ-ი, სოფლის სახელს ა რ თ ა ნ ა ს (თელავის რ.) უკავშირდება: ართანელიშვილი — ათანელიშვილი — ათანეიშვილი. ამავე მოდელს გვიჩვენებს ყუბანეიშვილიც (ყუბანელიშვილი), თუკი მის შინაარსს ამართლებს რეალური ისტორიული ფაქტი⁴.

იქნებ ამავე რიგს მიეკუთვნოს ჩ ა რ გ ე ი შ ვ ი ლ ი, მომდინარე ჩარგლელიშვილ-ისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ამგვარ ახსნას რეალურ-ისტორიული სარჩულის მონახვა ქირდება.

ამავე რიგში უნდა ვიგულისხმოთ ბ ე თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ც, რომლის

¹ აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 128.

² ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. გარეკახეთი დიალექტოლოგიურად. „არჩილი“, თბ., 1925, გვ. 77.

³ თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, თბ., 1892, წ. 1, გვ. 87.

⁴ პროფ. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა გ ვ ა ც ნ ო ბ ა, რომ შეფე სოლომონ მეორის მიერ გაეცმულ სიგელში ეს გვარი მოხსენიებულია როგორც ყუბანეიშვილი. ამ შემთხვევაში გვარსახელში გამოხატულ გეოგრაფიულ სახელად ყ უ ბ ა ნ ი ს ნაცვლად ყ ე ი ბ ა ნ ი გვესახება.

ფუძეში მთლიანი -ელ ფორმანტია დაკარგული: ბეთანელიშვილი — ბეთანლიშვილი—ბეთანიშვილი. ეს გვარსახელი ტოპონიმ ბეთანი აზე მიგვითითებს. საყურადღებოა, რომ ბეთანიშვილის საგვარეულოს ზოგი წარმომადგენელი ბეთანელ-ადაც იწერება¹.

4. აჭარის ცნობილი გეოგრაფიული სახელი ხულო უნდა იყოს ჩაქსოვილი ხულებლიძე-ში. აქ ტოპონიმის ბოლოსმოვანი მოკვეცილად გვევლინება: ხულოელიძე — ხულებლიძე.

პირუჩუ მოვლენა -ელ სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვაა სავარაუდებელი ხანდოლიშვილ-ში. ხანდოს სახელწოდებით ცნობილია სოფლები ახალქალაქისა და დუშეთის რაიონებში (ამ უკანასკნელში არის ხანდოსხევიც). ასე, რომ ამ გვარსახელის წინარე სახედ ხანდოელიშვილი გვესახება, ისევე, როგორც შესაძლებელია არბოლიშვილიც არბოელიშვილისაგან მომდინარეობდეს².

5. საგულისხმო შენიშვნებს იწვევს ერთელიშვილი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია განსახილველი ტიპის გვარსახელთა ფუძეების რეკონსტრუქციისათვის.

თანახმად გადმოცემისა, ამ გვარეულობის წინაპრები სოფელ ერთისიდან ყოფილან (თეთრიწყაროს რ.)³. ერთისი, ჩვენი აზრით, იმ ტოპონიმთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა ძირი -ერ ელემენტამდე დაიყვანება, ესენია: ერეთა (ორჯონიკიძის რ.), ერედისკარი (ლაგოდეხის რ.), ერეთო (ყაზბეგის რ.), ერედა (მცხეთისა და ლენინგორის რაიონები), ერედვი (ცხინვალის რ.), ერისწყალი (გალის რ.) და ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი ჰერეთი. ამათ ეხმაურება გვარებიც: ერაძე, ერიაშვილი, ერიქაშვილი, ერკენაშვილი, ერკოშვილი.

თითქოს ექვს არ უნდა იწვევდეს ერთის-ის მიმდინარეობა ერთის-იდან, რომელიც თავის მხრივ რედუცირებული სახეა ერეთ-ისა, ძირეული ერთსიტყვის არსებობა უნდა მიგვითითებდეს უძველესი ხანის ეთნიკურ ტერმინზე ჰერ-ზე და ერიაზზე. იგი, როგორც ბევრი სხვა ეთნონიმი, ანთროპონიმადაც ქცეულა და ტოპონიმიშიც დამკვიდრებულა.

¹ ი. შაისურაძე, მიხეილ ბეთანიშვილი, „მნათობი“, № 7, 1970, გვ. 165—170.

² ი. შაისურაძე, საიდან მოდის ქართული გვარი? გაზ. „კომუნისტი“, № 189, 17/VIII. — 1974 წ.

³ პროფ. ფ. ერთელიშვილის ინფორმაცია.

სწორედ ამ გაგებით ექცევა ერთელიშვილი გეოგრაფიულ გეარსახელთა ლექსიკური პლასტის წიაღში.

6. კონკრეტულ ტოპონიმზე უნდა მიგვითითებდეს საკანდელიძე, კერძოდ, მისი ძირეული ნაწილი ნიშნულად ეხმაურება სოფლის სახელს სკანდა-ს (თერჯოლის რ.), რომლის მახლობლად ისტორიულად ცნობილი ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრეც არსებობს.

საკითხი ისმის საკანდა//სკანდ-ის გენეზისზე. ხომ არ უნდა ყოფილიყო მისი პირვანდელი ფორმა საკანთა, რომელმაც ერთი მხრით საკანდა მოგვცა (ასიმილაციის შედეგად). ხოლო მეორე მხრივ (რედუქციით) სკანდა? მით უმეტეს, რომ საკანსიტყვის ტოპონიმად გამოყენების შემთხვევაზე გვარსახელი საკანელიშვილიც მიგვითითებს. ხოლო საკანთა ტიპის თანიანი მრავლობითობის ფორმით წარმოქმნილი ტოპონიმების არსებობა კი მრავალმხრივ დადასტურებული ფაქტია.¹ (ჩხიკვათა, მოწამეთა, ცაბაურთა, გოგოლაურთა და სხვ.).

7. გეოგრაფიულ გეარსახელად უნდა ეცნოთ აგრეთვე დარსაველიძე, რომელიც სტრუქტურულად ბარდაველიძის იდენტურია, ორივე ფუძე -ავ ტოპოფორმანტით არის წარმოქმნილი. მათი ტიპის ერთეულები კი ძნელად საპოვნელი არ არის ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, ასეთებია: ბოდავი, ვარგავი, ზანავი, თელავი, კორსავი (შდრ. კორსაველი), ცურტავი... დარსაველიძის გვერდით დგას ხაჯაველიძეც. პირველი ამათგანი დარსავის სამოსახლო პუნქტად არსებობას გეავარაუდებინებს, მეორე — ხაჯავისას, ისევე, როგორც კანზაველიც გვაფიქრებინებს კანზავის ტოპონიმობას. ამ მხრივ ცალკე დაკვირვებისა და შესწავლის ღირსნი არიან აგრეთვე სხვა სახის -ელ ბოლოსართიან ფუძეთა შემცველი გეარსახელებიც: ხორხომელიძე (სავარაუდო ტოპონიმი ხორხომი, შდრ., ბორჯომი, ღორჯომი, თორთომი), ხახნელიძე (ხახანი?), გოდაბრელიძე (გოდაბარი//

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, გვ. 114, 136; გ. კაკარავა, ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებათვის ქართველურ ენებში, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 15, 1960, გვ. 216—221 ე. თოფურიძე, -თა სუფიქსისათვის ქართულში, ჟურნ. ჩვენი მეცნიერება, № 11—12, გვ. 7—10.

გუდაბარი), ტოროშელიძე (ტოლოშელიძე, ტოლოში სოფელია ასპინძის რაიონში), ტაველიძე (ტაოელიძე?), ვარასკნელიძე (ვარასკანი), ჰოველიძე (შდრ., ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში—ჰოეთი), ოზბეთელაშვილი (ოზბეთი), ჩხელიძე (შდრ.: ჩიხა, სოფელი საჩხერის რაიონში).

ჩამოთვლილ გვარსახელთა წარმოშობაზე ვარაუდებით მსჯელობა ერთი საგანგებო გარემოებით აიხსნება: გეოგრაფიულ გვარსახელთა განსაზღვრისას მკვლევარი იმის გამო, რომ -ელ ფორმანტი ორფუნქციანია (სადაურობის გარდა კინობითობასაც გამოხატავს), დაბრკოლებას აწყდება. ძნელდება სემანტიკური ტიპის დადგენა. ასე, მაგალითად, ვ ა რ ძ ე ლ ა შ ვ ი ლ -ში ვ ა რ ძ ე ლ ა კინობითი საკუთარი სახელის ფორმა ჩანს (ვარძ-ელ-ა), ვარძ-ი რომ საკუთარი სახელი ყოფილა, ამაზე მიგვითითებს მისი დერივატებიც: ვ ა რ ძ უ კ ა (შემონახული ვარძუკაშვილ-ში), ვ ა რ ძ ი ა (ვარძიაშვილ-ში) და რთული ფუძე ვ ა რ ძ ი გ უ ლ ა (ვარძიგულაშვილი), მაგრამ იგივე ფუძე სადაურობის მაჩვენებელ სიტყვადაც შეგვეძლო მიგვეჩინა: ვარძიელა (=ვარძიის მკვიდრი), მით უფრო, რომ არსებობს გვარსახელი ვ ა რ ძ ი ე ლ ი ც. ასევე ქ ვ ა თ ე ლ ა ძ ე ს ებონიმურ გვარსახელად მივიჩნევდით, თუ გავითვალისწინებდით, რომ ქ ვ ა თ ა საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო, რასაც გვაფიქრებინებს ქ ვ ა თ ა ძ ი ს არსებობა. ამ შემთხვევაში ქ ვ ა თ ე ლ ა წარმოქმნილი სახეობა იქნებოდა ქ ვ ა თ ა -სი (ქვათა + ელ-ა), მაგრამ არის სოფლის სახელი ქ ვ ა ი თ ი ც (გეგეპკორის რ.). ამიტომ ჩნდება ვარაუდი ქვათელას წარმოშობისა ქ ვ ა ი თ ე ლ ა -საგან. იგივე ითქმის ჩ ი ხ ე ლ ი ძ ი ს, კ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ი ს, ე რ გ ე მ ლ ი ძ ი ს, კ ო შ კ ე ლ ი ძ ი ს, ნ ო ს ე ლ ი ძ ი ს, ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ი ს ა და მათ მსგავსა შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია იმ სახელთა და გვარსახელთა ნიმუშები, რომელთა საწარმოებლად შ — ელ ფორმანტებია გამოყენებული. ესენია: მასპინძელ, მეგვიპტელ, მაწყვერელ, მარადელ, მროველ ტიპის ვინაობა-სადაურობის სიტყვები.¹

ანალოგიური სტრუქტურისაა თანამედროვე გვარსახელები მ ა რ ა ბ ე ლ ი, მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მ ა რ ა დ ე ლ ი². მათ შეიძლება დაე-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1973, გვ. 127.

² ი ქ ვ ე.

მატოს მ ა ტ ა ბ ე ლ ი (სავარაუდო ტოპონიმიდან — ატაბა) და მ ა რ ა ნ ე ლ ი (სოფლის სახელისაგან არანისი, თუ მას -ელ სუფიქსიანი სადაურობის სიტყვა არ უდევს საფუძვლად და სოფლის სახელს მარანას არ უკავშირდება)¹. პირველი შემთხვევისათვის სიტყვა ასე იშლება მ-არან-ელ-ი, მეორისათვის — მარან-ელ-ი) და შეიძლება მ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ც. თუ ეს დასაშვებია, მაშინ მრელა მ ე რ ე ლ ა-საგან მიღებულად უნდა ვივარაუდოთ. მისი აგებულება კი ასე დაგვესახებოდა: მ-ერ-ელ-ა, მასში ძირეულ ტოპონიმად ერეთი. ერეთა თუ მერეთი უნდა გვეგულებინა, ე. ი. იმ რიგის გეოგრაფიული სახელი, რომელთა ნიმუშები ერთელიშვილის განხილვისას წარმოვადგინეთ.

-არ სუფიქსით წარმოებულ გეარსახელთა ტიპობრივ ერთეულად ხოტივარი უნდა ჩაითვალოს, რაც ხოტევე სოფლის სახელისაგან იღებს სათავეს (ამბროლაურის რ.). მის პირველსახედ ნაგულისხმევ ხოტევეარ-ში ე ხმოვნის დავიწროებაა აღსანიშნავი: ხოტევეარი — ხოტივარი².

ამ მორფემის გამოყენება ქართველურ ენებში უძველესი ტრადიციისაა. მეგრულსა და ქანურში მას ადამიანის სადაურობის გამოხატვაში გაბატონებული ადგილი უჭირავს³. ამითვე აიხსნება -არ სუფიქსიანი გვარების არსებობა სამეგრელოში: ო დ ი შ ა რ ი ა. აქ ოდიშარ შეესატყვისება ქართულ ოდიშელს (არსებობს გეარსახელი ოდიშელიძეც), ხ უ ნ წ ა რ ი ა, ხუნწარი უდრის ხუნწელ-ს (არის საამისოდ შესაბამისი გეარსახელები ხუნწელია და ხუნწელიც, ხუნწი კი სოფელია გეგეკორის რაიონში), ც ხ ო მ ა რ ი ა შეიცავს ფუძეს ცხომს (ცხუმს) და უდრის ცხომელიძეს.

ცალკე შესწავლასა და ფუძეებში ჩაქსოვილ გეოგრაფიულ სახელთა ამოცნობა-დადგენას მოითხოვს ამავე კონსტრუქციის გეარსახელებიც: ხოშტარია (ძირეულია ხოშტა, შდრ., ხოსტა), ქანთარია (ძირი ქანთა, შდრ., ქართლის სოფლის სახელი ქანდა, მცხეთის რ.), მითაგვარია, ბაბუშარია, კოტარია, მანდარია, ლატარია...

ქართულ სინამდვილეში გეოგრაფიულ გეარსახელთა ამგვარი

¹ არანისი დუშეთის რაიონშია, ხოლო მარანი აბაშის რაიონში.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში, თხზ., 1. თბ., 1957, გვ. 28—32.

³ ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე, რა გქვია შენ? თბ., 1971, გვ. 51.

წარმოების თვალსაზრისით, გარდა ა. შანიძის მიერ მითითებული ფაქტებისა (ოპიზარი, ოლთისარი, ვიხიკარი...), ყურადღებას იქცევენ აგრეთვე საკოცარი და სამძივარი.

საკოცარი X საუკუნის ხუროთმოძღვრის, კუმურდოს ტაძრის ამშენებლის ზედწოდებაა. ამავე ტაძრის სამხრეთ კარიბჭის თავზე მოთავსებულ წარწერაში იგი რედუტირებული ფორმით მოიხსენიება... („იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამისა ეკლესიისაჲ ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისათა ლეონ მეფისა ზ“...)¹.

საკოცარ-ში ჩვენს მიერ ნაეარაუდვეი საკოცი შესაძლებელია ფონეტიკურად სახეცვლილი სიტყვა იყოს, მიღებული საკეცი-ისაგან, სადაც ვე კომპლექსის ო-დ გადასვლის ცნობილი მოვლენა იყოს რეალიზებული.

სამძივარი XII საუკუნის მსხვილი ფეოდალური საგვარეულოს ზედწოდება სამძივ ფუძეს გვიჩვენებს, რომელიც თავის მხრივ სამზივ-ისაგან უნდა მომდინარეობდეს და აღნიშნავდა სამხრეთისაკენ მიმართულ კუთხეს, მხარეს, თუ სამოსახლო პუნქტს და მზვარის (მზიგულის), მზიანი ადგილის გაგებას გამოხატავდა. როგორც ირკვევა, სამძივის ხევი დღევანდელ ბორჯომის რაიონში ერქვა ხევის, რომელიც მზეთამზესა და სადგერის მიდამოებშია საგულვებელი. სამძივართა სასახლე სადგერში ყოფილა, მათი აყრის შემდეგ XVII საუკუნეში აქ გოგებაშვილთა საგვარეულო დამკვიდრებულა (გ. ლ. ე. ო. ნ. ი. ძ. ე. გოგებაშვილთა გვარის ისტორიისათვის, „ციხკარი“, № 10, 1960). სამზივარი, იგივე სამძივარი ხევსურეთში ქალის სახელადაც არის გამოყენებული. იგი მზის ცნებასთან დაკავშირებულ ქალთა სახელების რიგს ეკუთვნის (შდრ., მზეონა, მზეხა (→ მზე ხარ), მზია, მზევინარი, მზექალა და მისთ.).

მეორე რიგის გეოგრაფიული გვარსახელები, როგორც ითქვა. საგვაროვნო დაბოლოებას არ ირთავენ, ისინი არსებითად გვარსახელებად ქცეული სადაურობის სიტყვებია (ოდენ ფუძიანი), რომელთა შესახებ წარმოდგენას ქვემოთ მოყვანილი სია იძლევა: ავაზნელი, (სოფ. ტაო-კლარჯეთში), ამაშუკელი (სოფ. ამაშუკეთი, ორჯონიკიძის რ.), ანატორელი (ანატორი, ნასოფლარი ღუშეთის რ.),

¹ ვ. ბ. რ. ი. ძ. ე. ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 202.

ანელი (ანი, სოფ. ახალციხის რ.), არღუნელი (არღუნის ხეობა ხევსურეთში), ახატნელი (ახატანი, სოფ. ახმეტის რ.), ახმეტელი (ახმეტა, რაიონული ცენტრი), ბელაქნელი (ბელაქანი, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანის სსრ), ბოგველი (სოფ. ბოგვი, თეთრიწყაროს რ.). გოკიელი (სოფ. გოკია, ახალქალაქის რ.). გომარელი (სოფ. გომარო, ადიგენის რ.), გომართელი (სოფ. გომარეთი, დმანისის რ.), გრაკლელი (სოფ. გრაკალი, კასპის რ.), დადუშელი (ნასოფლარი დადუში, ასპინძის რ.), დგვარელი (სოფ. დგვარი, ბორჯომის რ.), ერგნელი (სოფ. ერგნეთი, გორის რ.), ვარდიგორელი (სოფ. ვარდიგორა, თერჯოლის რ.), ვარძიელი (ნასოფლარი ზედა ვარძია, ცნობილი მონასტერი და გამოქვაბულთა კომპლექსი, ასპინძის რ.), ზანდუკელი (სოფ. ზანდუკი, მთიულეთში), თორი (ისტორიული მხარე, ბორჯომის რ.). თუხარელი (თუხარისი ისტორიული სოფ. ტაოკლარჯეთში), თხინვალელი (სოფ. თხინვალი, გარდაბნის რ.), ინწყირველი (სოფ. ინწყირვეთი, შუახევის რ.), კორინთელი (სოფ. კორინთა, ლენინგორის რ.), კორიშელი (შდრ.; სოფ. კორშა, ხევსურეთში), კორხელი (სოფ. კორხი, ახალქალაქის რ.), ლიჩელი (სოფ. ლიჩი, საჩხერის რ.), მათურელი (სოფ. მათურა ფშავში), მესხელი (მესხეთი), მეტეხელი (სოფ. მეტეხი, კასპის რ.), მეტრეველი (მეტრევეი, ტოპონიმი რაჭაში), მინდელი (სოფ. მინდა, ხელვაჩაურის რ.), მურჯიკნელი (ნასოფლარი მურჯიკანი, ახალქალაქის რ.), ნაბახტეველი (სოფ. ნაბახტევეი, ხაშურის რ.), ჩორდელი (სოფ. ჩორდი, ონის რ.), ოცხელი (ისტორიული ოცხე იგივე ოძრხე, დღევანდელი აბასთუმანი, ადიგენის რ.), სავანელი (სოფ. სავანე, საჩხერის რ.), საჩალელი (საჩალისი, საჩალე, ახმეტის რ.), სხვაველი (სოფ. სხვავა, ამბროლაურის რ.), ქმოსტელი სოფ. ქმოსტე ხევსურეთში), ქსოვრელი (სოფ. ქსოვრეთი, თეთრიწყაროს რ., სოფ. ქსოვრიისი მცხეთის რ.), ქუშხეველი (სოფ. ქუშხევეი, თიანეთის რ.), ყანდარელი (ქ. ყანდაარი ირანში), ყანჩაველი (სოფ. ყანჩავეთი, ლენინგორის რ.), ყურელი (ნასოფლარი ყური, ასპინძის რ.), ჩიხორელი (სოფ. ჩიხორი, თერჯოლის რ.; შდრ. ჩიხორიში, ნასოფლარი ასპინძის რ.), ჩოხელი (სოფ. ჩოხი, დუშეთის რ.), ცაგარელი (—ცაგერელი, ქ. ცაგერი), წერეთელი (სოფ. წერეთი, გორის რ.), წკადელი (სოფ. წკადისი, ამბროლაურის რ.), ჭიაურელი (ნასოფლარი, ტყე ჭიაურა, ლაგოდების რ.), ხელთუბნელი (სოფ. ხელთუბანი, გორის რ.), ხორხელი (სოფ. ხორხი, ფშავში), ხოშარელი (სოფ. ხოშარა, ფშავში), ხუნწელი (სოფ. ხუნწი, გეგეჰკორის რ.), ჯანხოთელი (სოფ. ჯანხოტი, კრასნო-

დარის მხარე, რსფსრ), ჯაყელი (სოფ. ჯაყი, იგივე ჯაყისმანი ტაო-კლარჯეთში), ჯუღელი (სოფ. ჯუღისი, დუშეთის რ.)...

წარმოდგენილი სია, ცხადია, ვერ ამოსწურავს ოდენ-ფუძიან ანუ, როგორც ჩვენ ვუწოდეთ, უსუფიქსაციო გეოგრაფიული გვარსახელების რაოდენობას. მათ პირველი ტიპის (საგვაროვნო სუფიქსებით გაფორმებულ) გეოგრაფიულ გვარსახელებთან ერთად, რიცხობრივად საგრძნობი ადგილი უჭირავთ ქართულ პატრონიმიკულ ლექსიკაში. მათი განხილვა მრავალ სპეციალურ შენიშვნას იწვევს, რომელთაგან ზოგიერთს შევეხებით.

პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ -ეთ-სუფიქსიანი ტოპონიმებისაგან მომდინარე შედარებით მცირერიცხოვან ერთეულებს სადაურობის -ელ ფორმანტის დართვისას -ეთ ჩამოკვეცილი აქვთ, რაც ძველ ვითარებას გამოხატავს, ასეთებია: ენაგელი, ერგნელი, მესხელი, ქორელი... (მათი შესაბამისი ტოპონიმებია: ენაგეთი, ერგნეთი, მესხეთი, ქორეთი), უმრავლესობას ხსენებული ფორმანტი შენარჩუნებული აქვს, რაც სადაურობის სიტყვათა წარმოების ახალი ტენდენციაა: გომართელი (გომარეთელი), კარგარეთელი, წერეთელი...

ასევე ორნაირი სახეობა შეინიშნება ნაგენტივარი ტოპონიმებისაგან მიღებულ გეოგრაფიულ გვარსახელთა შორისაც: ერთი მხრით გვაქვს ფორმანტ-ჩამოკვეცილი სახეობანი: ბირთველი, თუხარელი, ქსოვრელი, წკადელი... (შესაბამისი ტოპონიმებისაგან — ბირთვისი, თუხარისი, ქსოვრისი, წკადისი..) მეორე მხრით — ფორმანტ-შემონახულნიც: ივანისელი, კლდისელი, ციხისელი... აგრეთვე კოლხური გენტიური ფორმის ტოპონიმ გორგიშ (←გიორგიშ)-ისაგან მიღებული გორგიშელი (თითქოს ამავე მოდელისა უნდა იყოს გავაშელი და ხიდაშელიც).

სიაში წარმოდგენილ 104 ოდენ-ფუძიანი ანუ უსუფიქსაციო გეოგრაფიული გვარსახელიდან -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმებისაგან მომდინარე 12 ერთეულია, რომელთაგან -ელ ფორმანტის დართვისას მ-ხ -ეთ ჩამოკვეცილი აქვს, რაც ძველ ვითარებას გამოხატავს: ინწკირველი, ენაგელი, ერგნელი, მესხელი, ქორელი და სხვ. (შდრ.: ძველი ზედწოდებანი ტბელი—ტბეთიდან, გუჯარელი—გუჯარეთიდან...), დანარჩენს ხსენებული ფორმანტი შენარჩუნებული აქვს, რაც

სადაურობის სიტყვათა წარმოების ახალი ტენდენცია¹: გომართელი (გომართელი), კარგართელი, წერეთელი. ასევე ორნაირი წესი შეინიშნება ის-ბოლოსართიან ნაგენიტივარ ტოპონიმებისაგან მიღებულ გვარსახელთა შედგენილობაშიც: ერთი მხრით გვაქვს ფორმანტ-ჩამოკვეცილი სახეობა: ბირთველი, თუხარელი, ქსოვრელი, წყადელი, ჩიხორელი (კოლხური ნაგენიტივარი ტოპონიმისგან — ჩიხორიში, თუმცა არის სოფელი ჩიხორიც თერჯოლის რ.), მეორე მხრით, ფორმანტ-შემონახული ერთეულები: ივანისელი, კლდისელი, ციხისელი, გორგიშელი (იგულისხმება კოლხური დაბოლოების ტოპონიმი გორგიში [გიორგიში]), ამავე მოდელს გვიჩვენებს გავაშელი (სავარაუდოდ ტოპონიმი გავაში).

ყურადღებას იქცევს გარეგნულად სახეცვლილი რამდენიმე გვარსახელი, რომელთა პირვანდელი სახის დასადგენად გასათვალისწინებელია მათში რეალობებულები ფონეტიკური ცვლილებები:

1. ჩვენი აზრით, ხინველის საფუძველია სოფლის სახელწოდება ხინო (ქობულეთის რ.). ო ხმოვნის ვ-დ შეცვლა ნაწილობრივ რედუქციის შედეგია: ხინოელი → ხინველი.

2. სრესელ-ში საგულებელია ლ-ს დისიმილაცია. იგი უნდა მომდინარეობდეს სლეს-იდან (სლესა სოფელი იყო სამცხეში)². ამავე სახელწოდებით დღეს ნასოფლარი და ციხეა ცნობილი ახალციხის რაიონში. აქედანვეა ნაწარმოები ძველი ზედწოდება სლესარი.

ს ლ ე ს ე ლ ი → ს რ ე ს ე ლ ი.

3. დასაშვებად მიგვაჩნია კვეზელი კვესელისაგან მოდიოდეს ხმოვანთა შორის მოქცეული ს-ს გამჟღერების (ასიმილაციის) გზით. კვესეთი სოფელია თბილისის მახლობლად (გარდაბნის რ.)³. მასვე უკავშირდება კვესელაძეც (იხ. ზემოთ). შდრ. აგრეთვე კვესელავა.

4. ე ხმოვნის რედუქცია და თ თანხმოვნის ასიმილაციური გამჟღერებაა საფიქრებელი გვარსახელ ერდელ-ში, რომლის პირვანდელ ძირად ერეთია სავარაუდოდ ამ სახით:

ერეთი → ერედი; ერედელი → ერდელი

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1973, გვ. 127.

² ს. ჭ ი ჭ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გაჭოკ-ვლევა, თბ., 1958, გვ. 144.

³ საქართველოს სსრ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, თბ., 1966.

5. ორი ფონეტიკური პროცესი, სახელდობრ ზ-ს წინ მ-ს ჩამატება და რ-ს წინ ვ-ს დაკარგვა დასტურდება ხ ი ზ ა მ ბ ა რ ე ლ-ში, რომელიც ხიზაბავრელ-ისაგან იღებს სათავეს.

ხ ი ზ ა ბ ა ვ რ ე ლ ი → ხ ი ზ ა მ ბ ა რ ე ლ ი.

ეს პროცესი ქართლური დიალექტური მეტყველების წიაღში უნდა იყოს მომხდარი. ხიზაბავრელისა და ხიზამბარელის ერთიდაიგივეობაზე მიგვითითებს ხალხური გადმოცემა ხიზაბავრიდან (ასპინძის რ.) განთქმული ფალავნის ვინმე გიორგის ჩამოსახლებაზე სოფ. ნოსტეში, გიორგი სააკაძის დროს¹. ამასვე ამტკიცებს ამ ორი გვარსახელის პარალელური ხმარება².

6. სუბსტანტივირებული ზმნისართი გარეთი უდევს საფუძვლად კარგარეთელს. წინ მდგომ კარსიტყვასთან ერთად იგი გულისხმობს სინტაქსურ წყვილულს (კარის გარეთი), სადაც პირველი გენეტიური მსახლვრელია, მეორე — საზღვრული, მაგრამ ერთ ცნებად და სიტყვად გაერთიანებული. იგი აღნიშნავს კარის გარეთ არსებულ არეს, მიდამოს. მეტონიმიურად კარს განზოგადებული შინაარსიც ჰქონდა. კარი ფეოდალურ სახელმწიფოში (იგივე კარსე³) პოლიტიკური შინაარსის ტერმინი იყო და მეფის ირგვლივ შემოკრებილ სამოსამსახურო (სამოხელეო) კრებულს ნიშნავდა.

კარის ამ მნიშვნელობაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ კარგარეთი, თუ სიტყვის ამავე სემანტიკურ ხაზს გავყევით, კარის საპირისპირო ცნების აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო და მისი საშუალებით უნდა გამოხატულიყო სამეფო (ან სათავადო კარის გარე მდგომ) მოხელეთა ინსტიტუტი⁴.

გვარსახელი კარგარეთელი, ვფიქრობთ, ამ საფუძველზე უნდა შექმნილიყო და, პირველყოვლისა, იგი სამოხელეო ზედწოდებას წარმოადგენდა.

7. კომპოზიტური შედგენილობისაა რ ი მ ნ ი ს თ ა ვ ე ლ ი. რო-

¹ მ. ველიჯანაშვილი, ხიზაბავრის მეგზური, თბ., 1964, გვ. 27, 28.

² „ივერია“, № 183, 1888.

³ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

⁴ ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა დაკვირვება სოფლის სახელ კარსანზე (მცხეთის რ.), ხომ არ იყო იგი კარის მსახურთა საგანგებო საცხოვრებელი პუნქტი და ამის გამო ადრინდელი მისი ფორმა ხომ არ იყო „კარისანნი“ ეს ვარაუდი გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ალ. დლონტი, მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 12).

მელიც მსაზღვრელ-საზღვრულის შენაერთია. მისი პირველი კომპონენტი, სუბსტანციური მსაზღვრელი „რიმნის“, როგორც ეს აკ. შანიძემ მიუთითა, მიღებულია მდინარის სახელ რიონ-ისაგან, იგი ნათესაობით ბრუნვაში ნაწილობრივ კუმშვის გამო გამოითქმის როგორც რ ი ვ ნ ის (შდრ., იორი — იერის, ნიორი — ნიერის). ნარედუქციალ ვ-ს კი, როგორც ირკვევა, მ მოუცია. ამგვარად მიღებულია რ ი მ ნ ის თ ა ვ ი (—რივნისთავი). იგი რიონის სათავეში მდებარე ადგილზე მიუთითებს, სახელდობრ, იმ მიდამოზე, სადაც დღეს სოფლები ჭიორა და ღებია. აქედან ჩანს, რომ რიმნისთაველები ერთ-ერთი ამ სოფლიდან უნდა იყვნენ გადასული იმერეთში.

უაფიქსო გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურულ მოდელს გვიჩვენებს კიდევ ბევრი სხვა პატრონიმული ერთეული, რომელთა ფუძემდებელი ტოპონიმები დღესდღეობით უცნობია, მათ გამორკვევა-დადგენას დამატებითი ძიება დაჭირდება ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტით. ასეთებია: ამდლობელი, ბოტკოველი, გაკაშელი, დიდებელი, კანზაველი, კასარელი, კაშელი, კვეზერელი, კირჩხელი, კოზელი, კორჩინელი, ლასკარელი, ნაპირელი, ნოლაიდელი, ოსკობელი, ოშხერელი, სხიერელი, ყანჩელი, ჩადუნელი, ჩხენკელი, ციხისელი, ძაგანელი, ხაბარელი, ხანდაველი, ხეთერელი, ხიდაშელი, ხიდურელი.

პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ნ ი

პროფესია-მოსაქმეობისა და წოდება-თანამდებობის გამომხატველი ქართული გვარსახელები შინაარსის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფად დაიყოს.

ა) მიწათმოქმედებასა და, საერთოდ, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ტერმინთა შემცველნი: ბაზიერაშვილი (ბაზიერი — ქორშევარდენთა მწვრთნელი და ყურისმგდებელი, ქეგლ), მებალიშვილი (მებალე), მებზევიშვილი (მებზევე — ბზის შემნახველ-გამგებელი), მეგუთნიშვილი (მეგუთნე), მეზერიშვილი (მეზერე), მეკრაიშვილი (მეკრავე — კრავების მწყემსი), მემარნიშვილი (მემარნე), მეპურიშვილი (მეპურე — პურის შემნახველ-გამრიგებელი), მეტივიშვილი (მეტივე), მეურმიშვილი (მეურმე), მექვევრიშვილი (მექვევრე), მეხრიშვილი (მეხრე), მთიბელაშვილი (მთიბელი), მოახლიშვილი (მოახლე), ფარეშაშვილი (ფარეში) და სხვ.

როგორც ჩანს, აქ წარმოდგენილი ტერმინები უმეტეს შემთხვე-

ვაში ფეოდალური ყოფისათვის დამახასიათებელ უიპარებას ასახავს და უმთავრესად შინაყმების მოსაქმეობის სახეებზე მიუთითებს.

ბ) სხვა გვარებში აღბეჭდილია ძველი სოფლის მოხელეთა თუ თანამდებობის პირთა აღმნიშვნელი სიტყვები, როგორც არის: გზირიშვილი, დიაკვნიშვილი, მამასახლისი, მდივნიშვილი, მოურავიძე, მწერლიშვილი, მღვდელაძე, ქემხაძე (ქემხი - სოფლის მოხელე, იგივეა, რაც მამასახლისი, ქეგლ), შათირიშვილი (შათირი — შიკრიკი, მალემსრბოლი, იქვე)...

გ) ვხვდებით გლეხთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამომხატველ ტერმინებსაც: ბატონისა (ბატონის კუთვნილი), თარხანი (განთავისუფლებული ყმა), მეფისა (მეფის კუთვნილი), შაჰყული (შაყული — შაჰის ყული, ანუ მონა, ყმა), ხიზანი, ხურდაყული (ხურდის საფასე), რომლებიც წარმოდგენილია შესაბამის გვარსახელებში: ბატონისაშვილი, თარხნიშვილი, მეფისაშვილი, შაყულაშვილი (შდრ.: სომხური შაჰყულიანი), ხიზანიშვილი, ხურდაყულიშვილი...

დ) წოდება-თანამდებობის ტერმინებია ჩაქსოვილი შემდეგ გვარსახელებში: ათაბეგი, ათაბეგაშვილი (ათაბაგი, ათაბეგი — სამცხის მმართველთა ტიტული), აზნაურაშვილი (აზნაური), ამირბარაშვილი (ამირბარი — სპარს., საზღვაო ფლოტის უფროსი, „ზღვის ამირა“, აღმირალი, ქეგლ), ამილახვარი—ამილახორი—ამირახორი—(ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ძველ საქართველოში, სამეფო საჯინიბოებისა და აბჯარ-საქურვლის გამგე, ქეგლ), ამირეჯიბი (სპარს., ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ძველ საქართველოში მანდატურთუხუცესის თანაშემწე სამეფო კარზე, წესრიგის მეთვალყურე პურობისა და დარბაზობის დროს, იქვე), ბეგიშვილი (ბეგი, თურქ., მემამულე, მმართველი, გამგე, იქვე), გამგებლიძე (გამგებელი), დარბაისელი (სამეფო დარბაზის წევრი, წარჩინებული პირი: —დარბაზისელი), ერისთავი (მხარის მმართველი, დიდი ფეოდალი), ეჯიბაძე, ეჯიბია (ეჯიბი, არაბ., მეფის მეკარე, ქეგლ), ვეზირიშვილი (ვეზირი), მელიქიშვილი (მელიქი—არაბ., კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველი, გამგებელი, იქვე), მესტუმრიშვილი (მესტუმრე — „სტუმართ-მოურავი“, საბა)...

ე) შინამრეწველობის სხვადასხვა დარგზე, საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ პროფესიულ შრომა-საქმიანობაზე, ხელოსანობაზე, ვაჭრობა-მრეწველობასა და ტრანსპორტზე პირდაპირ წარმოდგენას გვაძლევს გვარსახელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა: ბა-

ზაზიშვილი (ზაზაზი — ფართლელეთ მოვაჭრე), ზაყლიშვილი (ზაყალი — ხილელეთა და ბოსტნელეთ მოვაჭრე), დაბალიშვილი (დაბალი — ტყაყის დამამზადებელი), ზოფიშვილი (თოფი—თურქ. მეთოფე), კალატოზიშვილი (კალატოზი), კუპრავეიშვილი (კუპრავეი—მკუპრავეი, მეკუპრე, ტიკების მკეთებელი, ვინც ტიკებს კუპრავს, ქეგლ), მებორნიშვილი (მებორნე — ბორნის მმართავე), მეზურნიშვილი (მეზურნე), მეთეფშიშვილი (მეთეფში), მეკონდახიშვილი (მეკონდახე), მეკოკიშვილი (მეკოკე, კოკის მკეთებელი), მეკოშკიშვილი (მეკოშკე — კოშკის მცველ-გამგებელი), მენალარიშვილი (მენალარე), მესაბლიშვილი (მესაბლე, საბლის მგრეხელი), მესარკიშვილი (მესარკე, სარკის მკეთებელი), მეუნარგია (მეუნარგე — მეგრ. მეუნაგირე), მეფარიშვილი (მეფარე, ფარის მკეთებელი), მექანარიშვილი (მექანარე — ქანარის ანუ ქნარის მკეთებელ-დამკვრელი მემუსიკე), მექოთნიძე (მექოთნე), მეყანწიშვილი (მეყანწე, ყანწის მკეთებელი), მეშილდიშვილი (მეშილდე), მელექსიშვილი (მელექსე), მელალიშვილი (მელალე — ღალის ამღები), მესაშიშვილი (მესაში), მკალაღიშვილი (მკალაღი), მჭედლიშვილი, მჭედლიძე, მჭედლური (მჭედელი), ნალბანდიშვილი (ნალბანდი), ნოქარიშვილი (ნოქარი), საღუნეშვილი (საღუნი — „სხვადასხვა ენის მცოდინარე კაცი“, საბა), საზანდრიშვილი (საზანდარი), სარაჯიშვილი (სარაჯი — უნაგირისა და ცხენის სხვადასხვა საკაზმის მკეთებელი, მეუნაგირე, ქეგლ), სოვდაგრიშვილი (სოვდაგარი), ყაზაზიშვილი (ყაზაზი — ყათან-ბუზმენტების მქსოველი, იქვე), ჩოდრიშვილი (ჩოდარი — პირუტყვით მოვაჭრე, იქვე), ჩუბინიშვილი. ჩუბინიძე, ჩუბინაშვილი (ჩუბინი — ნიშანში მსროლელი), ქონიშვილი (ქონი — მქუღე).

ვ) ცალკე უნდა იქნეს მითითებული ხელობა-პროფესიისა და თანამდებობა-წოდების აღმნიშვნელი ის გვარსახელები, რომლებიც შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველ სამთავროში, ტაოკლარჯეთსა და აჭარა-სამცხეში თურქ-ოსმალთა ბატონობის დროს (მე-16—18 სს.), დადასტურებულია, რომ ე. წ. გურჯისტანის ვილაიეთის (სამცხე-საათაბაგოს) მოსახლენი, უმთავრესად მოქალაქენი, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩამულნი სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იძულებულნი ხდებოდნენ დამპყრობელთა კარნახით უკუეგდომო ტრადიციულ-ეროვნული სახელ-გვარები და მიეღოთ თურქულ-სპარსული ზედწოდებანი, ეტარებინათ მეტსახელები, რო-

მელთა შინაარსი ძირითადად მოსაქმეობის ამა თუ იმ დარგის უცხოურ ტერმინებთან ან სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან იყო დაკავშირებული. დღემდე შემოგვრჩა ამ გზით შექმნილი გვარსახელები: ბეზირგანიშვილი (ბეზირგანი — სპარს. დიდვაქარი), დარაბეგიშვილი (დარაბეგი — თურქ-სპარს. ხევის ბატონი, ხევის თავი), თოქმაჯიშვილი (თოქმაჯი — თურქ. კვერის მცემელი სამშველლოში, რკინეულის მკეთებელი ხელოსანი, ქეგლ), იგითხანიშვილი (იგითხანი — იჯიდ (ხანი — თურქ-სპარს., მამაცი ხანი, შდრ., სომხ. იგიდხანიანი), კალაიჯიშვილი (კალაიჯი — თურქ. მკალავი), მაქანდრიშვილი მაქანდარი — სპარს. მემუსიკე), ულარჯიშვილი (ულარჯი — თურქ. მელდირე), ქილარჯიშვილი (ქილარჯი — თურქ. მეკუჭნავე), ქურქჩიშვილი (ქურქჩი — თურქ. ქურქების მკერავი, აქედანვეა ქურქჩიბაშიშვილი, ქურქჩიბაში — მთავარი მექურქე), ყაზანჯიშვილი (ყაზანჯი — თურქ. მექვაბე, შდრ., სომხ. ყაზანჯიანი, რუსული ყაზანცევი), ყაიაბეგიშვილი (ყაია ბეგი — თურქ. კლდის მებატონე, მფლობელი, კლდე სოფელია ახალციხის რაიონში), ყალაბეგიშვილი (ყალაბეგი — ციხის, კოშკის მებატონე, მფლობელი, ან გამგებელი), ყვინჩიშვილი (ყვინჩი — ყუინჯი — თურქ. ოქრომჭედელი), ყაუხჩიშვილი (ყაუხჩი — მექუდე), ჩილინგარიშვილი (ჩილინგარი — სპარს. ზეინკალი).

თურქული მეტსახელები უდევს საფუძვლად რამდენიმე გვარს: ბურნუსუზაშვილი („ბურნუსუზ“ — უცხვირო), პარმახსიზაშვილი („პარმაკსიზ“ — უთითო), ჩახალაშვილი („ჩახალ“ — ჭროლა), ყირქესალიშვილი („ყირკ ესელ“ — ორმოცქისიანი), ყარაგოზაშვილი (ყარანგოზაშვილი, „ყარაგოზ“ — შავთვალა).

ზ) ხალხური გადმოცემის თანახმად, ზოგიერთი მოხელე-ოსტატის გვარი შექმნილია იმ საგნის დასახელების საფუძველზე, რომლის მკეთებელი ის იყო, მაგალითად, კოვზაძეები (ფერსათი, მაიაკოვსკის რ.) დღემდე კოვზების გათლა-დამზადებით არიან ცნობილნი. ასევე გადმოცემის თანახმად, ტივაძეების წინაპარნი ტივის მოხელენი, მეტივეები ყოფილან. ეს თუ ასეა, მაშინ შესაბამისი საქმიანობის დასახელებას, ვფიქრობთ, უნდა უკავშირდებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი გვარსახელებიც, რომლებშიც ჩაქსოვილია გარკვეული საგნების სახელწოდებანი: საჩეჩელი, ყავარი, საცერი, ტყავი, ტომარა, კურტანი, ნაბადი, სადღეებელი, ციცხვი, ჯაჭვი; შესაბამისი გვარებია: საჩეჩელაშვილი, ყავრიშვილი, საცერაძე, ტყავაძე, ტომარაძე, კურტა-

ნიძე, ნაბადაშვილი, სადღეებელაშვილი, ციცხვაძე (ციცხვაია) და ჯაქვაძე.

წარმოების თვალსაზრისით საკვლევი გვარები სხვა ტიპის გარსახელთაგან არ განსხვავდება. მათთვისაც ისევე, როგორც ყველა დანარჩენისათვის, სუფიქსაცია არის დამახასიათებელი, მაგრამ საყოველთაოდ გავრცელებული მორფემებისაგან ისინი უმთავრესად შვილ-სა და ძე-ს ირთავენ, ამასთან აბსოლუტური უმრავლესობა შვილ-ზეა დაბოლოებული.

შერქმეული გვარსახელები

შერქმეული ვუწოდებთ მეხუთე ჯგუფის გვარსახელებს. მათი სპეციფიკური ნიშანი ფუნქციური ხასიათისაა, რაც დაკავშირებულია მის გამოკვეთილ, სემანტიკურ ბუნებასთან. ასეთი გვარსახელები ენობრივ კოლექტივში შეგნებული გააზრების საფუძველზე არიან შექმნილი ამა თუ იმ პიროვნების ზოგადი სპეციფიკური ნიშნების, მისი საერთო თვისობრიობის აღსანიშნავად. შერქმეული გვარი არსებითად გვარის ფორმით წარმოდგენილი მეტსახელია; უმეტესწილად ძე-ზე, ან შვილ-ზე დაბოლოებული.

შერქმევა თავისთავად გულისხმობს გარკვეული სოციალური წრის მიზნობრივ შემოქმედებითს ჩარევას სახელდების პროცესში. ამ შემთხვევაში გამოყენებულია მოხერხებულად შერჩეული სიტყვა — ეპითეტზე აგებული გვარსახელი, რომელიც ერთ სემანტიკურ ერთეულად აღიქმება და სახელის ფუნქციას ასრულებს. ეს შეიძლება ერთ მაგალითზე ნათელვყოთ.

მატყუარა კაცის აღსანიშნავად ხალხს ბევრი მოხდენილი ეპითეტი და სინონიმი შეუქმნია, მათ შორის აღსანიშნავია გამოთქმა „ტყუილების გულა“, რომლის პარალელურად ჩვენ შეგვხვდა ტყუილაძე (იმდენი ტყუილები იცის, გაგებრამს, ნამდვილი ტყუილაძეა“, ჩაწერილია ჩვენს მიერ სოფელ მუსხში, ახალციხის რ., 1948 წ.).

როგორც ვხედავთ, ტყუილაძე თავისი აგებულებით გვარსახელია, მაგრამ რომელიმე კონკრეტულ საგვარეულოზე კი არ მიგვითითებს, იგი ხელოვნურად შექმნილი მეტსახელია, რომელიც განზოგადებულ შინაარსს გადმოგვცემს. ძე ფორმანტი აქ სიტყვის წარმოებელ ელემენტად გვევლინება და არა გენეალოგიური შტოს მაჩვენებლად.

შერქმეული გვარების შექმნას ესა თუ ის შემთხვევა, რაიმე ღირსშესანიშნავი ფაქტი ედებოდა საფუძვლად. სოფელში სხვა ადგილიდან ოჯახის მოსვლა და დასახლება, ერთ-ერთი ისეთი ფაქტია, რომელსაც გვარის შეცვლის საჭიროებაც თან ახლდა. ამის საფუძველზე უნდა შექმნილიყო: ახალმოსულიშვილი, ახალშენიშვილი, მოსულიშვილი და ნისთ.

„დახასიათების შემცველ ყველა გვარს პიროვნული სახელის, ან მეტსახელის საფეხური არ გაუვლია, ზოგმა მათგანმა შეიძლება უშუალოდ მიიღო გვარის ფორმა, მაგალითად, სოფელში ცოტა ხნის წინათ მოსულ კაცს; ახალ მოსახლეს, შეიძლება შერქმეოდა მოსულიშვილი, ახალ მოსახლეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული გვარები: ახალაძე, ახალაშვილი, ახალაია, ახალშენიშვილი“¹.

კახეთში არის გვარსახელი დაბრუნდაშვილი, გადმოცემით, როგორც ითქვა, იგი ტყვედ ჩავარდნილი და უკან გამოქცეული კაცისათვის უწოდებიათ. გვარის ფორმით გამოხატული ეს მეტსახელი ამ კაცის შთამომავლობას შემდეგ „გაუგვარდა“. ამის მსგავსად ლეკიშვილად მონათლეს კაცი, რომელიც ლეკეთში იყო გატაცებული, ხოლო გაიპარაშვილი პირველად ყოფილა მეტსახელი ყმისა, რომელიც ბატონს „გაეპარა“. უფრო მეტი: ყმის გმირულად გავარდნა-გაყაჩაღების ფაქტს გამოხატავს ანალოგიური ზმნური გვარსახელი გავარდაშვილი.

ანაზდეულად დასცემია მტერი სოფელს. მთელი საგვარეულო ამოუწყვეტია ერთი ბიჭის გარდა, რომელიც მეზობლებს გადამალვით გადაურჩენიათ. მისი შთამომავლობა დღეს გადაარჩენილიშვილის გვარსახელით არის ცნობილი.

ეს რამდენიმე ნიმუში იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ გვარსახელთა ერთი მცირე ნაწილი იქმნებოდა არა მხოლოდ ანთროპონიმების, ეთნონიმების, პროფესია-ხელობის ტერმინების, ან სადაურობის სიტყვათა საფუძველზე, არამედ უშუალოდაც, ადამიანის თვისობრიობის გამოხატვის გზით. როდესაც ხელოვნურად შექმნილ გვარსახელს იყენებდნენ ატრიბუტივად, როგორც სემანტიკურად დატვირთულ ფრთ მთლიან ლექსიკურ ერთეულს, რომელიც შემდეგ ნამდვილი გვარსახელის ფუნქციითაც აღიჭურვებოდა ხოლმე.

ამ გაგებით შერქმეულ გვარსახელებში იქცევა ზემოთ ნახსენ-

¹ ზ. ქუ მ ბ უ რ ი ძ ე, რა გქვია შენ? გვ. 46.

ნები კოვზაძისა და საცერაძის ტიპის გვარსახელებიც, მიღებული იმ საგნების სახელებისაგან. რომლებსაც ქმნიდნენ გარკვეული ხელობა-საქმიანობის ადამიანები. მათი ნიმუშები ჩვენ მოვიხსენიეთ პროფესიულ გვარსახელთა განხილვის დროს (მაგალითად, ნაბადაშვილი, სადღვებელაშვილი, საჩეჩელაშვილი, ტივაძე, ტყავაძე, ყავრიშვილი...).

გვხვდება შერქმეული გვარების უსუფიქსაციო ერთეულებიც, ამ შემთხვევაში თვისობრიობის გადმომცემი ესა თუ ის სიტყვა უშუალოდ გვარსახელად ქცეულა, ასეთებია: შეწირული (მებატონის მიერ მონასტრისადმი შეწირული ყმის ოჯახი)¹, ხატისკაცი (ხატის ყმა, მსახური). ახალკაცი, ლომკაცი, ბურძგლა, იჩქითი, შწითური, გვერდწითელი, ბუთხუზი.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის ქართულ მხატვრულ პროზაში პერსონაჟთა ხასიათის. მათი სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობის გამოსახატავად ფართოდ იყო გამოყენებული ავტორთა მიერ გამოგონებული შერქმეული გვარები. რომელთაც „მოლაპარაკე გვარებსაც უწოდებენ“². აი, მათი რამდენიმე ნიმუში. დროიძე, ძალაძე, მკლავაძე, მცირიშვილი, უიშვილი, მუნჯაძე, უქმაძე, შრომიშვილი, ჭამიაშვილი, ფულავა, თავფქვილაძე, მეჭლანუაშვილი, ფანტიაშვილი, მორბელაძე, ჭრიაშვილი.

ფონეტიკური ვარიაციები

ძველ გვარსახელთაგან ჩვენამდე ბევრმა შეცვლილი სახით მოაღწია. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ნიმუშთაგან ზოგიერთის პირველადი სახე არ უდრის დღევანდელს. გარაყანიძე, მაგალითად, როგორც ვნახეთ, ძველ დოკუმენტებში გვევლინება როგორც გარეყანისძე, ამილახვარი — ამილახორია, ართმელაძე — ართუმელაძე, გოგებაშვილი — გოგებასშვილი, ჩოლოყაშვილის ძველი სახეა --- ჩოლაყასშვილი, ჩხეიძისა — ჩხეტისძე, ხერხეულიძისა — ხერხაულისძე და ა. შ.

გარდა იმისა, რომ ახალ საფეხურზე ძე-სა და შვილ-ის წინ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს დაკარგულია (იყო: დიასამისძე, შალიკასშვილი, გვაქვს: დიასამიძე, შალიკაშვილი), ფუძეთა შედგენილობაშიც სხვაობა იჩენს თავს. დასტურდება, რომ გვარსახელთა

¹ ზ. კუ მ ბ უ რ ი ძ ე, რა გქვია შენ? გვ. 46.

² ენათმეცნიერების შეკავლის საკითხები, გვ. 124.

ფუძეებში დროთა განმავლობაში ინტენსიურად იკაფავდა გზას ფონეტიკური პროცესები. გავეცნოთ ფონეტიკური ვარიაციების ზოგ ტიპობრივ შემთხვევას:

თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე გვარსახელში ჩაქსოვილია ძირეული საკუთარი სახელი ჩ ა ლ ა როგორც უცვლელად (ჩალაძე, ჩალაური), ისე კნინობითობის ფორმანტთა დართვით (ჩალაბაშვილი, ჩალაგაშვილი, ჩალიგავა), მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ იგივე ძირი შეკუმშული სახით (ა ხმოვნის ამოგარდნის შედეგად) უნდა იყოს წარმოდგენილი ჩ ლ ა ი ძ ე-ში (აღრე უნდა ყოფილიყო ჩალაისძე). ასეთივე რედუქცია განუცდია ძ ა გ ნ ი ძ ე-საც, რომლის ფუძეა „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთგან ნახსენები ძ ა გ ა ნ ი ძ ა-შიც, ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ა ხ ლ ა უ რ-შიც, რომელიც მომდინარეობს ახალაურ-იდან (შდრ., ახალაძე, ახალაია). ასევე ბ ა რ თ ა ი ა წარმომდგარი ჩანს ბ ა რ ა თ ა ი ა-საგან (შდრ., ბარათაშვილი, რომელიც საკუთარ სახელს ბ ა რ ა თ ა-ს გვიჩვენებს). ჭავრიშვილ-ში ჭ ა ვ რ ი შეკუმშული სახეა საკუთარი სახელის ჭ ა ვ რ ი-სა, რომელიც დადასტურებულია ძველ წყაროებში¹.

ი ხმოვნის ამოგარდნა შეიმჩნევა გ ო გ ბ ა ი ძ ე-ში (შდრ., ზემოთ დასახელებული გოგბასშვილი), ჭ ი ბ ლ ა ძ ე-ში (ჭიბილასძე), ვაჩნაძე-ში (ვაჩინასძე. ვაჩინა თავის მხრივ კნინობითი ფორმაა ცნობილი საკუთარი სახელისა ვაჩე). ასეთივე ცვლილება განუცდია მ ე ლ ქ ა-ძ ე-ს (მელიქასძე) და ს ა ნ გ ი ა-ს, იგი წარმომდგარი უნდა იყოს ს ა ნ ი გ ი ა-საგან, მისი ფუძე ს ა ნ ი გ ი გ ი ვ ე ა, რაც ს ა ნ ი კ ი ძ ე-ში გვაქვს, ოღონდ ფორმანტისეული კ გამჟღერებულია (ასიმილაციის გზით).

უ ხმოვანი დაკარგულია უ ზ ნ ა ძ ე-ში, რაზედაც მივვითითებ უზუნაშვილის არსებობა (უზუნა-ც საკუთარი სახელია) და ა. შ.

სხვადასხვა ბგერა დაუკარგავთ აგრეთვე შემდეგ გვარებს: შიობრიშვილი (შიობერიშვილი), მამგულაშვილი (მამაგულაშვილი), მასურაშვილი (მაისურაშვილი), დეისაძე (დედისასძე)², დეკანოძე (დეკანოზისძე), გიორბელიძე (გიორგბერიძე), სალთხუციშვილი (სახლთ-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 34.

² ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალემის ქართ. კოლონიის ისტორიისათვის და სხვ.

³ ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964, გვ. 112.

ხუციშვილი), გუგენიშვილი (გურგენიშვილი), მემანიშვილი (მემარნიშვილი) და სხვ.

ბგერათა გადასმის ტიპობრივ შემთხვევას წარმოგვიდგენს ფ ა ე-
ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. იგი დოკუმენტებში თავისი პირვანდელი სახით—
ფ ა ე ნ ე ლ ი შ ვ ი ლ-ად არის ხსენებული. ფაენელი კი საკუთარ სა-
ხელად ქცეული სადაურობის სიტყვაა მიღებული ფაენის-ისაგან
(ფაენისი ნასოფლარი და ეკლესიაა კასპის რაიონში, ახალქალაქთან)¹.

ბ ე რ-კომპონენტთან რთული შედგენილობის რამდენიმე გვარ-
სახელში, სადაც ო რ რ-ს მოუყრია თავი, ერთი მათგანი (სახელდობრ
მეორე) დისიმილაციის შედეგად ლ-თანხმოვნად ქცეულა: გიორბე-
ლიძე (გიორბერიძე გიორგბერიძე), ტურაბელიძე (ტურაბერიძე), გუ-
რაბელიძე (გურაბერიძე, გურამბერიძე)². ამავე მოვლენის გამომხატ-
ველად უნდა მივიჩნიოთ მარდალეიშვილიც (შდრ., ბერძნული საკუ-
თარი სახელი მარდარე).

გვხვდება ბგერათა შენაცვლების შემთხვევებიც: ლუარსამისძე
(საკუთარი სახელისაგან ლუარსაბი), კომახიძე (შდრ., კობახიძე), თით-
მერია (შდრ. თითბერიძე), სადაც ბ-თანხმოვნის ნაცვლად გვაქვს მ,
ხოლო ამ უკანასკნელს ცვლის ნ გვარსახელში ლონდარიძე, რომელ-
საც საფუძვლად უდევს სახელი-ეპითეტი ლ ო მ დ ა რ ი (=ლომის
დარი, ისევე, როგორც დევდარიანში წარმოდგენილი დ ე ვ დ ა რ ი
დევის დარისაგან უნდა იყოს მიღებული). შენაცვლებას გვიდასტუ-
რებენ აგრეთვე პარალელურად ხმარებული შემდეგი გვარსახელები:
ქანგიძე—ჭანგიძე, ჟადუგიშვილი—ჯადუგიშვილი, მანჯაიძე—მანჯა-
ვიძე, ხაჯალია — ხაჯალია, რომლებშიც უ ჯ-დ არის ქცეული, ასევე
თიქურიშვილი და ციქურიშვილი (თ-ც შდრ., თიკანი, ციკანი); ნამი-
ჭეიშვილი-ნამიჩეიშვილი, გაბრიჭიძე-გაბრიჩიძე (ჭ—ჩ), გობეჩიშვი-
ლი-გობეჩია (ჭ—ჩ).

ვა კომპლექსი, მსგავსად აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, უმე-
ტესად კი მთის კილოებისა, ზოგიერთი გვარსახელის ფუძეშიც ხ ხმო-
ვნად არის ქცეული³. ამაზე მიგვითითებს ორნაირი ვარიანტული ერ-

¹ ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, თქმის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1959, გვ. 17.

² ი. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, ბერძინი ქართულ სახელ-გვარებში, „მაცნე“, № 1, 1966 წ.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, კრებული ივ. ჭავჭავაძის რე-
დაქციით, თბ., 1915, გვ. 187—202.

თეულები, ქვაჩაიძე და ქოჩაიძე, გვარჯალაძე და გორჯოლაძე, ვა-
შაყმაძე და ოშაყმაძე, ჯავაშვილი და ჯაოშვილი, ღვალაძე და ღოლო-
ძე¹, კვამლაძე და კომლაძე.

ბერათა ჩამატებაც დამახასიათებელია გვარსახელთა ფუძეები-
სათვის. ნ ჩამატებულია მანჭარაულში, იგი წარმომდგარი უნდა იყოს
ძველი საკუთარი სახელისაგან მაჭარა (შდრ., მაჭარაძე, მაჭარაშვი-
ლი), ღონლაძე-ში (აქ სავარაუდოა საკუთარი სახელი ღოლა, რომელიც
გვაქვს ღოღელიან-ში და ღონლაძეებით დასახლებულ სოფელსაც ზე-
მო იმერეთში ღოღათუმანი, იგივე ღოღათუბანი ჰქვია)¹. ინჩითიძე-
ში, რაც ირკვევა მის პარალელურად არსებულ იჩით და იჩითიძეს
შეპირისპირებით, ენჯიბაძე-ში (შდრ., ეჯიბი, ეჯიბაძე), ჩამატებული
ჩანს მ თანხმოვანიც. ბერ-ძირიან გვარსახელებში: ღვამბერია (შდრ.,
ღვამბერიძე), გუგუმბერიძე (შდრ., გუგუშვილი), შალამბერიძე (შალა
გამარტივებული შალვაა, დადასტურებულია აგრეთვე ანთროპონიმი
შალამბერიც), ამავე მოვლენას აქვს ადგილი ღიმბრაძე-შიც, რამდენა-
დაც არსებობს მისი ძირითადი სახეობა ღიმბრაძე. ვ-ინის ჩამატებას
გვავარაუდებინებს ლაზვიაშვილი (არის ძირითადი სახე ლაზიაშვი-
ლი), რუხვაძე (რუხაძე), მეფეშვილდიშვილი (მეშვილდიშვილი).

პატრონიმიურ ლექსიკაში გამოვლენილი ფონეტიკური მოვლენე-
ბის სიხშირე გვარსახელთა სპეციფიკური ბუნებით აიხსნება. ინდი-
ვიდის ვინაობის გამოხატვა (უფრო სწორად ვინაობის დაზუსტების
ფუნქცია), რაც გვარსახელებს ეკისრება, სავსებით აკმაყოფილებს
ცხოვრებისეულ პრაქტიკულ მოთხოვნას, ე. წ. სამისამართო საჭი-
როებას. ეს კი თავისთავად უგულვებელყოფს სიტყვის პირვანდელ სე-
მანტიკურ სარჩულს, მის ეტიმოლოგიურ საწყისს. ამა თუ იმ გვა-
რის, ვთქვათ, მთიულიშვილის ან მექუტურკლიშვილის წარმოთქმისას
ყურადღება მახვილდება არა სადაურობის სიტყვა მთიულზე ან საქ-
მიანობის აღმნიშვნელ მექუტურკლეზე, არამედ ამ გვართა მატარებელ
პიროვნებებზე (სხვებისაგან მათ გამოსაყოფად), ხოლო ფუძისეული
სიტყვების მნიშვნელობითი მხარე, რაც მათ წარმოშობას საფუძვლად
დაედო, ცნობიერების ჩრდილშია დაყენებული. ეს პირველადი სე-
მანტიკური მომენტი პატრონიმთა ფუძეებისა, ეტიმოლოგიური საწყ-

¹ პროფ. ივ. ქავთარაძის აზრით, ამავე მოვლენასთან უნდა გვქონდეს. საქმე
ღოღიძე-სა და ღონაძე-ში, რომლებიც შესაბამისად მრღებელი უნდა იყვნენ ღვა-
ლიძისა და ღვანაძისაგან.

ყისებისაგან დაშორების გამო ხშირად უჩინარდება, ე. ი. იკარგება სიტყვის ადრინდელი დესკრიფციული ხასიათი. სწორედ ამის გამო იქმნება იმის საფუძველი, რომ გზა გაიკაფოს ფონეტიკურ ცვლილებათა ძლიერმა ნაკადმა.

ძველი ადმინისტრაციული თანამდებობის ტერმინი სახლთუხუცესი, როგორც ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა, უცვლელად არის შემონახული ცოცხალ სასაუბრო ენაში, გვარსახელში კი შესამჩნევი ფონეტიკური ცვლილება განუცდია. სავარაუდო სახლთუხუცესიშვილის ნაცვლად არსებობს სახლთუციშვილი (სადაც მოკვეცილია უ ხმოვანი და -ეს დაბოლოება), გვხვდება, როგორც ითქვა, მისი ვარიანტიც — სალთუციშვილი. აქ, ს თანხმოვნის დაკარგვის შედეგად, ფუძის შინაარსი სულ გაუჩინარებულა.

ფონეტიკური კოროზიის მოქმედებით ასევე ძირეულად არის გარდაქმნილი მრავალი ქართული გვარსახელი, მაგალითად, ზემოთ უკვე მოხსენიებული მეხუზლა (მეხუთძლე), მამისვარაშვილი (მამისვარა, მამისა ვარ), შიგარდელაშვილი (შინგაზრდილა).

გასაგებია, რომ გვარსახელებში რეალიზებულ ფონეტიკურ მოვლენათა შეცნობა და მათი გათვალისწინება პირდაპირ გზას გვიხსნის ეტიმოლოგიისაკენ. რადგან ფონეტიკურ შესატყვისობათა კანონზომიერების პრინციპი დასტურდება შედარებითი ისტორიული ენათმეცნიერების მიერ მის სხვადასხვა დარგში ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად და წარმოადგენს მეცნიერული ეტიმოლოგიური ძიების აუცილებელ წინაპირობას¹.

ეჭვმიჯნო

გვარსახელების ფუძეთა ყველა ფონეტიკური ვარიაცია ენის განვითარების შინაგან კანონზომიერებას ექვემდებარება, მაგრამ არის ცვალებადობის მეორე სახეც, რომლის წარმოშობა წმინდა ენობრივი ფაქტორებით არ აიხსნება, მისი საფუძველი სოციალურ ფსიქოლოგიასა და, საერთოდ, იდეოლოგიის სფეროშია საძიებელი.

მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში ევფემიზმის მოქმედება, როცა მოლაპარაკენი გარკვეული მიზნით, სიტყვების შეგნებულ შენაცვლებას მიმართავენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სა-

¹ Л. Булаховский, Введение в языкознание, М., 1954, гл. 181.

ფეხურზე აღიარებული ეთიკური ნორმებით მიღებულ, საჩოთირო, ან უარყოფითი ასოციაციების აღმძვრელ სიტყვებს, ჩვეულებრივ უნაცვლებენ უფრო მისაღებ, თავაზიანი შინაარსის სიტყვებს, უშვებენ პირობითობას, რათა „გააკეთილშობილონ“ მეტყველება, ზრდილობისა და ელემენტურობის ელფერი მიანიჭონ (თეთრეული, საცვლები, ფეხმძიმე ქალი, უსინათლო ადამიანი, პირნალვლობა, მყევარი, სახედარი...).

ეფემიზმის გამოხატულებაა აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის ხმარების ალკვეთით გამოწვეული სიტყვათმონაცვლეობაც. გარკვეულ სიტყვათა წარმოქმის აკრძალვა (ტაბუ), ძველ დროთა გადმონაშთია. მისი წარმოშობა რელიგიურ რწმენას, ან მკაცრად რეგლამენტებულ ადათ-წესების დაცვას უკავშირდება. ტაბუირებული სიტყვების შემცველნი თითქოს მოკლებული არიან ცრუ რწმენით ნაგულისხმევ იმ საშიშ მაგიურ ძალას, რითაც აღქურვილია პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები. ასეთებია, მაგალითად, ქართულში, უხსენებელი, ან მტურავი—გველის ნაცვლად, გამჩენი—ღვთის ნაცვლად, „ბატონები“ — საბავშვო სწეულების წითელას ნაცვლად და ა. შ.¹

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საკუთარ სახელთა ხმარებაშიც ფართოდ არის ფეხმოკიდებული როგორც ძველი (რელიგიურ-რიტუალური ხასიათის), ასევე ახალი ეთიკური ნორმებით მოტივირებული, პროცესი ეფემიზმისა. საამისო ნიადაგს თვით ცხოვრების ცვალებადობა ჰქმნიდა. საქმე ის არის, რომ უძველეს მეტსახელებზე დაფუძნებულმა გვარებმა, მას შემდეგ, რაც ისინი გასცდნენ შინაური ხმარების ვიწრო ფარგლებს და ოფიციალურ საგვაროვნო სახელებად (პატრონიმებად) იქცნენ, ბევრ შემთხვევაში მათ საზოგადოებრივ-კულტურული თვალსაზრისით ახალი ეპოქისათვის მიუღებელი შინაარსი შერჩათ, უხეში და არაკეთილხმოვანი. საქირო გახდა მათი გადაკეთება, გაკეთილშობილება, რაც ყოველთვის ისე აღვილად და უმეტეივნეულოდ როდი ხერხდებოდა. სწორედ ეს სადარდებელი აწუხებდა ლ. არდაზიანის ცნობილი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, სოლომონ ისაიჩის, კაპიტალისტური ცხოვრების საფეხურზე შემდგარ ჩარჩს, რომელსაც თავისი გვარის სათაკილო შინაარსი ვერ მოეცილებინა. ამას გულწრფელად აღიარებს კიდევ: „ჩემი სახელი სოლომონ, გვარი — მეჭლანუაშვილი. რაც ქვეყანაში კაცად გამოველ. მეთა-

¹ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 191.

კილებოდა ჩემი გვარი და ამიტომ ვცდილობდი, ჩემი გვარი როგორ-მე შეემეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თუმცა სხვანი ადვილად ახერხებენ. ხან მინდოდა მიმეცა რუსული დაბოლოება ესრეთ: მექლანუევ, მექლანუიჩ, მექლანუევსკი, მაგრამ ჭლანი არ ამოვარდა. ხან მინდოდა გადამეთარგმნა რუსულად, მაგრამ ვერც მე გადაეთარგმნე. ვერც სხვამ, შემრჩა ისევე ეს გვარი, რა ეუთხრა ჩემ მამაპაპასა¹.

საჩოთირო გვართა შეცვლა-გადაკეთების ამ ბუნებრივი ტენდენციის შედეგად ქართულ ონომასტიკონში მრავლად მოგვეპოვება ევფემისტური ერთეულები, რომელთა შესაქმნელად ორნაირი ხერხია გამოყენებული: ა) ფუძეში ბგერების შეგნებულად შეცვლა (ბგერების გამოკლება, ჩამატება, გადასმა, მარცვლის მოწყვეტა და სხვ.), რასაც მიუღებელი ლექსიკური მნიშვნელობის დაბნელება ან მთლიანად ჩაქრობა მოსდევს. მაგალითად, ქვახარშიაშვილი ქვახარიშაშვილად არის გადაკეთებული, თავდიდიშვილი—თავდიშვილად, თავზარაშვილი — თავზიშვილად, მომცემლიძე—მომცელიძედ, კოკლაძე—ქოჩლაძედ, ხარისქირაშვილი—ხარისჩარაშვილად, ჩიტრიეკიაშვილი—ჩეტრიკაშვილად. სოფელ ვარდისუბანში (თელავის რ.) ცხოვრობენ სასურჭინაშვილები, აღმოჩნდა, რომ იგი გადაკეთებულია. მისი ადრინდელი სახე ცასურჭინაშვილი ყოფილა, სწორედ ასეა იგი დადასტურებული ძველ საალწერო დავთარში¹ ცასურჭინა (ცას ურჭინა), ცხადია, მეტსახელი უნდა ყოფილიყო, ისევე, როგორც ყველა ზემოთ ნახსენები ევფემისტური გვარიც მეტსახელებისაგან არის წარმომდგარი.

ბ) მეორე ხერხის მიხედვით გვარსახელთა ფუძეებს იმგვარად სცვლიან, რომ ახალი, პოზიტიური შინაარსის ფუძე მიიღონ, ამის შედეგია, რომ ოყროშიძე ოქროშიძედ გადაკეთდა, თავვაძე-თავაძედ, ღორაშვილი, ღორაკულაშვილი და ღორიგლეჩაშვილი—გორაშვილად, გორიკულაშვილად და გორიგლეჩაშვილად.

ზემოხსენებული რწმენა სიტყვის მაგიური ძალისა უძველესი დროიდან ინტენსიურად ვლინდებოდა საკუთარი სახელების დარქმევისა და ხმარების პრაქტიკაში, აზროვნების ადრინდელ საფეხურებზე საკუთარი სახელისათვის ღვთაებრიობის ძალის მინიჭებას საფუძვლად დაედო სახელის გაიგივება ადამიანთან, სულთან. ამიტომ იყო, რომ საგანგებოდ ზრუნავდნენ სახელის შინაგანი ძლიერების შენარ-

¹ ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, 1, თბ., 1967, გვ. 76.

ჩუნიებისათვის. სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რათა სახელი დაეცვათ ბოროტი ძალებისაგან, რაც მაშინდელი ცრურწმენის მიხედვით უზრუნველყოფდა მისი მატარებელი პიროვნების ხელშეუხებლობასაც. ერთი ასეთი საშუალებათაგანი იყო საკუთარი სახელის ტაბუირება, რაც დღემდე მრავალი ხალხის ჩვეულებაშია შემორჩენილი¹. ამ ტრადიციის საფუძველზე ადამიანის სახელის წარმოთქმა საშიშია, შეიძლება მას ავი სულები დაეპატრონონ. ამიტომ ბავშვს ჩვეულებრივ მეორე (ცრუ) სახელსაც არქმევდნენ, რომელსაც ყოველდღიურად ხმარობდნენ. ნამდვილ, პირვანდელ სახელს კი უფროთხილდებოდნენ, საჯაროდ მის გამოცხადებას ერიდებოდნენ. წარმართულ პანთეიზმზე აღმოცენებული ასეთი მისტიფიკაცია ანთროპონიმისა ქრისტიანულმა ეკლესიამ თავისებურად გამოიყენა. ჩვენში რევოლუციამდე შემორჩენილი იყო ბავშვისათვის ორი სახელის დაქმნევის ტრადიცია. ამათგან ერთი ქრისტიანული უნდა ყოფილიყო, სახელდობრ, იმ წმინდანისა, რომელიც მონათლულის მფარველად ითვლებოდა, მეორე კი არაკალენდარული, ნებისმიერად შერჩეული და საყოველღეოდ სახმარი. ამ უკანასკნელი ტიპის ზოგ სახელშიც გარკვეული აზრი იყო ჩაქსოვილი, რაც ბავშვის გაზრდაგახარების, მისი ჯანმრთელობის დაცვის სურვილს გამოხატავდა და ემყარებოდა უფრო თამამ რწმენას: „კეთილ სურვილს, კეთილი შედეგი მოჰყვება“. ამგვარი, ასე ვთქვათ, მშობლისმიერი საკუთარი სახელები უმთავრესად ზმნური ფუძეებით არიან წარმოდგენილნი. ისინი გვარებმა შემოგვინახეს, როგორიცაა: გამილალდიშვილი, გამეზარდაშვილი, გამახარაშვილი, მახარაშვილი, დარჩიაშვილი, მამესწარაშვილი, თვალმიხელაშვილი... აქ ნაგულისხმები სახელებია: გამილალდი, გამეზარდა, გამახარა, მახარა (იგივე მახარე), დარჩია, მამესწარა, თვალმიხელა...

ამათ რიგში ექცევა ე. წ. თეოფორული სახელები და მათზე დაფუძნებული გვარები, რომელთა ანალიზს აკად. აკ. შანიძემ სპეციალური ნარკვევი უძღვნა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი სახელები, რომელთა შინაარსი გვაუწყებს ღვთისადმი ან წმინდანებისადმი ადამიანის მინდობა-შეწირვას, რაც მშობელთა თვალსაზრისით ბავშვის სიცოცხლის დაცვის საწინდარი იყო. მათი ნიმუშებია ღვთი-

¹ В. А. Никонов, Имя и общество, გვ. 28-30; ალ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ჯ. ქართულური საკუთარი სახელები, გვ. 24, 29.

სიაშვილი, ქრისტესიაშვილი, უფლისაშვილი, ღვთისაურიშვილი, ჯვარ-
შვილი... მათ საფუძვლად უდევთ თეოფორული სახელები: ღვთი-
სია (შემოკლებით ღვთისა), ქრისტესია, უფლისა, ხატისა, ღვთისაგა-
რი, ჯვარშე (ჯვარიშა-ჯვარისა). ცალკე განსახილველია გეგექორი
(გეგემე ჭკორი, რაც ნიშნავს გეგეს მონას, ანუ წმინდა გიორგის მო-
ნასა)¹. თეოფორული გვარებია აგრეთვე ხატისკაცი და შეწირული.

ნეგატიური შინაარსის სიტყვით ბავშვის სახელდება, რაც საქართ-
ველოს ზოგიერთ კუთხეში იყო ჩვეულებად ქცეული, მიგვითითებს
კიდევ ერთ განსხვავებულ უძველეს საშუალებაზე, რომელიც მიმარ-
თული იყო ვითომდა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისადმი. ამ
ჩვეულებას კარგად გვაცნობს აკაკი წერეთელი „ბაში-აჩუკი“, სა-
დაც ვკითხულობთ: „ერთადერთი სამწუხარო მისი (ბაქრაძისა) ის იყო,
რომ შვილი არა ჩჩებოდა, მაგრამ როცა მეზობლების რჩევით ახალ-
შობილს გლახა დაარქვა და ღვთის სახელობაზე გაუშვა, ისიც მართ-
ლა ჩიტივით წამოეზარდა“². როგორც ჩანს, მშობლებს რომელთაც
შვილები ეხოცებოდათ, ახლად დაბადებულისათვის ისეთი სახელი
უნდა დაერქმიათ, რომელსაც ნეგატიური შინაარსი ექნებოდა, ხსენე-
ბულ გლახას გარდა ასეთი საკუთარი სახელებია: გლახენი, ღარიბა,
საძაგელი (შდრ., გვარი საძაგლიშვილი), საბრალო (გვარი საბრალო-
შვილი), ობოლა (ობოლაძე), ნაყიდა (ნასყიდა, გვარში ნასყიდაშვი-
ლი) და მისთ.

გვარსახელთა წარმოქმნის საკითხები

თანამედროვე ქართულ პატრონიმიაში წარმოების თვალსაზრისით
სამი ტიპის ერთეულები გამოიყოფა.

პირველში ექცევა ის გვარსახელები, რომელთაც საწარმოებლად
საგანგებო ფუძე-დაბოლოებანი აქვთ გამოყენებული. მათი დართვით
მიღებულია მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შედგენილი კომპოზიტური
სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი (მსაზღვრელი) ჩვეულებ-
რივ გენეტიკის ფორმით წარმოდგენილი საკუთარი სახელია, მეორე

¹ აკ. შანიძე, თეოფორული სახელები ქართველურ ენებში, „მაცნე“,
№ 2, 1967 წ.

² აკაკი წერეთელი, ბაში-აჩუკი, თბ., 1958, გვ. 21.

(საზღვრული) კი სადერივაციო ფუნქციით აღკურვლი (ტორმანტად გარდაქმნილი), ერთ-ერთი ამ ფუძეთაგანი: ძე, შვილ-ი (ქართულში), სკუა||სქუა (სქვა)-მეგრულში. და ს კ ი რ ი||ს ქ ი რ ი — ქანურში.

შესაბამისი მაგალითებია: დავითაძე (დავითას ძე—დავითაძეს ძე), შოთაძე (შოთას ძე —შოთაძეს ძე), დემეტრაშვილი (დემეტრასშვილი— დემეტრაძეს შვილი), გურამიშვილი (გურამისშვილი), პაპასკუა, კი-კესკუა, პაპასკირი, წულუისკირი...!

ფუძე-ფორმანტი ძე¹ როგორც გვარსახელთა მაწარმოებელი ელემენტი, ისტორიულად პირველადია, იგი წინ უსწრებს თავის ექვივალენტს შვილ-ს.

როგორც ჩანს, ძე² იგივე ძეა (ძჷ) როგორც ახლა, ძველადაც ჩვეულებრივი ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა და ძჷ კაცისა მარტოდენ ადამიანის შვილს აღნიშნავდა, ასე იყო მაშინაც, როცა იგი საკუთარი სახელის საზღვრულად გამოდიოდა: „ვარსქენ პიტიახ-ში, ძჷ არშუშაძისი“, ძჷ არშუშაძისი აქ მეტს არაფერს ნიშნავს, თუ არ არშუშაძის შვილს და, ამასთანავე, მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი ძველ ქართულისათვის დამახასიათებელი პოსტპოზიციური წყობით არის წარმოდგენილი, მაგრამ ძველ ქართულშივე წყვილეულის პრეპოზიციაც დასტურდება: „ივანე არშისძე“, „შოთა გრიგოლის ძე“, „ზაქარია ასპანის ძე“...

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ამგვარ ნიმუშებზე ძე სხვადასხვა შემთხვევაში ორგვარ სემანტიკურ ფუნქციას ასრულებს: ან უბრალოდ მამიშვილობას გამოხატავს, რაც უკვე პირველი საფეხურია გვარსახელის წარმოშობის გზაზე, ანდა უკვე სტაბილურ გვარსახელად არის ჩამოყალიბებული, ე. ი. დანიშნულია მთელი საგვარეულო კრებულის გამოსარჩევად და თაობებზე გადასაცემად.

¹ ს. ქ ა ნ ა შ ი ა. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიშქის მოამბე, I, 193¹, გვ. 211—218, გ. რ ო გ ა ვ ა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, ა. წულუკიძის სახელ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, X111, 1955, 1—8; ალ. ლ ო ნ ტ ი, ქართული ლექსიკოლოგია. თბ., 1964, გვ. 127—134; ზ. ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე, რა გქვია შენ? თბ., 1971.

² აკად. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ვარაუდით ამ სიტყვის. პირვანდელი სრული სახე „ძენ“ უნდა ყოფილიყო, რომლის ბოლოკიდური ნ თავს იჩენს გურული მეტყველებისათვის დამახასიათებელ მრავლობითის ფორმებში: შარაშიძენები, ბოლქვაძენები, გოგიბერიძენები... (ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, 6, 9, 93, 105).

ამგვარად, ძე და შვილ-დაბოლოებიანი ქართული გვარების ფორმირებას საფუძვლად დაედო პრეპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ ლექსიკურ ერთეულად ქცევა. შესაბამის სინტაგმაში მსაზღვრელი მართული იყო და თავდაპირველად მამისახელზე მიუთითებდა (ივანის ძე, ივანის შვილი), მაგრამ ფუნქციური ცვლილების გამო მან დაკარგა კონკრეტული შინაარსი და საზღვრულთან ერთად. რომელმაც შეწყვიტა აგრეთვე დამოუკიდებელი არსებობა და ოდენ სუფიქსად, ფუძე ფორმანტად იქცა, — შთამომავლობითი ვინაობა გამოხატა (გრიგოლ ივანიძე, დავით ივანიშვილი).

ბუნებრივია, რომ ამ გზით წარმოშობილმა გვარსახელებმა შეინარჩუნეს ძველი კონსტრუქციის ზოგი სტრუქტურული ნიშანი. ერთი ამათგანია მსაზღვრელის (უკეთ: ყოფილი მსაზღვრელის) ბოლოში ა ი კომპლექსის თავმოყრა, რომლის პირველი ხმოვანი ფუძის ბოლოკიდური ბგერაა, მეორე კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (-ის, -ს) ნაშთი, რაც ძველ ქართულში -ის სახით იყო წარმოდგენილი. და ა-სთან ერთად დამავალ დიფთონგს ქმნიდა (მართაჲს, პაულეჲს, ჰაბოჲს)¹. ამის მიხედვით კანონზომიერი იყო, მაგალითად, შოთაჲსძე, მართაჲს-შვილი და სხვ. როგორც სალიტერატურო ქართულის ისტორია გვიმოწმებს, ეს დიფთონგი შემდგომ გამარტივდა ა-ის დაკარგვის გზით (აჲ—ა) და მივიღეთ შოთაძე, მართაშვილი, მაგრამ როგორც ჩანს, დიალექტურ მეტყველებაში დიფთონგმა გაძლო, სრულხმოვნად იქცა და მოგვცა გვარსახელთა ისეთი ვარიანტები, როგორიც არის: წამალაიძე, ხუცაიძე, კობაიძე, ოზგაიძე, გაბაიძე, ნაკაიძე, კუჭაიძე, ჩხაიძე, ინაიშვილი, მამულაიშვილი, ხახუტაიშვილი და მრავალი სხვ.

ამ ტიპის გვარსახელები უმთავრესად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და გურია-აჭარის მოსახლეობაში. ეს ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანია ქართული ონომასტიკური ლექსიკის სტრუქტურის სხვაობათა გამოსავლენად. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ საერთო ანთროპონიმურ ფუძეებზე დაყრდნობილ გვარსახელთაგან ვხვდებით ორივე ტიპოლოგიურ შემთხვევას. მამულაშვილი და მამულაიშვილი; ხახუტაშვილი და ხახუტაიშვილი, ინაშვილი — ინაიშვილი, იმნაძე — იმნაიშვილი, გაბაშვილი — გაბაიძე, წამალაძე — წამალაიძე და მისთანები.

მეორე ვარიანტის ნიმუშებს გურული დიალექტის საფუძველზე

¹ აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 41.

თვალსაჩინო ფიქტიციური ცვლლებაც განუცდიათ: მათში გზა გაუ-
კაფავს დასავლური კილოებისათვის ცნობილ ხმოვანთა ნაწილობრივ
რეგრესულ ასიმილაციას (შდრ., წეილო, წეიქცა, ამეილო). ამის შე-
დეგად აი კომპლექსი ეი-დ იქცა, ამიტომ გელაიშვილისაგან გელეი-
შვილი მივიღეთ. ასე რომ გელაშვილი და გელეიშვილი ერთნაირი
გვარებია, ერთი და იმავე სახელისაგან ნაწარმოები, მაგრამ ერთი
აღმოსავლურად არის გაფორმებული, მეორე კი დასავლურად¹.

პატრონიმთა მაწარმოებელ ფუძე-ფორმანტებს შორის უნდა მო-
ვაქციოთ აგრეთვე ბერ-ი, ის ძირეული სიტყვა, რომელიც დღეს სა-
კუთარ სახელადაც იხმარება, მაგრამ როგორც საზოგადო სახელს, მას
რამდენიმე მნიშვნელობა უკავშირდება. ამათგან ჩვენთვის საყურად-
ღებოა ვაიშვილის, ძის, ბიკის აღნიშვნა, რაც ქანურშიც დასტურდებ-
და (ბერე-ს სახით) და ძველ ქართულისთვისაც არ არის უცხო.

ამგვარად გაგებულ ბერ-ს რომ უძველეს ხანაში მამიშვილობის
გამომხატველი შესიტყვებიდან გვარსახელები უნდა გაეფორმებინა,
როგორც ეს ძე და შვილ სიტყვებმა შეძლეს, ჩანს ქართულ გვარსა-
ხელთა ერთი თვალსაჩინო ჯგუფიდან. ამ ჯგუფში გაერთიანებულ
გვარსახელთა ფუძეებში ბერ ძირია ჩაქსოვილი: გოგინბერიძე, დოლა-
ბერიძე, კახაბერიძე, დოლობერიძე და მისთ.

ასეთი ფაქტები ქართულ ანთროპონიმიაში გარკვეულ კანონზო-
მიერებაზე აგებულ ლექსემათა მიკროსისტემას ქმნის, ამიტომ მის
განხილვას ცალკე ნარკვევი ვუძღვენიო².

წარმოების თვალსაზრისით თავისი მრავალფეროვანი ფორმე-
ბით ყურადღებას იპყრობს მეორე ტიპის გვარსახელები, რომელთაც
საწარმოებლად გამოყენებული აქვთ კუთვნილება-ქონებისა თუ წარ-
მომავლობის მაჩვენებელი სუფიქსები, ისინი, რომლებიც საზოგადო
არსებით სახელთა ფორმაცვალებადობის საშუალებებადაც არიან.
ცნობილი, მათ შორის ძირითადია -იან. იგი სვანეთის მოსახლეთა
ოფიციალურ გვარსახელებს მოუღის (ასათიანი, დავითიანი, რატიან-
ნი...) და სვანურ მეტყველებაში გამოითქმის გრძელი ა ხმოვნით (ასა-
თიან, დავითიან, რატიან...), გარკვეულ შემთხვევებში e-ხმოვნის და-
კარგვის შედეგად გვევლინება როგორც ან (-იან): გიგანი, ქალდა-

¹ ავ. შ ა ნ ი ძ ე. თეოფორული სახელები ქართველურ ენებში, „მაცნე“, № 2, 1967, გვ. 194.

² ბერ ძირი ქართულ სახელ-გვარებში, „მაცნე“, 1965, გვ. 237—248.

ნი, ფილფანი, ხვისტანი, მარგველანი ...ძე და შვილ ფუძე-ფორმატიანი გვარსახელების მსგავსად, ესენიც ძირითადად ეპონიმურია, მათი ფუძეები პირველი წინაპრის სახელებს წარმოგვიდგენენ (ასათ, დავით, რატი, გიგა, ქალდი და ა. შ.).

იან-ი როგორც პატრონიმული სუფიქსი აკად. ს. ჯანაშიას კრებითი მნიშვნელობის მაწარმოებელ უძველეს ქართველურ (და, საერთოდ, კავკასიურ) ელემენტად მიაჩნდა თავის ცნობილ ისტორიულ-ონომასტიკურ შრომაში¹. მან სპეციალურად განიხილა ამ სუფიქსის საკითხი და საგანგებოდ შეჩერდა მის ფუნქციებზე. მკვლევარმა აღნიშნა: „ეს დაბოლოება (სუფიქსი -ან, ი. მ.) თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში და ქართველურს პატრონიმისტიკულ მორფოლოგიაში, იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველურ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა. ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული, სადაც საერთოდ ბევრი არქაული ფორმა ინახავს თავს“².

გამორკვეულია, რომ -იან (-ი-ან) ბოლოსართი მკიდრო კავშირშია აღმოსავლეთ საქართველოსა და რაჭაში არსებულ ტაპო-პატრონიმულ ლექსემებთან. ქართლსა და კახეთში, მაგალითად, იგი გამოყენებულია ერთი გვარის მქონე ადამიანთა კრებულის, მთელი საგვარეულო შტოს, „კორპორაციის“ აღმნიშვნელად. ამის მიხედვით მკედლიაანი, ანუ მკედლიანი მკედლიშვილების ერთობლიობაზე მიუთითებს. ა-ფუძიან სახელებთან იან-ი აან-ად იქცევა. ასეა მიღებული ალადაშვილისაგან ალადაანი, ალხაზაშვილებისაგან ალხაზაანი, ომარაშვილისაგან ომარაანი და ა. შ.³

ეს კრებითი საგვაროვნო სახელები, ანუ როგორც ს. ჯანაშიამ უწოდა, „შტოგვარები“, გეოგრაფიულ სახელებად იქცნენ, რადგან მთელი საგვარეულო შტოთი დასახლებულ პუნქტთა აღნიშვნასაც დაედგნენ საფუძვლად. ასე წარმოიშვა კახეთში (და სხვაგანაც) სოფლის სახელები, მაგალითად. მელაანი (მელაშვილებით დასახლებული სოფელი), მირზაანი (მირზაშვილების სოფელი), ოზაანი (ოზაშვილებისა), ჭუგაანი (ჭუგაშვილებისა), ვაჩნაძიანი (ვაჩნაძეებისა). ისინი

¹ ს. ჯანაშია, თებალ-თაბალი, ტბარენი, იბერი, შრომები, III, 1959.

² იქვე, 211.

³ ა. შ. ან იძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 123.

ებ-იან მრავლობითი რიცხვის ფორმებსაც აწარმოებენ: მკედლიანები (მკედლიშვილების წარმომადგენლები), და ნარ-თანიასაც: მკედლიანნი (მკედლიშვილთაგანი), მისი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იქნება მკედლიანთ(ა), რომელიც გამოყენებულია სუბსტანციური მსაზღვრელისათვის, მაშინ, როცა საჭიროა აღინიშნოს გვარეულობის ან მისი შტოს ერთი წარმომადგენელი: მკედლიანთ ბიჭი, ალხაზაანთ ქალი, „ოთარაანთ ქვრივი“ (ი. ჰავცავეაძე), ვაჩნაძიანთ გაგა, „ქართველადიანთ ბალი“ (ი. გოგებაშვილი).

ეს ფორმები განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. აკად. ს. ჯანაშიას ზემოხსენებულ შრომაში არაერთ: საამისო მაგალითი მოჰყავს, („ციციანთ სუფრა“, „ჯავახიანთ გალობა“, „თარხნიანთ წყალობა“). მაგალითებს ბლომად ვხვდებით მესხურ დიალექტშიც. შეგვიძლია დავიმოწმოთ ისტორიკოს მიხ. თამარაშვილის ნაწერები. იქ კვითხულობთ „კრუხიჭამიანთ იოსეფის ძე ბატონჯანა“, „ბალინანთ გრიგოლ“, „ფირალანთ იაკობა“, „მაქანდარიანთ გრიგოლ“. აქვეა ნ თანხმოვნის დაკარგვით მიღებული ფორმებიც: „ფალაშათ ბატონჯანა“, „სადათიერათ სიმონა“¹ (შესაბამისი გვარსახელებია: კრუხიჭამიანშვილი, ბალინაშვილი, ფირალაშვილი, მაქანდარაშვილი, ფალიაშვილი, სადათიერაშვილი), ვხვდებით ამავე რიგის ნიმუშებს ინვერსიული წყობით: გრიგოლ მაქანდარიანთი, სტეფანე სარიანთი (სათანადო გვარსახელია სარიანშვილი). პეტრე ხუციანთი და სხვ. ეს უკვე ახალი მოვლენაა: მსაზღვრელი წევრის გადასვლა სუბსტანტივის რიგში, რამდენადაც ცხადი ხდება, რომ ხუციანთი და მისთანები უნდა დამოუკიდებელ სიტყვად მივიჩნიოთ.

უდავოა, რომ ინვერსიულმა წყობამ ხელი შეუწყო თანიანი მსაზღვრელის სუბსტანტივაციას. საყურადღებოა ისიც, რომ მესხურ მეტყველებაში გვაქვს ფორმანტიესეული ნ-ს გაუჩინარების შემთხვევებიც, რის გამოც ხუციანთი გადაქცეულია ხუციანთად. ამასთანავე შემჩნეულია მათი თანაარსებობა. ასე რომ პარალელურად გვაქვს:

ხუციანთი—ხუციათი, ფირალანთი—ფირალათი, ბალინანთი—ბალინათი, მამულანთი—მამულათი.

¹ მიხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

ამავე მოდელისა უნდა იყოს კ ა ქ ი ლ ო თ ი (კაქილოტი, გვარჩი თბილისში მცხოვრებ კომპოზიტორისა, რომელიც წარმომოხმობთ ახალ-ციხელია) და თ ა მ ა რ ა თ ი, რაც ისტორიკოსმა მიხ. თამარაშვილმა გამოიყენა ფრანგულად გამოცემული თავისი შრომის ავტორობის გამოსახატავად (Michel Tamarati, L' Eglise Georgienne, Rome. 1910).

სოფელ უდეში (და სამცხე-ჯავახეთის სხვა ძველ სოფლებშიც) გვარეულობათა დასახელება სასაუბრო მეტყველებაში ამავე წესით ხდება, მაგალითად, პეტათი (შესაბამისი გვარია პეტაშვილი), ბალახათი (ბალახაშვილი), აბულათი (აბულაძე), გიქოთი (გიქოშვილი) ¹.

ჩანს, ამ ფორმის პატრონიმებმა სათანადო გვარ-შტოებით დასახლებული პუნქტების აღნიშვნაც იკისრეს, მოხდა მათი ტოპონიმიზაცია ისე, როგორც ეს ზემოთ მითითებული მიჩხაანის, ოხაანის, ჯუგაანისა და მსგავს მაგალითების საფუძველზე იყო ნაჩვენები.

ამის დასტურად შეიძლება მოვიხმოთ სოფლის სახელები, რომლებიც გვხვდება იმერხევისა და ქანეთში. მაგალითად: კუკულათი, პაპათი, მელიათი, სურმენათი, ნადირათი, ჭიჭავათი, მათ შეესაბამება იქ მოსახლეთა გვარსახელები: კუკულაძე, პაპაშვილი, მელიაძე (მელაძე), სურმენაძე, ნადირაძე, ჭიჭავაძე (ზოგ შემთხვევაში ხსენებულ გვართა წარმომადგენლები ამჟამად იქ აღარ ცხოვრობენ) ².

-ათ სუფიქსიან სოფლის სახელებისა და ამ სოფლებში მცხოვრებთა გვარსახელების დამთხვევათა სხვა მაგალითებიც გვაქვს: გრიგოლათი (გრიგოლაშვილების სოფელი, ორჯონიკიძის რ.), დავათი (დავაძეებისა, საჩხერის რ.), ბერძენათი (ადგილის სახელია სოფ. მერჯეთან, საჩხერის რ.), სადაც ვინმე ბერძენს უცხოვრია და სხვ. გამოსარკვევია აგრეთვე სხვა ანალოგიური ფორმის ტოპონიმების წარმომავლობაც (ბურნათი, რცხილათი, ზანათი, თეკლათი, სიხანეთი) ³.

¹ ი. გ ვ ა რ ა მ ა ძ ი ს ერთ-ერთ შრომაში ვკითხულობთ: „ვალის ეკლესია შეენიერი ყოფილა, მისი ღვდელი სტეფანე ზაქარათი მეტად დაბერებიათ, ერის შევლა აღარ შეძლება“ (იხ. კ. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე, ელუარდ ბარონ დე-როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1903, გვ. 32).

² ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 374; ი. ვ ა ნ ი ლ ი შ ი და ა. თ ა ნ დ ი ლ ო ვ ა, ლაზეთი, თბ., 1965.

³ ამ ტიპის ტოპონიმთა მრავალი ნიმუში დასახელებულია აკ. შანიძის ნარკვევში „ნეკილოს კვალი საქ. გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 11, 1941.

ამ ფაქტების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ ტოპოფორმანტი -ათ პატრონიმული მაწარმოებლისაგან უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი ფონეტიკური ვარიაციების გზით:

აიანთ (ა-იან-თ)→აჰანთ→აანთ→ანთ→ათ. ამავე საფუძველზე უნდა გაირკვეს -ეთ ტოპოფორმანტის გენეზისიც.

მესხეთის ზოგიერთ სოფელში (მუსხ-კობარეთის ზონაში) და ჯავახეთშიც ზემოხსენებულ -იანთ რთული სუფიქსი (-იანთ) ასიმილაციის შედეგად -იენთ ფორმად იქცევა. აქ ისმის გვარსახელები. მკვდლიენთი, ხუციენთი, თარხნიენთი.

როგორც ჩვენს მიერ 1964 წელს ზემო რაჭაში ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, -იანთ კომპლექსს აქ სრული ასიმილაცია განუცდია და ჩამოყალიბებულა როგორც -ეენთ. სოფ. ლებში შტო-გვართა დასახელებისას ორივე ვარიანტს ვხვდებით, ერთი მხრით — ნანუკიანთი (ნანუკაშვილები), გაბრიტიანთი (გაბრიტიძეები, შდრ., გაბრიძიძე) და მეორე მხრით — ჯაჯოეენთი, პაპუყელეენთი, საგინეენთი. ზოგი აქაური ტოპო-პატრონიმური სახელი ნ-ს დაკარგვით მიღებულ -ეთ-საც გვიჩვენებს, რომელშიც პირველი ე ხმოვანიც ამოვარდნილია (ეენთ→ეეთ→ეთ), გობეჯიშვილების ნაქონ მიწის ნაკვეთს გობეჯიეთი ეწოდება, რაც გობეჯიეთის ფონეტიკური სახეცვლის შედეგია¹. ასევე საყანე ადგილების სახელებია: ანანიეთი (ანანიაშვილებისა), ლავანგიეთი და მისთანები². ანალოგიისათვის აქვე შეგვიძლია დავასახელოთ ნ. მარის მიერ იმერხევეში ჩაწერილი ტოპონიმები კუტალეთი (შდრ.: კუტალაძე) და წიქრეთი (-წიქრიძე), დავიეთი³.

თქმულის საფუძველზე -ეთ სუფიქსის ჩამოყალიბების გზაზე ფონეტიკურ ცვლილებათა ასეთი საფეხურები გვესახება:

იანთ→იენთ→ეენთ→ეეთ→ეთ.

¹ ამავე მოდელს გვიჩვენებს მესხურში ხმარებული ნაცვალსახელი თა-ვეთი, რომელიც მიღებულია ჩანს თ ა ვ ი ა ნ თ-ისგან (თავიანთი→თავიენთი→თავეეთი→თავენთი→თავეთი).

² ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მითითებული აქვს ისეთი ერთეულებიც, რომელთაც ნავენიტივარი თ დაუკარგავს (-ეენთ→ეენ). მაგალითად, ლობჯანიძეების გვარეულობაში ყოფილა შტოგვართა სახელწოდებანი: ლაშხეენი, ზვიადეენი, ჭოტეენი, სვანეენი, გობეჯიშვილების საგვარეულოში — ერმილეენი, გოგეენი და მისთ. (თუბალ-თაბალ, 213).

³ ქართ. დიალექტოლოგია, 376.

ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1941 წ. გარკვევით აღნიშნა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი - ეთ სუფიქსი (-ათ, ოთ, -უთ სუფიქსებით. ახერხად) წარმოშობით ნაგენეტივარიაო¹. ქართულ გვარსახელთა წარმოების დიალექტურ ნაირსახეობათა გათვალისწინებით ირკვევა, რა ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზე ჩამოყალიბდა იგი და სპეციალური პატრონიმური ფუნქციის ფორმანტიდან როგორ იქცა ტოპოფორმანტად, იგი „გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად იქცა საზოგადოდ ქართულში“².

- ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელების გვარსახელებიდან მომდინარეობის საკითხი ძველ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ორიგინალურად აქვს გაშუქებული ისტორიკოს ვარლამ დონდუას. ირკვევა, რომ მართულ მსაზღვრელებად გამოსული საყუთარი სახელების თანხანი ფორმები კრებითობის გამოხატვის გამო ჯერ გვარებად ქცეულან (ლიპარიტეთ, ვახტანგეთ, შარვანშეთ, სუქმანეთ, კანონეთ, პავლეეთ, ნონოსეთ...) და შემდეგ კი გეოგრაფიულ სახელებადაც (მამული ლიპარიტეთი, გაგიკეთი...)³. ძველ წყაროთა ეს ფაქტები, რომლებიც სრულ ანალოგიაშია შტო-გვართა წარმოების ზემოთ განხილულ მესხურ და რაჭულ წესთან, გვაფიქრებინებს, რომ მსაზღვრელისაგან გვართა და გეოგრაფიულ სახელთა წარმოშობის პროცესი და მასთან დაკავშირებული ფონეტიკური სახეცვლანი ჯერ კიდევ XI საუკუნეში ფაქტი ყოფილა. უდავოა, რომ იმ წერილობით ძეგლებს, სადაც ამ კატეგორიის მოვლენები გვხვდება, აღმოსავლეთ საქართველოს კილოთა ელფერი უნდა ეტყობოდეს, არც ის არის შემთხვევითი, რომ აკად. მარი ბროსემ, რომელმაც მიუთითა „ქართლის ცხოვრებაში“ ხმარებულ სახელთა თანხან ფორმებზე, ყურადღება მიაქცია სოფელ გლოლის ერთ ძველ წარწერაში მის მიერ ამოკითხულ სიტყვას „დავითეთ“-ს, იგი არქაულ ფორმად ცნო და ძველ წყაროთა ლიპარიტეთ, სუქმარეთ, ვახტანგეთ და მსგავსი მონაცემების გვერდით დააყენა⁴. მანვე ლიპარიტეთ ფორმის სემანტიკაში საესე-

¹ ავ. შანიძე, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, გვ. 762.

² ავ. შანიძე, დასახელებული ნაშრომი.

³ ვ. დონდუა, „ლიპარიტეთ“-ისა და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIII, 1948.

⁴ სათანადო ადგილი მ. ბროსეს ნაშრომიდან: „Rapports sur un voyage archéologique“ მოყვანილი აქვს ვ. დონდუას თავის ზემოდასახელებულ ნარკვევში.

ბით სამართლიანად „ლიბარტიის შვილები“ (resp. შთამომავალნი), ე. ი. კუთვნილების შინაარსეული მომენტი და მრავლობითობის ფორმა დაინახა¹.

განხილული ტიპის გვარსახელებთან უშუალოდ არის დაკავშირებული ოდენ-გენეტიური ფორმით ნაწარმოები პატრონიმები, რომელიც მამიშვილობის აღმნიშვნელი სინტაგმური წყვილიდან მსაზღვრელის გასუბსტანტივებით არის მიღებული, რაც, საფიქრებელია, ინვერსიული წყობის პოზიციურ სიტუაციაში უნდა მომხდარიყო (საზღვრულის დაკარგვის შედეგად). ამათ ტიპოლოგიურ ნიმუშებს წარმოადგენენ ქანურად გაფორმებული გვარსახელები. ბ ე ქ ი რ ი შ ი (საკ. სახ. ბეჭირი), ვ ა ნ ი ლ ი შ ი (ენალიში), მ ე მ ე შ ი შ ი, ც ი ტ ა შ ი (შდრ.: წიტიშვილი), აჭარაში ცნობილი ხ ა ლ ვ ა შ ი (შდრ.: ხალაძე, ხალაშვილი, ხალაური, ხოლუაშვილი), აგრეთვე ტ უ ღ უ შ ი, ჯ ა შ ი და შ თ ა ნ ხ მ ო ე ნ ის ჩ-სთან შენაცვლებით მიღებული ლ ა ფ ა ჩ ი (შდრ.: ლაბაძე, ლაფაური). ქართული ენის სინამდვილიდან ამავე აგებულებისაა ხ ა ვ თ ა ს ი (მახარაძის და ლანჩხუთის რ.). იგი ზემოთ მითითებულ ნიმუშებთან ერთად, გენეტიურ-ფორმიანი (მსაზღვრელ-დაკარგული) სიტყვაა და გულისხმობს ხავთას ძეს (ძველი წყობით: ძე ხავთაძის), საკუთარ სახელ ხ ა ვ თ ა ს არსებობას გვიდასტურებს იერუსალემის ჯვრის მონასტრის სააღაპო ჩანაწერი XIII საუკუნის მეორე ნახევრისა. აქ მოხსენიებულია ვინმე იოსებ ხავთაძისძე. (ხავთა-ს ვარიანტულ სახედ მოჩანს ლ ა ვ თ ა, რომელიც ჩაქსოვილია ლ ა ვ თ ა ძ ე-ში).

როგორც ხავთასის არსებობის ფაქტი, ისე წყაროების ჩვენებანი ადასტურებენ, რომ ოდენ-გენეტიური ფორმის სიტყვათა ხმარება მამიშვილობის ან საგვაროვნო კრებულის აღსანიშნავად ძველი ქართულისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. ამ მხრივ საყურადღებოა

¹ ათ, ეთ-, ოთ და, საერთოდ, თ-ს შემცველ ტომო-ონომასტიკურ სუფიქსების რაობის საკითხს ეხებიან აგრეთვე სხვა მკვლევარნიც, რომელნიც საკითხს სხვადასხვა პოზიციიდან უდგებიან, მაგრამ, ამის მიუხედავად, მინც ერთხმად აღიარებენ ამ მორფემების კავშირს მრავლობითი რიცხვის გაგებასა და მის მორფოლოგიურ გამოხატულებასთან (ს. ჯანაშია, ვ. თოფური, თ. ზურაბიშვილი, ალ. ლლონტი, ფ. შავალათია). საკითხის ისტორიისათვის გასათვალისწინებელია აგრეთვე ნ. მარის, კ. კეკელიძის, ი. იმნაიშვილის, ა. ჯიშიაშვილის, გ. კლიმოვის შეხედულებანი, რომელთა მიმოხილვა მიცემული აქვს ალ. ლლონტს (იხ. მისი მცხეთის ტომონიმია, თბ., 1975, გვ. 25—30). აგრეთვე: „ტბეთის სულთა მატიანე“, თ. ენუქიძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი, თბ., 1977 წ.

ოთხთავის ანთროპონიმური მონაცემები. აქ ვხვდებით საკუთარ სახელთა წყვილებს გენეტივის ფორმით იაკობ ზებედესი (იგულისხმება იაკობ ზებედეს ძე): „იხილნა სხუანი ორნი ძმანი იაკობ ზებედესი და იოანე, ძმა მისი“ (მ. 4,21); ანალოგიურია: იაკობ ალფსი (მ. 10, 3); მარიამ იაკობისი (მ. 15, 40); მარიამ კლეოპასი (ი. 19, 25) და სხვ.¹

გენეტივის კოლხური ფორმანტი -შ (||-ჩ) შეინიშნება აგრეთვე ორმაგი სუფიქსაციის ქართულ გვარსახელებში: არეშიძე, ბელეშიძე, გეგეშიძე, გაგოშიძე, დათეშიძე, გურეშიძე, ნაკაშიძე, ყურაშიძე, ტაბეშაძე, ყიფშიძე², ბუაჩიძე, გოგლიჩიძე, სახეჩიძე... ყველა ამ ერთეულს უამსუფიქსო ვარიანტიც მოეპოვება (არიშვილი, ბელიაშვილი, გეგიძე, გაგოძე, დათაშვილი, გურაშვილი, ნაკაძე, ყურაშვილი, ტაბიძე, ყიფიანი, ბუაძე, გოგოლიშვილი, სახეიშვილი).

-იან საგვაროვნო დაბოლოების პარალელურად მაწარმოებლის როლს ასრულებს აგრეთვე საზოგადო სახელებში ქონება-კუთვნილებისა ან სადაურობის წარმომქმნელი -ოვან, რომელსაც სვანურში -ვან შეესაბამება. მათი ხმარების არე იმდენად შეზღუდულია, რომ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს ვასახელებთ: გელოვანი (შდრ.: გელაშვილი, გელაძე), ჩიქოვანი, კიტოვანი, ხიშტოვანი, ბაგრატოვანი (გელვან, ჩიქვან, კიტვან...).

-ოვან-სუფიქსიანი გვარსახელები უმთავრესად ლეჩხუმშია გავრცელებული. -იან და -ვან სუფიქსებმა, როგორც ეს ს. ჭანაშიამ მიუთითა, შესაბამისად მოგვეცეს სამეგრელოს გვართა დაბოლოებანი -ია (ქირია, რატია, ჩხეტია, ხვითია...) და -ვა (ფაღავა, კანკავა, გელავა, გერზმავა, ბერულავა, ხუბულავა). სასაუბრო სიტყვახმარებაში ამ სუფიქსმა თანხმოვანი დაკარგა, რის საფუძველზეც მოხდა ა ხმოვნის გემინაცია (-ვა—აა—ა). ხსენებული გვარსახელების ადგილობრივი გამოთქმაა: ფაღაა, გელაა, გერზმაა, ბერულაა, ხუბულაა, კანკაა ან პირდაპირ მეორე ა-ს მოკვეციით: ფაღა, გელა, გერზმა, ბერულა, გან-

¹ გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, ა. წულუკიძის სახელ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955, გვ. 3—8.

² ქართული ოთხთავის ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკ. შანიძემ თბ., 1949, ქართული ოთხთავის სიმფონიალექსიკონი, შეადგინა ი. იმნაიშვილმა, ნაკვ. II, 1949.

კა და ა. შ.; უ დაბოლოებაც იმავე -ვან ფორმანტის რეფლექსია (-ვან -უან||-უა). ამის შედეგად გვაქვს: გოთუა, ლოლუა, ბოჯგუა, ლოგუა, გულუა...¹

რამდენიმე პატრონიმულ სახელში დადასტურებულია -იონ. მათ რიგშია საქართველოს მეფეთა დინასტიური საგვარეულო სახელი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აგრეთვე ა ლ ბ ე ქ ი ო ნ ი (ალბიქიონი) და ტოპონიმიზებული ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი. ეს ფორმანტი უფრო ხშირად ხევისურულ მეტყველებაში გვხვდება როგორც საზოგადო სახელთა დერივაციის ერთ-ერთი საშუალება, მას დაკისრებული აქვს სადაურობის ჩვენება: არხოტიონი, შატილიონი, ამლიონი, როშქიონი, ხანდახან კი — ამა თუ იმ საქმიანობის მიმღვერობა: ხატიონი (ხატის მსახური), დროშიონი (მედროშე), ციხიონი (ციხის მცველი).

ამგვარად წარმოქმნილი რამდენიმე სიტყვა სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება და სემანტიკურად კრებითობის გამოხატვას უკავშირდება (მაყრიონი, მხედრიონი, საყდრიონი...).

სვანეთის მოსახლეობაში გვხვდება -ენ-ზე დაბოლოებული გვარსახელიც -ვეზდენი. შესაძლოა იგი არქაული ვან-ის სახეცვლა იყოს, რომელიც შეკვეცილი სახით არის მოღწეული (-ვან→ენ); -ოსან სუფიქსით წარმოქმნილი გვარსახელები იშვიათია, მის ნიმუშად ჩითვლება წილოსანი.

ადმოსავლეთ საქართველოს მთის დასახლებაში, როგორც ცნობილია, გვარსახელთა წარმოებაში გაბატონებული ადგილი -ურ დაბოლოებას უჭირავს (დისიმილაციის შედეგად იგი -ულ-ად გარდაიქმნება): აფციური, ბალიური, ბეჭაური, ვიგაური, ხაიაური, ყამარაული, ხარაული, ჰინჰარაული, გაფრინდაული. ბევრი მათგანი ტიპონიმებად არის ქცეული (მაგალითად, ანანური, ბადიაური, ფასანაური...). ფორმის მხრივ ამათ სრულ ანალოგიას ამჟღავნებენ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმებიც: ჩოხატაური, მახინჯაური, ხარაგაული, ნამნიაური, გუჯაბაური...

იგივე სუფიქსი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გამოყენებულია გათხოვილი ქალის გვაროვნული კუთვნილების აღსანიშნავად. გელაშვილის ქალს ქართლსა და კახეთში საქმრეულონი გ ე ლ ა უ რ ა დ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ე ნ , ასევე გოგოლაურად ითვლება გოგოლაძეებისაგან რძლად მიყვანილი ქალი. ამგვარად სცოდნიათ ქიზიყშიც: შანშიაშვი-

¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა , თაბალ-თუბალი... გვ. 216. ...

ლების გვარიდან გამოთხოვილ ქალს შანშაურას უხმობენ, ღვედაშვილებსაგან — ღვედაურას, ფაშალიშვილებისაგან — ფაშალიაურს, ბეგიაშვილებისაგან — ბეგიაურს. ნატროშვილისაგან — ნატრაულასა და ა. შ.

პატრონიმთა წარმოების საკითხი სადაურობის სუფიქსთა მეშვეობით (-ელ, მ—ელ, მ—არ და სხვ.) სპეციალურ ნარკვევში გვაქვს განხილული¹. ქართული გვარსახელების მრავალფეროვან მაწარმოებელთა შორის უფრო ხშირადაა გამოყენებული, ე. ი. აქტიურად მოქმედი სუფიქსებია, პირველ რიგში საყოველთაოდ მრღებელი ფუძე-ფორმანტები ძე და შვილ-ი და ბოლოსართი -იან (განსაკუთრებით სვანეთში), მათ მიჰყვება მთის დიალექტური სექტორებისათვის დამახასიათებელი -ურ||-ულ.

შედარებით ნაკლები სიხშირე ახასიათებთ -ოვან, -იონ, -ან, -იმ (||-შ) ელემენტების გამოყენებას, ხოლო -ოსან და -ენ მხოლოდ რამდენიმე გვარსახელს აწარმოებს.

პატრონიმულ ლექსიკაში გვაქვს გვარსახელთა ისეთი საერთო ფუძეები, რომლებიც ერთ შემთხვევაში ძე დაბოლოებით არიან გაფორმებული, მეორეში -შვილ-ით.

ამგვარ საერთოფუძიანთა ნიმუშებია: აბაიძე, აბაიშვილი; აბულაძე, აბულაშვილი; ადამაძე, ადამაშვილი; აღდგომელაძე, აღდგომელაშვილი; თაქთაქიძე, თაქთაქიშვილი; ვეფხვაძე, ვეფხვიაშვილი; პაპიძე, პაპაშვილი.

ვპოულობთ წარმოების თვალსაზრისით, ასე ეთქვათ, „მდიდარ“ ფუძეებსაც. ისინი იმ მხრივ არიან პროდუქტიულნი, რომ სხვადასხვა მაწარმოებლებს ირთავენ და ამის შესაბამისად სხვადასხვა გვარსახელებს წარმოქმნიან. ვასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

გელა: გელაძე, გელაშვილი, გელაური, გელოვანი, გელავა...

პაპა: პაპიძე, პაპაშვილი, პაპავა, პაპასქუა, პაპასკირი...

ბალა: ბალაძე, ბალიაშვილი, ბალიაური, ფალიანი (ბალიანი)...

ხულა: სულაძე, სულაშვილი, სულავა...

საბა: საბაძე, საბაშვილი, საბაური...

უჩა: უჩაძე, უჩანიშვილი, უჩავა...

¹ ამ საკითხზე იხ. აკ. შანშიძის „ვინაობის სუფიქსი „არ“ ქართულ ენაში“, თხზულებანი, I, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957, გვ. 29—32.

ამის საპირისპიროდ გვაქვს ისეთი გვარსახელებიც, რომელთაც ზედღიზიდ ორი დაბოლოება აქვს, ასეთი ორმაგი სუფიქსაციის გვარებია: ბერიანიძე, დადიანიძე, ხუციანიძე, ქობლიანიძე, ნიშნიანიძე (იან+ძე), ღვინაძეური (ძე+ური), თელაურიძე (ურ+ძე), გურიელიძე (ელ+ძე), ხონელია, ხობელია, ჭვარელია (ელ+ია), ოდიშარია, ცხომარია (არ+ია), გალდავაძე (ვა+ძე), გაბესკირია, ბულისკირია (სკირ+ია) და სხვ.

ფშავსა და ხევსურეთში (და მთის სხვა კუთხეებშიც) ზოგი ძე-დაბოლოებიანი გვარსახელი საკუთარ სახელად არის გადაქცეული, როგორც ბერიძე (შდრ.: ბერიძიშვილი), თამარაძე, ნათელაძე, ვაჟიძე, აბაისძე, მორაისძე...

ეს ფაქტი არქაულად გამოიყურება და მიგვანიშნებს პატრონიმთა წარმოქმნის წინარე საფეხურებზე, როდესაც სიტყვათა სინტაქსურ წყვილელს (მაგალითად, აბაის ძეს მარტოოდენ მამიშვილობის აღნიშვნა ეკისრებოდა). ჩვეულების თანახმად, აბაის ძეს პერსონალურად იმას ეძახდნენ, ვინც ნამდვილად აბაის შვილი იყო. ამ ჩვეულების საფუძველზე, პიროვნების ნათლობის სახელი (მაგალითად, გიორგი) თანდათან იჩქმალებოდა. ეს შინაური დამახილი, თუ მოხსენიება გიორგისა, როგორც ჩანს, შემდეგ საკუთარი სახელის ფუნქციით აღიჭურვა და თაობებს გადაეცა. ასე, რომ აბაისძე გახდა არა მარტო გიორგის მეორე, მოხმარების თვალსაზრისით უფრო „აქტიური“ სახელი, არამედ იგი მისი შვილიშვილებისათვისაც დარჩა საკუთარ სახელად, რადგან ტრადიციულად პაპის სახელს შთამომავლობაში არ კარგავდნენ.

ფშავთა სტრუქტურისათვის

ეპონიმური გვარსახელების ფონდს საყურადღებო ჩვენებანი შემოუნახავს საკუთარი სახელების უძველესი სტრუქტურის გასარკვევად. პირველ რიგში აღსანიშნავია წარმოქმნის ფორმათა მრავალფეროვნება, რასაც ავლენენ გვარსახელებში ჩაქსოვილი ანთროპონიმები. მათზე დაკვირვება ნათელყოფს დერივაციულ საშუალებათა სიმდიდრეს. თანამედროვე ქართულში ხმარებული ცნობილი კნინობითობის სუფიქსების გვერდით აქ ვეცნობით ფორმანტების. მთელ რიგს. ამ ფორმანტების დაჯგუფება ხერხდება მათში შემავალი უცვლელი თანხმოვნების მიხედვით, რომელთაც ცალკეულ შემთხვევებ-

ში წინ რიგ-რიგობით უძღვით ხმოვნები (ზოგს ყველა ხმოვანი, ზოგს არასრულად, ნაკლულად). ისინი უმეტესწილად დასრულებულნი არიან ქართულ ენაში საყოველთაოდ ხმარებულ ა კნ-ნობითობის მაწარმოებელი ელემენტით. ასე, მაგალითად, ლ თანხმოვანზე, როგორც ღერძზე, ასხმულია მაწარმოებელი სუფიქსები: -აღ-ა, -ელ-ა, -ილ-ა, -ოლ-ა, -ულ-ა, რეალიზებულნი შემდეგ გვარსახელთა ეპონიმურ ფუძეებში: პაპალაშვილი, ზუბალაშვილი, მაჩალაძე, გოჩელაშვილი, მამულაშვილი, კოკილაშვილი, გოგილაშვილი, გოგოლაშვილი, ბიჭოლაშვილი, პაპულაშვილი, ბერულაშვილი, მამულაშვილი. ხსენებულ ფორმანტთა სუფიქსობა მტკიცდება უამსუფიქსო ფუძეების მქონე გვარსახელოვან ერთეულებთან შეპირისპირებით. ამ შემთხვევაში პაპალაშვილს უპირისპირდება პაპაშვილი, ზუბალაშვილს — ზუბაშვილი, მაჩალაძეს — მაჩაიძე, გოჩელაშვილს — გოჩაშვილი, კოკელაშვილს — კოკაშვილი, გოგოლაშვილს — გოგიშვილი, ბიჭოლაშვილს — ბიჭაშვილი, პაპულაშვილს — ისევ პაპაშვილი, ბერულაშვილს — ბერიაშვილი და მამულაშვილს — მამაიაშვილი, მამალაძე...

შეიძლება დავასახელოთ ამგვარ სუფიქსთა სხვა წყებებიც, მაგალითად ნ-ზე დამყარებული:

ან-ა: ძამანაშვილი, ხანანაშვილი, გიორგანაშვილი, ზანანაშვილი...
შეპირისპირება: ძამაშვილი, ხანიაშვილი, გიორგაშვილი, გიორგაძე, ზაზაშვილი, ზაზაძე...

ინ-ა: გოგინაშვილი, ზალინაშვილი, ბალინაშვილი, ჩირინაშვილი...
შეპირისპირება: გოგიშვილი, ზალიშვილი...

ონ-ა: კოკონაშვილი, კაკონაშვილი, შეპირისპირება: კოკოშვილი, კაკოშვილი...

უნ-ა: ბაბუნაშვილი, პაპუნაშვილი, ძამუნაშვილი... შეპირისპირება: ბაბაშვილი, ბაბიანი, პაპაშვილი, ძამაშვილი...

კ-ზე დამყარებული: აკ-ა, მამაკაიშვილი, სულაკაური.

იკ-ა, ბერიკაშვილი.

-უკ-ა (||-უკ): თაბუკაშვილი, პაპუკიშვილი.

ტ-ზე დამყარებული: ატ-ა (||ატ||ტ): ტაბატაძე, კოპლატაძე; (—კოპალატაძე), გოგატიშვილი, გუგუტიშვილი; შეპირისპირება: ტაბიძე, კოპალიანი, გოგიშვილი, გუგუშვილი...

მტ-ა (||მტ): გვენეტაძე, ჭანკვეტაძე, კოტეტიშვილი. შეპირისპირება: გვენცაძე (შდრ.: ჭანიშვილი, ჭანკიევი), საკუთარი სახელი კოტე...

-იტ-ა: ბერიტაშვილი, გელიტაშვილი. პაპიტაშვილი, კაციტაძე..
შეპირისპირება: ბერიძე, ბერიშვილი, გელაძე, გელაშვილი, პაპაშვი-
ლი, კაცაძე...

-ოტ-ა (||-ოტ): მიროტაძე, ტოროტაძე, შეპირისპირება: მირაშვი-
ლი, ტორაძე (||თორაძე)...

ამათ გარდა გვაქვს შედარებით ნაკლებად გამოყენებული სუფიქ-
სებიც: უც||-ც: პაპუციძე (პაპ-უც-ი), გუგუციძე (გუგუ-ც-ი), გვენ-
ცაძე (შდრ.: გვენეტაძე)...

-უჩ||-ჩ-ა||-ჩ||-ჩ-ი: მამუჩიშვილი (მამ-უჩ-ი), კაკაჩიშვილი, კაკაჩია
(კაკა-ჩ-ი), გაბრიჩიძე (გაბრ-ჩ-ი), პარალელურად იხმარება: გაბრი-
ჭიძე, პაპუჩაშვილი (პაპ-უჩა), ბერუჩაშვილი (ბერ-უჩ-ა), მიქუჩა
(მიქ-უჩ-ა)...

-უჭ||-ჭ||-იჭ: მამუჭაძე (მამ-უჭა-ა), გელაჭიშვილი (გელა-ჭ-ა),
გოგოჭური (გოგო-ჭ-ა), გოგრიჭიანი (გოგრ-იჭ-ა)...

-ოზა: ბეროზაშვილი (ბერ-ოზ-ა), თედოზაშვილი (თედ-ოზ-ა),
ზარზოზაშვილი (ზარზ-ოზ-ა), კოკოზაშვილი (კოკ-ოზა)...

-ურ: კაკაურიძე, (კაკა-ურ-ი), კაკურია (კაკ-ურ-ი), ტატურაშვი-
ლი (ტატ-ურ-ა), ჩეკურაშვილი (ჩეკ-ურა)...

შედარებით უფრო ინტენსიურია ზ ბოლოსართის გამოყენება. იგი
ემთხვევა უძველეს ქართველურ ტომთა საწარმოებელ ბოლოსართს
(კოლხი, მესხი, ჯავახი, კახი, ტაოხი, ერიახი, კარდუხი...) და ამდენად
მათ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ რიგის გვარ-
სახელებია: კობახიძე, გენძეხაძე, კორახაშვილი, ლასხიშვილი და სხვ.
(ისინი განხილულია ეთნონიმურ გვარსახელებში).

აკად. ვ. თოფურია პირველმა მიაქცია ყურადღება ონომასტი-
კურ ლექსიკაში სადერივაციო აფიქსების სიუხვეს და აღნიშნა: „ქარ-
თული მასალის, კერძოდ, საკუთარ სახელთა და მათგან წარმოქმნილ
გვართა შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გაცილებით მეტი ნიშნები
გამოვეყოთ, ვიდრე ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაჩვენები“¹.
ამავე ნაშრომში გამოჩენილმა მეცნიერმა მიუთითა მის მიერ შენიშ-
ნულ კნინობითობის დამატებით სუფიქსებზე (-ოყ, -ულ, -ან, -ინ, -იტ,

¹ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, V, კნინობითი ქარ-
თველურ ენებში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინს-
ტიტუტის III სამეცნიერო სესია, 1946 წ. 28, 29, 30 ოქტომბერს, მუშაობის გეგმა
და თეზისები, გვ. 12—13.

-უც, -უნ, -უქ, -იჩ, -უჩ და სხვ.) და ის მნიშვნელოვანი ფაქტიც აღინიშნება, რომ იშვიათი არაა ერთისა და იმავე სახელისაგან კნინობითის წარმოება სხვადასხვა ბოლოსართით; მაგალითად, პაპა-საგან პაპალა (პაპალაშვილი), პაპანა (პაპანაშვილი), პაპუნა (პაპუნაშვილი), პაპიტა (პაპიტაშვილი), პაპუჩა და სხვ.¹

ამ მიმართულებით ჩვენ მიერ ჩატარებულმა ძიებამ კიდევ მრავალი ანალოგიური ფაქტი დაგვიდასტურა.

მაშა: მამიაური, მამიაშვილი, მამაკაიშვილი, მამალაძე, მამადაშვილი, მამიტაშვილი, მამლიკაშვილი, მამნიაშვილი (მამნია—მამ-ინ-ია), მამრადე (მამრა—მამ-არ-ა), მამრიკაშვილი (მამ-რ-იკა), მამუკაშვილი, მამუკელაშვილი, მამულაშვილი, მამუჩაშვილი, მამუჩეიშვილი, მამუჭაძე...

კაც-ი: კაცაძე, კაციაშვილი, კაცობაშვილი (კაც-ობა), კაციტაძე, კაცინა (მამაკაცის სახელი მთიულეთში)...

გელა: გელიაშვილი, გელუნავა (გელ-ე-ხ-ა—გელა-ხ-ა), გელიკაშვილი, გელიკურაშვილი, გელხაური (გელ-ხ-ა)², შდრ.: გელხეიძე, გელხეიძე, გელაქეიშვილი (გელა-ქ-ა)³...

კახ-ი: კახია, კახაძე, კახიაშვილი, კახუაშვილი; კახნიაშვილი, კახნია (კახ-ინ-ია), კახოძე, კახალიში (ქანური გვარსახელი)...

სულ-ი: სულავა, სულაძე, სულაკაური, სულიაური, სულიკაშვილი, სულუაშვილი, სულულაშვილი...

ბიჭ-ი: ბიჭაშვილი, ბიჭიაშვილი, ბიჭოლაშვილი (ბიჭ-ოლ-ა), ბიჭური (საკუთარი სახელი ფშავში)...

¹ დასახ. ნაშრომი.

² დაკვირვება გ ე ლ ხ ა უ რ, გ ე ლ ე ხ ა ვ ა და გ ე ლ ხ ვ ი ძ ე-ზე საკითხს აყენებს გ ე ლ ხ და გ ლ ე ხ ფუძეების იდენტურობის შესახებ, ვ. მელიქიშვილის აზრით, სიტყვა გ ლ ე ხ ი წარმომდგარი უნდა იყოს უძველესი ეთნონიმის გვლხისაგან.

³ წარმოების თვალსაზრისით გ ე ლ ძირის ასეთი პროდუქტიულობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული სკვითური წარმოშობის ტომის სახელწოდება გ ე ლ ა რ, გ ე ლ ლ ო ნ რ, გ ე ლ ო ნ ო ზ, აკად. ივ. ჭავჭავაძის აზრით, ქართველებთან ურთიერთობაში მყოფი, მათი მეზობელი ტომთაგანი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების საფუძველზე გ ე ლ ა მგელისაგან მიღებულ სახელად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ საკუთარ სახელად ქცეულ ეთნონიმად.

გოგი: გოგიაშვილი, გოგელაძე, გოგინაშვილი, გოგიტიძე, გოგი-
ლაშვილი, გოგოლაძე, გოგებაშვილი (გოგებასაშვილი)¹...

მიქა: მიქაძე, მიქიაშვილი, მიქუტიშვილი, მიქელაძე, მიქატაძე, მი-
ქაუტაძე, მიქუჩაძე, მიქანაძე...

ხახ-ი, ხახა: ხახიძე, ხახაშვილი, ხახალაშვილი (ხახ-ალა), ხახანა-
შვილი (ხახ-ან-ა), ხახანიკაშვილი (ხახ-ან-იკ-ა), ხახიაშვილი (ხახ-ია),
ხახიკაური (ხახ-იკ-ა), ხახლიშვილი (ხახ-ლ-ი-ხახ-ალ-ი), ხახონიშვი-
ლი (ხახონი), ხახუბია (ხახ-უ-ბ-ი), ხახუტაშვილი (ხახ-უტ-ა)...

ტაბ-ი: ტაბიძე, ტაბატაძე, ტაბახია, ტაბალუა (ტაბალ-უა — ტაბახ-
უა), ტაბლიაშვილი (ტაბლია, ტაბ-ალ-ია)...

გონა: გონაშვილი, გონიაშვილი, გონიტაშვილი...

კაკა: კაკაშვილი, კაკაჩაშვილი, კაკაჩია, კაკალაშვილი, კაკალაძე,
კაკალია, კაკაურიძე, კაკიაშვილი, კაკიტაძე, კაკიტელაშვილი, კაკო-
ნაშვილი, კაკულია, კაკუტაშვილი, კაკუტია, კაკუშაძე, კაკუცია, კა-
კურია...

ტატი: ტატიშვილი, ტატიური, ტატაშვილი, ტატიაშვილი, ტა-
ტალაშვილი, ტატანაშვილი, ტატიკიშვილი, ტატინაშვილი, ტატუა-
შვილი, ტატულაშვილი, ტატუნაშვილი, ტატურაშვილი...

ბ ე რ ძირი ძართულ სახელ-გვარებში

ქართულ გვარებსა და საკუთარ სახელებში ხშირად მეორდება
ელემენტი ბერ. ბერ—ძირია საზოგადო სახელისა ბერ-ი, რომელსაც
ქართველურ ენებში რამდენიმე მნიშვნელობა უკავშირდება: ა) იგი
აღნიშნავს ხანდაზმულ, ხნიერ ადამიანს: „ბერი ხანმრავალი კაცი“
(საბა). ამავე მნიშვნელობისაა ბებერი, რომელშიც ბერ-ძირი გაორკე-
ცებულია (ბერ-ბერი)², იგივე ძირი გვაქვს ზმნაში დაბერება, ბერ-
დება (მოხუცებული ხდება) და თხზულ სახელებშიც: ბერიკაცი, დე-
დაბერი; ბ) გამოხატავს რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობას, რო-
მელთათვის ნიშანდობლივია მამრობით სქესზე მითითება. „ბერი საეკ-
ლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრე-
ბის აღთქმა აქვს დადებული“³; პატრიარქი, უფროსი მამაკაცი (მაგა-

¹ გ. ლეონიძე, გოგებაშვილის გვარის ისტორიისათვის. „ცისკარი“, № 10, 1960.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, გვ. 150.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I.

ლითად, ხევისბერი და სხვ.). ქანურად იგივე სიტყვა ბერე-ს სახით ნიშნავს შვილს, აგრეთვე ბიჭს, ძეს¹; გ) ბერი მამაკაცის საკუთარი სახელიცაა. ძველ ქართულ მწერლობაში ბერა გვხვდება ზედწოდების დანიშნულებით-იოანე ბერაი². ბერ, როგორც საკუთარი სახელის ძირი, დასაყრდენია საქართველოში მეტად გავრცელებული სახელე-ბისა და გვარებისათვის.

სახელებია: ბერა, ბერუა...

გვარები: ბერიძე, ბერიშვილი, ბერაძე, ბერაია. ბერიაშვილი, ბე-როძე, ბეროშვილი, ბერეკაშვილი, ბერკაია (ბერიკაია), ბერუაშვილი და სხვ.

ბერა და ბერუა წარმოქმნილია კნინობითის ა სუფიქსის მეშვეო-ბით, ისევე, როგორც დათა, ილა, მიტრა, სანდრა... დათუა (დათოა). გიგუა (გიგოა) და ა. შ.

თავის მხრით ზემოხსენებული გვარები გვევარაუდებინებს შემ-დეგ საკუთარ სახელებს, რომლებიც დღეს ხმარებაში აღარ გვხვდება: ბერია, ბერო, ბერეკა (ბერიკა) და რომლებიც წარმოქმნილია -ია, -ო, -იკა სუფიქსებით.

გვარები ბერელაშვილი. ბერიანიძე, ბერიტაშვილი. ბეროზაშვი-ლი, ბერულავა, ბერუჩაშვილი, ბერუხაშვილი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ აწ უხმარი საკუთარი სახელები: ბერელა, ბერიანი, ბერი-ტა, ბეროზა, ბერულა, ბერუჩა, ბერუხა, რომელთა საერთო ძირია ბერ, ხოლო -ელა, -იტა, -ოზა, -იან, -ულა, -უხა კი ამ საკუთარ სა-ხელთა წარმოქმნილი სუფიქსები³.

ამათგან -ულ, -იტ, -უხ, -უჩ, როგორც ეს ვ. თოფურიაძემ მიუთი-თა, კნინობითის მარტივი სუფიქსებია. რომლებიც „სრულდება -ა ელემენტით“⁴. ამის საფუძველზე ხერხდება ორმხრივი შედარება: ერთი მხრით, მოგვეპოვება რიგი სხვა სახელებისა. რომელთაც დარ-

¹ Н. Я. Марр. Изыскания в области, т. IV. М., 1937. გვ. 174: ა. ჩ ი კ ო-ბ ა ვ ა, ქ ა ნ უ რ ა-ქ ა რ თ უ ლ-მ გ რ ა უ ლ ი შე დ ა რ ე ბ ი თ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, თ ბ., 1938. გვ. 19, 20.

² კ. კ ე ლ ი ძ ე. ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ს ის ტ ო რ ი ა, ტ. 1, თ ბ., 1960. გვ. 54.

³ ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე. წ ა რ მ ო ქ მ ნ ის ზ ო გ ი ე რ თ ი ბ ო ლ ო ს ა რ თ ის ა თ ვ ის ქ ა რ თ უ ლ სა-ხ ე ლ-გ ვ ა რ ე ბ შ ი, შ. რ უ ს თ ა ე ე ლ ის სა ხ. ბ ა თ უ მ ის პ ე დ. ინ ს ტ ი ტ უ ტ ის ს ე ს ი ა, 1953 წ. 28, 29/V, მ უ შ ა ო ბ ის გ ე გ მ ა და მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა თ ა თ ე ზ ის ე ბ ი, ბ ა თ უ შ ი, გვ. 35—36.

⁴ ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ქ ა რ თ ე ლ უ რ ე ნ ა თ ა ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი დ ა ნ, კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ე ბ შ ი, ნ. მ ა რ ის სა ხ. ე ნ ის ინ ს ტ ი ტ უ ტ ის III სა მ ე ც ნ ი ე რ ო ს ე ს ი ა, 28, 29, 30 ო კ ტ ო მ ბ ე რ ი, 1946 წ. (მ უ შ ა ო ბ ის გ ე გ მ ა და თ ე ზ ის ე ბ ი).

თული აქვს ეს დაბოლოებანი, მეორე მხრით, გვხვდება გვარები და საკუთარი სახელები უამსუფიქსოდ, ან სხვა სუფიქსებით: ასე, ბერიტაშვილ-ისაგან სავარაუდებელია საკუთარი სახელი ბერიტა, ხოლო -იტა სუფიქსი თავის მხრით ანალოგიას პოულობს სახელებში ყაყიტა, გოგიტა, გაბიტა¹, გვარებში: ნანიტაშვილი, რუსიტაშვილი, ოსიტაშვილი, ზუბიტაშვილი, გოჩიტაშვილი, კაციტაძე და სხვ. ამავე დროს თითქმის ყველა ხსენებულ სახელსა და გვარს უპირისპირდება ისეთი სახელგვარული მონაცემები, რომლებიც -იტა სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი, ანდა სხვა სუფიქსები ახლავთ, მაგალითად, ოსიტაშვილი უპირისპირდება ოსიაშვილს, ოსაშვილს და ოსაძეს, ბეშიტაშვილი—ბეშიძეს, გოგიტაძე—გოგოძეს, გოგიშვილს, გოგიაშვილს და ა. შ.

ქართულ ისტორიულ ონომასტიკონში შეინიშნება რთულფუძიანი საკუთარი სახელების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელთა ნიმუშებია: ვარაზბაკურ, ნარინდავით, გოგინხუდად, სულაქალმახი, ჯანბასილი, სეფედავლე და სხვ. ამგვარი სახელების შემადგენლობაში უმთავრესად ორი ფუძეა გაერთიანებული და ორივე წარმოადგენს საკუთარ სახელს.

წყვილად შერწყმული საკუთარი სახელების არსებობას გვაუარაუდებინებს აგრეთვე ზოგიერთი თანამედროვე გვარიც, როგორც გოგმაჩაძე (გოგ+მაჩა+ძე, შდრ., მაჩაძე), გოგორხელიძე (გოგორგ+ხელ=ი+ძე, შდრ.: ხელაძე), ალიშანიძე, მალაქშანიძე, შეშაბერიძე (საშა+ბერ-ი+ძე).

კომპოზიტურ საკუთარ სახელებს მიეკუთვნება ისეთი ერთეულებიც, რომელთა შემადგენლობაში ბერ-ძირი მონაწილეობს: აქ ორი სახეობა გვაქვს:

ა) ბერ-ს კომპოზიციაში მეორე ადგილი უჭირავს: კახაბერი, ჭიაბერი, გიობერი, გაგიბერი, ჯანიბერი, ყარაბერი, შალაბერი... ჩამოთვლილი სახელები თანამედროვე ქართულში თითქმის აღარ გვხვდება. კახაბერი და ჭიაბერი ცნობილია, როგორც ისტორიულ პირთა სახელები, შიობერი შემონახულია გვარში შიობრიშვილი; ხოლო დანარჩენი მაგალითები ამოღებულია „ვილაიეთის დიდი დავთრიდან“¹.

ბ) ბერ-ძირი კომპოზიტური სახელის პირველი კომპონენტი:

¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გამოსცა ს. ჯიქიაშვილი, II, 1941 წ.

ბერიჯანა. (მდრ.: ჭანაშვილი, ჭანიაშვილი, ჭანიკაშვილი), ბერამუკა (გვარში: ბერამუკელი), ბერკაცა (გვარში: ბერკაცაშვილი), ბერბიჭა (ბერბიჭაშვილი) და აგრეთვე, შესაძლებელია: ბ ე რ შ უ, ბ ე რ ს უ-მ ა. პირველი წარმოდგენილია სოფლის სახელში: ბერშუეთი (გორის რ.), მეორე კი მოხსენიებულია არმაზის ვერცხლის თასის წარწერაში¹.

ბერ-ძირის გამოყენების მრავალფეროვან სურათს გვაძლევენ ის ქართული გვარები, რომლებიც ამ ძირს შემცველ რთულფუძიან საკუთარ სახელებს შეიცავენ და ბოლოვდებიან ზვილ-ით ან ძე-თი. ამავე დროს შესამჩნევია, რომ რთულფუძიანი საკუთარი სახელის მეორე კომპონენტიც ისევ საკუთარ სახელს წარმოადგენს, ან ჩვეულებრივ გავრცელებულს, ანდა სხვა გვარში შემონახულს. მაგ., გვარში: კახა-ბერიძე კახა გავრცელებული სახელია, ხოლო გვარებში: მიქაბერიძე, სულაბერიძე, ჯონთაბერიძე. პირველ ელემენტად წარმოდგენილი სავარაუდოდ საკუთარი სახელები შემონახულია მარტივფუძიან გვარებში: მიქაძე, სულაძე, ჯონაძე. ამ ტიპის გვარები და სახელები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მათზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ ქვემოთყვანილი ცხრილი:

ბერ-ძირის შემცველი გვარები	საკუთარი სახელები		შემონახული ან გამოყენებულია გვარებში
	ხმარებული	სავარაუდო	
1	2	3	4
გიორგბერიძე	გიორგი	—	გიორგიძე, გიორგაძე,
გოგიბერიძე	გოგი	—	გოგიძე, გოგიშვილი
გუგუშბერიძე	—	გუგუშ	გუგუშვილი
დოლაბერიძე	—	დალა	დოლაძე, დოლიაშვილი, დოლაძე.
ვანიბერიძე	ვაჩე	ვაჩინა	ვანიშვილი, ვაჩინაძე
თავბერიძე	—	თავა	თავაძე
თუთბერიძე	—	თუთა	თუთაევი (თუთაშვილი)
კახაბერიძე	კახა	—	კახაძე, კახიძე...
კილაბერიძე	—	კილა	კილაძე,
ლოსაბერიძე	—	ლომსა (—ლომისა)	ლომსაძე, ლომსიანიძე

¹ თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ბერსუმა პეტიაშვილის წარწერისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXX—B, 1961.

1	2	ჰ	4
მიკაბერიძე	—	მიკა	მიკაძე, მიკაევა, მიკიაშვილი
სულაბერიძე	—	სულა ¹	სულაძე, სულიაშვილი, სულაევა
შალამბერიძე	შალა (შალეა) შიო	—	შალეაშვილი
შიობრიშვილი	—	—	შიოშვილი, შიოკაშვილი,
ჩხაბერიძე	—	ჩახა (→ჩხა)	ჩხაიძე (ჩახაიძე), ჩახაევა
ხუციბერიძე	—	ხუცი, ხუცა	ხუციშვილი, ხუცაიძე...
ჯანბერიძე	ჯანო	ჯანა, ჯანია	ჯანაშვილი, ჯანიაშვილი,
ჯოხთაბერიძე	ჯოხთა ²	—	ჯოხთაძე
გაგიბერი	გაგი	—	გაგიძე (გაგიძე)
გულაბერი	—	გულა	გულიაშვილი, გულისაშვილი
იაბერი	ია	—	იაძე, იაშვილი.
კახაბერი	კახა	—	კახაბრიშვილი
მალალაბერი	—	მალალა	მალალაშვილი, მალალაფერიძე
ყურაბერი	—	ყურა	ყურაშვილი
ცხადაბერი	—	ცხადა	ცხადაძე, ცხადაია.
კიაბერი	—	კია	კიაბრიშვილი
ჯანიბერი	—	ჯანა	ჯანაშვილი, ჯანიაშვილი.

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ზერ-ძირიანი გვარებისა და სახელების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილება:

ა) თანხმოვნის გაჩენა ფუძეებს შორის: გუგუმბერიძე—გუგუმბერიძე, შალამბერიძე—შალაბერიძე—შალვაბერიძე...

ბ) ვინის დაკარგვა შალეა სახელში, რომელიც პირველ კომპონენტად შედის გვარში — შალამბერიძე (შდრ.: ქართულში გავრცელებული შალა, შალვას ნაცვლად).

გ) მანის დაკარგვა (ლოსაბერიძის პირველ ნაწილში, თუ მივიჩნევდით, რომ „ლოსა“ მომდინარეობს საკუთარი სახელისაგან „ლო მისა“ (შდრ.: ანალოგიური წარმოების საკუთარი სახელები უფლისა,

¹ ქართული ენის ისტორიული ჭრესტომათია, ტ. 1, გამოსცა ი. ი მ ნ ა შ ვ ი ლ: შ ა, თბ., 1959, გვ. 3, ხუნაძისის წარწერა.

² გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გამოსცა ს. ჯ ი ქ ი ა მ, წ. II, 1941 წ.

გულისა, მეფისა, შემონახული გვარებში უფლისაშვილი, გულისაშვილი, მეფისაშვილი), რომლის ი-ხმოვანდაკლული ფუძე გვაქვს გვარში ლომსაძე (ლომისაძე). შესადარებლად შეიძლება დაეაახელოთ აგრეთვე ქ. ახალციხის ძველი სახელწოდება ლომსია¹. და ხატი ლომისი ფშავ-ხევსურეთში. ამგვარად: ლომისაბერიძე—ლომსაბერიძე—ლოსაბერიძე.

დ) ახმოვნის მოკვეცა ზოგიერთ სავარაუდო სახელში: თაებერიძე — თავაბერიძე; ჟანბერიძე — ჟანაბერიძე; თუთბერიძე—თუთაბერიძე.

ე) შეკუმშვა კომპოზიტის მეორე ნაწილში წარმოდგენილ ბერძირისა: შიობრიშვილი—შიობერიშვილი; კიაბრიშვილი—კიაბერიშვილი.

ვ) ბერძირის შემცველ გვარებდად მიგვაჩნია აგრეთვე გურაბელიძე, ტურაბელიძე და გიორბელიძე, რომელთაც განუცდიათ რაეს დისიმილაცია და ბერძირი ბელად შეუცვლიათ, ანავე დროს პირველ შემთხვევაში სავარაუდოა საკუთარი სახელი გურამი-ან შემოკლებით გურა, გურო (შდრ.: გვარები გურაშვილი, გუროშვილი), მეორე შემთხვევაში — ტურა (გვარები ტურაშვილი, ტურიაშვილი) და მესამეში კი გიორგი, რომელსაც მოკვეცია ფუძის ბოლო თანხმოვანი გ, ამგვარად: გურაბელიძე—გურა(მ)ბერიძე, ტურაბელიძე—ტურაბერიძე, გიორბელიძე—გიორბერიძე—გიორგბერიძე.

განხილულ ნიმუშებში ბერ-ს ყველგან მეორე ადგილი უჭირავს, მაგრამ გვაქვს (რიცხვით მცირე) ისეთი შემთხვევებიც. როდესაც იგი კომპოზიტური გვარის პირველ ნაწილად გვევლინება, ასეთებია: ბერკაცაშვილი (შდრ.: კაცაძე, კაციაშვილი, კაციტაძე, კაცობაშვილი და სხვ.), ბერბიჭაშვილი (შდრ.: ბიჭაშვილი) და ბერყმაძე (ბერ+ყმა+ძე); ბერბერაშვილ-ში ძირის გაორკეცებასთან გვაქვს საქმე: ბერბერა; ბერ+ბერა.

ბერძირის სემანტიკური ცვალებადობის გათვალისწინება გეომტკიცებს, რომ იგი თავდაპირველად ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა: სიტყვა ბერი უძველეს ხანაში ზოგად ქართულშიც ყოფილა

¹ ი. ჟანაბრიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 186.

და ფართოდ გავრცელებულიც ჩანს, — აღნიშნავს აკად. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი¹. იგი ვაჟიშვილის აღმნიშვნელია.

ჩანს, ბერ-ის სწორედ ეს ზოგადი მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მამაკაცის საკუთარ სახელთა შექმნას წარსულში, როგორც წარმოქმნილ ფორმებს, ისე კომპოზიტებსაც, მაგრამ ფაქტობრივ პონაცემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რთულ ფუძიან გვარებში ბერ ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად გადაიქცეოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ გო გ ი ბ ე რ ი, კ ა ხ ა ბ ე რ ი, მ ი ქ ა ბ ე რ ი და მისთ. საკუთარ სახელთა წყვილულებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ (მიქა და ბერი, კახა და ბერი, გოგი და ბერი...), არამედ აქ მხოლოდ პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო მამაკაცის სახელი (მიქა, კახა, გოგი), ხოლო ბერ-ი ზოგადი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო მათზე დართული, როგორც მსაზღვრელი, როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა (ვაჟი, ძე, ბიჭი, ყმა).

საკუთარი სახელის მამრობითი სქესის ჩვენება, ადამიანის ვაჟობის, ძეობის, თუ ბიჭობის მიხედვით განსაზღვრის ამგვარი ტენდენცია ახლაც შეინიშნება ქართული ენის დიალექტებში; აღმოსავლეთ საქართველოში მამაკაცის საკუთარ სახელზე „ბიჭის“ დართვა ჩვეულებადაა ქცეული, იტყვიან: ლუკა ბიჭი, გიორგი ბიჭი, ლადო ბიჭი. ეს მოვლენა გამოსატყუელია მხატვრულ ლიტერატურაშიც: გიგლა ბიჭი (ს. შანშიაშვილი), გაგნა-ბიჭი (ი. ევდოშვილი), ჰინკა-ბიჭი (ლ. ქიაჩელი), კანჭა-ბიჭი (მ. ჭავჭავაძე), გ. შატბერაშვილი), ქიტა-ბიჭი (ლ. გოთუა), მათე-ბიჭი (ვ. კანდელაკი).

საკუთარ სახელზე ყმა მსაზღვრელის დართვის ანალოგიურ შემთხვევას წარმოგვიდგენს ზოგიერთი ქართული გვარიც ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე (—ვაჟაყმაძე: ვაჟა+ყმა+ძე), კ ე ჭ ე ყ მ ა ძ ე (კეჭა+ყმა+ძე), ბ ე რ ყ მ ა ძ ე, ო ს ი ყ მ ა შ ვ ი ლ ი (ოსი+ყმა+შვილი). ამ გვარებში ყმას მამრობით სქესზე მითითების ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, როგორც აქვს ზემოხსენებულ ბიჭს. ამგვარივე დანიშნულების უნდა ყოფილიყო, როგორც დავინახეთ, ზემოგანხილულ სახელებსა და გვარებში შემონახული ბერი.

სანამ განსაზღვრის გავებით იხმარებოდა, ბერ-ი სათანადო სახე-

¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ენოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 124—125.

ლებთან ცალკე გაიაზრებოდა და დღევანდელი კომპოზიტური სახე-
ლების პირველი კომპონენტებიც, როგორცაა მაგალითად, კახა,
მიქა, ცხადა, თავა, ყურა და სხვ. დამოუკიდებელი საკუთარი სახე-
ლების ფუნქციით იყვნენ აღკურვილნი, როგორც ამაზე პირდაპირ მი-
გვითითებს შესატყვისი გვარებიც: კახაძე, მიქაძე, ცხადაძე, თავაძე,
ყურაშვილი, ხოლო შემდეგ, დროთა განმავლობაში, როცა ბერ-ის
განმსაზღვრელი მნიშვნელობა შესუსტდა და იგი შეეზარდა ხსენე-
ბულ მარტივ სახელებს, შეიქმნა მამაკაცის ახალი რთულფუძიანი სა-
კუთარი სახელები: კახაბერი, მიქაბერი, ცხადაბერი, თავაბერი, რომ-
ლებიც საფუძვლად დაედო ზემოხსენებული კომპოზიტური გვარების
წარმოშობას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა თ კ მ ა	3
შ ე ს ა ვ ა ლ ი	7
გვარი, გვარსახელი	7
გვარი და გორი	10
მამისახელობიდან გვარსახელამდე	13
ს ე შ ა ნ ტ ი კ ა	24
ეპონიმური გვარსახელები	26
ეთნონიმები გვარსახელებში	28
გეოგრაფიულნი	29
პროფესიულნი	47
შერქმეული გვარსახელები	51
ფონეტიკური ვარიაციები	53
ე ვ ფ ე შ ი ზ შ ი	57
გვარსახელთა წარმოქმნის საკითხები	61
ფუძეთა სტრუქტურისათვის	74
ბერ ძირი ქართულ სახელ-გვარებში	78

გამომცემლობის-რედაქტორი ნ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი ივ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ც. მ ო ლ ა დ ი ნ ი

სბ 477

ვადაცა წარმოებას 28.01.79. ხელმოწერილია დასაბუქდად 6.09.79
უე 06795 საბუქდი ქალაღი 60X84^{1/16} პირობითი ნაბუქდი
ააბახი 5,5 საღარ.-საგამომც. თაბახი 4,41
ტირაღი 600 შუევეთის № 361
ფახი 16 კაბ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.